# საერთო გაზეთი

№12 (324) ● 1 აპრილი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

## 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია

## ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებში დასავლური წარმოშობის „მეხუთე კოლონა“ დაამარცხა

## მთელი ხმით ვყვირი, იქნებ ვინმეს გავაგონო — ირაკლი ალასანია, რომელმაც, თავდაცვის სამინისტროში „ნაციონა-ლების“ მიერ დანერგილი მაფიური სისტემა გააგრძელა, დასაჭერია!

## „ელისო+“ ვიღაცებს არწმუნებს: — მე ბიძინა ივანიშვილის ხმა ვარო. ივანიშვილის კი არა მისი მტრების ხმა ხარ შენ, ელისო კილაძე!

## საქართველო – „ანტიქრისტეს ჩამკეტი“









## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს „ჩამოწერილი“ დიპლომატები ვერ მოაგვარებენ

## 1994 წლიდან მთელ ქვეყანას ერთი და იგივე ძალა „ადურაკებს“

## საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

## საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევდი: იყავით ყველასთან და არავისთან!

## სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები

## რატომ მოიხსენიებდნენ მეფე ართურის ხმალს „ესკალიბურად“, ანუ „ხალიბურად“?

# 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია

31 მარტი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია. 1991 წლის ამ დღეს ქართველმა ერმა პირველმა პოსტსაბჭოთა ისტორიაში და პირველად საყოველთაო რეფერენდუმზე, საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გამოხატა თავისი ურყევი ნება მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროს ხალხთა შორის, ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქე, აღნიშნული რეფერენდუმი სახელმწიფოს არსებობის მტკიცე იურიდიული საძირკველი ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის, რეფერენდუმის ამ დღემ (კენჭისყრის კითხვა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: «თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?») საერთაშორისო არენაზე, საბოლოოდ დააკანონა საქართველოს სახელმწიფოს სტატუსი, და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.(მისი სამფეროვანი დროშა, ჰიმნი).

საგულისხმოა ისიც, რომ სამშობლოსათვის თავდადებული პრეზიდენტი სწორედ ამ დღეს დაიბადა. მისი ოცდათხუთმეტწლიანი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის გამარჯვებით დასრულდა. მან თავისი გმირი წინაპრების, ცხებული მეფეებისა და თავდადებულ სასულიერო პირთა დარად თავგანწირულად იბრძოლა და 90-იანი წლების საქართველოსა და მსოფლიოს უკანონობასთან და ბოროტებასთან ბრძოლის განუმეორებელი მაგალითი უჩვენა, მან საკუთარი თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა, რის ფასადაც ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა არ დააკარგვინა და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მტერს არ ჩაუგდო ხელში. ეს ის გმირია, რომლის შესახებაც აკაკი წერეთლმა წარმოსთქვა: „მოევლინა ქვეყანას მაცხოვარი. სწორედ ასე მოევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომლისაც ღირსი არა ვარ, ხამლი გავხადო ფერხთა და თუ მე მცირე მახარობელს, უბრალო მოკვდავს, ასე აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ? მაშინ მეტი გახარებული იქნებით და უფრო მომზადებული შეხვდებით იმ გმირთაგმირს. მე მხოლოდ ისღა დამრჩენია: გულში ჩავიკრა თქვენი მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვსთქვა: „აწ განმიტევეთ, მე, მონა თქვენი“.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ერის უბოროტესი მტრების დიდი მეცადინეობით, დე ფაქტო დამოუკიდებლობის აღდგენის აღსრულება, ქართველი ერის საკეთილდღეოდ, ვერ განხორციელდა; ეროვნულცნობიერებადანგრეულმა ქართველმა კოლაბორაციონისტებმა, მსოფლიოს პოლიტიკის მესვეურთა (შავი ოკულტიზმის წრეთა) დაკვეთა პირნათლად შეასრულეს. მათ, უცხო ქვეყნიდან შემოზიდული დიდი თანხებით და რუსული სამხედრო ძალის საშუალებით, უფლებააყრილმა ელცინის რუსეთმა, იმ წმიდა რუსეთის ინტერესების საზიანოდ და ივერიის გასანადგურებლად , რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც მკაცრად კრძალავდნენ დიდი რუსი მამები სერაფიმე საროველი და ლავრენტი ჩერნიგოველი, დაამხეს საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, და მასთან ერთად ფიზიკურად გაანადგურეს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის ავტორი და შემოქმედი ზვიად გამსახურდია და 1992 წლიდან დღემდე, ქვეყანას დასავლეთის შავი ოკულტური წრეების და ძალების რეკომენდაციებით, აღნიშნული, ეროვნეული ცნობიერებისაგან დაცლილი, ქრისტიანობის მტრები, ქართველი კოლაბორაციონისტები მართავენ, რომელნიც „ბილწთ შეკვრიან ზავითა“.

საგულისხმოა, თუ როგორ აფასებდა ზვიად გამსახურდია დასავლეთის როლს საქართველოში 1991-92 წლებში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შესახებ:

ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1992 წელს „ნაროდნაია პრავდას“–თვის მიცემულ ინტერვიუში, ამხილა კაცობრიობისა და განსაკუთრებით საქართველოს მტრები, რომელიც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა გაზეთ „აღდგომაში“ №20, 6 დეკემბერი, 1992 წელი.



— კაცობრიობის მტრები - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. აშშის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

— ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე. შევარდნაძის მოსვლისა.

(„ეროვნება არა აქვს ცხოველს“, ზვიად გამსახურდია, 1992წ. ოქტომბერი, „ნაროდნაია პრავდა“ №41,)

დიახ, დასავლეთმა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად არ ითამაშა პროგრესული როლი, პირიქით, მათმა ჩარევამ ემისარ ე.შევარდნაძის მეთურობით, სახელმწიფოს სათავეში ბნელი პოლიტიკური ძალები მოიყვანა.

ჩრდილო-დასავლურმა დემონურმა ტაიფუნმა, ახალგაზრდა, დამოუკუდებელი საქართველოს მძიმე დაღი დააჩნია და ის, რაც იწინასწარმეტყველა ზვიად გამსახურდიამ, ყველაფერი რეალობად იქცა.

დიდ გერმანელს გოეთეს უთქვამს –„გერმანია, ეს მე ვარ და თუ მას დაღუპვა უწერია, მაშინ ის ჩემში იცხოვრებს“, – როგორ მიესადაგება დიდი მოაზროვნის ეს სიტყვები, საქართველოს თავისუფლების სიმბოლოს ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას.

„ზვიადის მტერი ღვთისა და ერის მტერია შვილო“ – ამბობდა წმიდა მამა გაბრიელი.

1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოს „განვითარება“, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ყალბი და კატასტროფული აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენ ამ დროიდან მოყოლებული „შემოგვთავაზეს“ ცრუ, ალტერნატიული ისტორია, რითაც შეუსრულებელი დარჩა 31 მარტის რეფერენდუმის დიადი ისტორიული მიზანი. თუ რა საშინელი ძალები დაუპირისპირდა თავისუფლების ეკლიან გზაზე მიმავალ საქართველოს, ამას მოწმობს ზვიად გამსახურდიას სიტყვები წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს "ქარიშხალას" სტადიონზე შეკრებილი სამწყსოს წინაშე, რათა ერი წასულიყო არა ბარაბას, არამედ ევლო ქრისტეს გზით.

ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის გაფრთხილება–შეგონება ქართული საზოგადოებისათვის და კერძოდ კი რევანშისტულ–კომუნისტური აქტიური კონფორმისტული ნაწილისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა; დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს საზიანოდ და ყველასათვის საუბედუროდ, მათ ავაზაკ ბარაბას გზით წაიიყვანეს ჩვენი ქვეყნის მომავალი. ამავდროულად, დასავლეთის შავ–ბნელ ლოჟებში და აგრესიული, ათეისტური ბოლშევიზმის უცილობელი კერპის მუმიადქცეული ლენინის კრემლში, ჩვენი სამშობლოს ბედი კარგა ხნით ადრე განისაზღვრა –საქართველოს ტერიტორიას ე.წ. აბრეშუმის გზის სახელის ქვეშ ენერგომატარებლების, საეჭვო ტვირთების, იარაღისა და სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, ხოლო ქართველთათვის „მსოფლიო მოქალაქის სტანდარტულობით დაშტამპული ცნობიერებისა და შერყვნილი პატრიოტიზმის მატარებელი უსახო დამცრობილი ერისა რასად აღზრდის ახალი ეტაპი იწყებოდა.

აგრესიული გლობალიზმი ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი ერისათვის. ამ ვერაგული გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო მხოლოდ „დინების საწინააღმდეგო მოცურავე“ პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ თუ საქართველო ლეგიტიმაციის ანუ სამართლებრივ სივრცეში არ მოექცევა, და თუ არ აღსდაგა ქვეყანაში კონსტიტუციური სამართალმემკვიდრეობა, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავარ პოლიტიკურ ანდერძია, ჩვენი სახელმწიფო სრული განადგურების წინაშე აღმოჩნდება. ამიტომაც ეროვნული კომიტეტი, მოუწოდებს ყველა ქართველს და ყველა კეთილი ნების ადამიანს, გაერთიანდეს, რათა 31 მარტიდან ჩვენი ქვეყნის კატასტროფისაგან დასახსნელად, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით, დავიწყოთ დიდი საყოველთაო მოძრაობა, რათა ბოლომდე მიყვანილი იქნას 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების რეალიზება –საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი ტერიტორიული სახელმწიფოს აღდგენა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:**

**გიორგი კავკასიელი** (კერვალიშვილი), ეროვნული კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;

**ბესო (ბესარიონ) მიქავა** – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

**მამა ილარიონი,** (ჯანელიძე)

**ნანა კახიანი** – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის პრეს–მდივანი;

**ზურაბ ქობალია** – ჟურნალისტი;

**მანანა ჯიჯეიშვილი** – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის წევრი;

**ნუგზარ კობახიძე** – ადამინის უფლებადამცველი;

**გოგი სოიტაშვილი** – პოლიტდევნილი;

**მზია ბაქრაძე** – დევნილი ჟურნალისტი;

**თბილისი, 2015 წლის 25 მარტი, დღე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და წმიდა მეფის დიმიტრი თავდადებულის ხსენების დღე.**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# თემურ მირიანაშვილი: ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებით დასავლური წარმოშობის „მეხუთე კოლონა“ დაამარცხა

ვესაუბრებით ბატონ
**თემურ მირიანაშვილს**

**— ბატონო თემურ, უკვე რამდენიმე დღეა აქტიურად საუბრობენ IRI-ს კვლევების შესახებ, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების რეიტინგი შემცირდა, თუმცა მეორე ადგილზე კვლავ ლიდერობს „ნაციონალური მოძრაობა“, მესამე ადგილზე უკვე ირაკლი ალასანიას გუნდი მოიაზრება. ცხადია, ეს ქართველი ხალხის არჩევანი არ გახლავთ, ეს ამერიკის არჩევანია, იქნებ, ზეწოლაც, რომელიც საზოგადოებრივი აზრის შექმნას გულისხმობს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კვლავ ნაციონალებს უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, თუმცა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ახლა რაღა სურს ამერიკას?**

— ყველას კარგად გვახსოვს 80-90-იანი წლები, როცა ამერიკით ყველა აღფრთოვანებული იყო და მათი სჯეროდათ, დღეს ამ ქვეყანამ თავისი სახე ყველას კარგად დაანახა. მათი ყველა კვლევა ტყუილი და თავსმოხვეულია, ხოლო **მეორე და მესამე ადგილზე გასული სააკაშვილის გუნდი და თვითონ ალასანია არიან ყველაზე საზიზღარი ადამიანები. დღევანდელ საქართველოში სულელი უნდა იყოს კაცი, რომ ამ კვლევებს დაუჯეროს და ირწმუნოს. ვფიქრობ, ასეთი ტყუილი და თავსმოხვეული კვლევები ჩვენს ქვეყანაში საერთოდ უნდა აიკრძალოს,** მათი შემოშვებაც კი არ შეიძლება საქართველოში.

**— ბატონო თემურ, დემოკრატიაზე დღეს უკვე სულ სხვა აზრი არსებობს, ვიდრე ის 20-30 წლის წინ იყო. კერძოდ, ფიქრობენ, რომ დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობები, თქვენ რა აზრის ხართ?**

— თუ ობიექტურად და არსებითად განვსჯით, დასავლეთში არ არსებობს არამცთუ იდეალური დემოკრატია, არამედ იქ არ არსებობს საერთოდ არავითარი მსგავსი. ამის დასტურად რამდენიმე არგუმენტს მოვიყვან:

ამერიკის შეერთებული შტატები კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანაა, კაპიტალისტური სამყაროს საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი, მისი სახე. თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ის იმართება მხოლოდ და მხოლოდ ორი პარტიის — რესპუბლიკურისა და დემოკრატიულის მიერ. ყოველთვის, ყველა დონის არჩევნებზე იმარჯვებდა მხოლოდ ეს ორი პარტია.

რესპუბლიკელებისა და დემოკრატების თვითმყოფად პარტიებად ჩათვლა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მსოფლმხედველობრივი, არც სტრატეგიული სხვაობა მათ შორის, ამიტომ არის, რომ ისინი კამათობენ მხოლოდ ტაქტიკურ საკითხებზე, ან უმნიშვნელო დეტალებზე. **ფაქტობრივად, ეს გახლავთ არა დამოუკიდებელი პარტიები, არამედ ერთი პარტიის ორი ფრაქცია.**

რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც ემსახურებიან მსხვილ ბიზნესს, ოლიგარქიულს, ამერიკის დანარჩენ ხალხს, თავიანთი პარტიები პრაქტიკულად არა ჰყავთ, ინტელიგენციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე აშშ-ში მიმდინარეობს მასირებული შეტევა ამ კლასზე, ისევე, როგორც მთელ დასავლეთში. აქედან გამომდინარე, **დღეს ამერიკა არის ერთპარტიული, ტოტალიტარული სახელმწიფო. თუმცა არის არა ტრადიციული, არამედ მოდერნიზებული ტოტალიტარიზმი,** რომელიც დამყარებულია არა იმდენად უხეშ ძალაზე, რამდენადაც უახლოეს ტექნოლოგიებზე: ტვინების გამორეცხვა, ზომბირება, ადამიანების გამოყეყეჩება და ა.შ.

ანალოგიური პოლიტიკური მდგომარეობაა „თავისუფალი სამყაროს“ სხვა ქვეყნებშიც. ზოგიერთ მათგანში ორზე მეტი პარტიაა, მაგრამ, რეალურად, ყველა მათგანი ემსახურება ერთადერთ პოლიტიკურ ძალას — ოლიგარქიას.

რაც შეეხება დასავლეთის ბრძოლას მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გასავრცელებლად, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლებისა და ა. შ. დასაცავად, სხვა არაფერია, თუ არა იარაღი სხვა ქვეყნების შინაგან **საქმეებში ჩასარევად, ანუ ეს არის ჩვეულებრივი ნეოიმპერიალიზმი.**

**— ევროკავშირზე რას იტყოდით, დღეს ბალტიისპირეთის ქვეყნები საკმაოდ უკმაყოფილონი არიან ამ გაწევრიანებით, მისტირიან იმას, რომ ისინი თავად ვეღარ იღებენ კანონებს, რადგან იქ ევროკავშირის კანონები უპირატესია, მათ მთავარ გადასახადებს, უწესებს ბრიუსელი ხოლო ევროკავშირის პრეზიდენტს ხალხი კი არ ირჩევს, მას ნიშნავენ. რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი არადემოკრატიულად იმართება...**

— ვინც საბჭოთა დროს ყოფილა ბალტიისპირეთში, უნახავს, როგორი ძლიერი მრეწველობა და ეკონომიკა ჰქონდათ, კარგად ცხოვრობდნენ, დღეს იქაც მძიმე მდგომარეობაა. კონკრეტულად, **ლატვიაში მოსახლეობის რაოდენობა ერთი მესამედით შემცირდა, ქვეყნიდან გავიდნენ, რატომ? ეს კარგი ცხოვრების ბრალია? თავად ლატვიელები ამბობენ, რომ ისეა ქვეყანა დაცარიელებული, თითქოს ომმა გადაუარაო.** ფაქტობრივად, ევროკავშირის არსებობა სჭირდება ამერიკას. თუმცა ისინი ვერ ხვდებიან თავად, რომ ამერიკის ისტორია დამთავრდა, მათი შესაძლებლობები ამოიწურა. ხომ არ შეიძლება ყველა ერს ეზიზღებოდე?

რაც შეეხება საქართველოს, მტკიცედ მჯერა, რომ ის არასოდეს **არ გახდება არც ნატოს წევრი და არც ევროკავშირის.**

**— დღევანდელმა ხელისუფლებამ „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებების პოლიტიკური შეფასება დღემდე ვერ მოახდინა, ეს ხალხის გაღიზიანებას იწვევს...**

— ამისი დრო ძალიან მალე დადგება, ერთბაშად ყველას პასუხისმგებლობის დაყენება შეუძლებელია, **თუმცა „ვირის აბანოში“ ჯდომა ბევრს მოუწევს, ალბათ. თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ვერც სააკაშვილი,** რომელიც დღეს ბედნიერად გრძნობს თავს უკრაინაში. ვფიქრობ, ირაკლი ღარიბაშვილმა პრესკონფერენციაზე ბევრ კითხვას გასცა პასუხი, მათ შორის იმ ასი საწარმოს შექმნაზე, რომელიც ხალხს ტყუილი ეგონა. მან განაცხადა: სინამდვილეში 106 საწარმო ამუშავდაო და ამ ფაქტის შესამოწმებლად ჟურნალისტებს მოუხმო. ცხადია, რომ ორ წელიწადში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ვერ ააშენებდნენ, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ამუშავდა წარმოება. სოფლის მეურნეობაც ამუშავდა, ვისაც იქ მუშაობა უნდა, ყველა პირობაა ამისათვის შექმნილი, პრაქტიკულად, საქმე დაიძრა, ახლა მას სჭირდება ხელშეწყობა და განვითარება.

მიმაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობაც განვითარდება ისე, როგორც ჩვენ ქვეყანას სჭირდება, წარმოუდგენელია მათთან მტრობა და ქიშპი, როგორც ეს ნაციონალებს სურთ. ისინი პროვოკატორები არიან და ამერიკის დაკვეთით მოქმედებენ, როცა აგრესიული ლოზუნგებით გამოდიან და ხალხსაც მოუწოდებენ. **ღარიბაშვილ-ივანიშვილის ტანდემი, ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტია დღევანდელ პირობებში,** რადგან ზომიერება, ნებისმიერ საკითხში, აუცილებელია დღეს. სპონტანურად არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

**— ალასანიაზე რას იტყვით, ის კოალიციიდან გავიდა და მარტო სურს თავისი გუნდით მოსვლა პოლიტიკაში, ის დღევანდელი ხელისუფლების სერიოზული ოპონენტი გახდა, ზოგჯერ ნაცებსაც კი სჯობნის აგრესიული განცხადებებით...**

— **ალასანიას რეიტინგი დღეს არის ნულს ქვემოთ და არა ისე,** როგორც „IRI“ ამბობს, ბოლო 20 წლის განმავლობაში ბევრი ადამიანი ვნახეთ ალასანიასნაირი. მას ვერც ამერიკა უშველის და ვერც სხვა ვინმე, ის ვერ შევა პარლამენტში არჩევნების გზით, ეს წარმოუდგენელია.

**— ბურჯანაძეზე რას იტყვით, ქალბატონი ნინო სერიოზულად ემზადება არჩევნებისთვის, ფაქტობრივად, მას ამის გამოცდილებაც აქვს და პოტენციალიც...**

— ნინო ბურჯანაძე ნამდვილად სერიოზული პოლიტიკოსია, მიმაჩნია, რომ მომავალ არჩევნებში ის იქნება პარლამენტში „ოცნების“ სერიოზული, კონსტრუქციული ოპოზიცია.

**— პოლიტიკოსთა უმრავლესობა, პარტიათა განურჩევლად, ევროკავშირის კურსისკენ მოუწოდებს ხალხს, თუმცა წინ გვაქვს თურქეთის მაგალითი, რომელიც 60 წელია ვერ გახდა მათი წევრი, ამ დღეებში ზბიგნევ ბზეჟინსკიმაც გამოთქვა ამაზე თავისი აზრი, ის ამბობს,: 60 წელია თურქეთი ცდილობს და ევროკავშირამდე ვერ მიაღწია, უკრაინასაც ძალიან გრძელი გზა აქვს გასავლელიო, საქართველოს რისი იმედი აქვს?**

— **დღეს ვინც ცოცხლები ვართ, საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში ვერავინ მოესწრება,** ეს გამორიცხულია და თან არც სასურველი, ზემოთ მოვიყვანე ლატვიის მაგალითი, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა მათ წევრ ბევრ ქვეყანაში — ეს ხომ რეალურად უნდა დავინახოთ. **ბევრი ევროპელი მოქალაქე, რომელთაც დოქტორის დიპლომი აქვთ, ირლანდიაში იღებს კარტოფილს — ეს არის მისი სამსახური** — აი, ეს არის ევროკავშირი. რატომ არ დაასაქმეს ასეთი მეცნიერები? სრული სერიოზულობით მინდა განვაცხადო, ეს ყველაფერი იმის მიმანიშნებელია, **რომ ევროპა და მისი ყველანაირი კავშირი — ინგრევა,** დიდი დღე არ უწერიათ. ფაქტობრივად, ეს არის იძულებითი კავშირი, ამიტომ ამის შენარჩუნება ძნელია. **მეხუთე კოლონა ყველგან არის, ჩვენთან არიან ნაციონალები და რესპუბლიკელები,** ასეთივე მეხუთე კოლონა არის უკრაინაში, რომელთაც ჩვენთან აღზრდილი ნაციონალი მეხუთე კოლონის ხალხი ეხმარებიან და ა.შ. ასეთი ჯგუფები ყველგან არიან. მათ კარგად იციან, რომ ღუპავენ ქვეყანას, მაგრამ რა ქნან? ამაში იღებენ ფულს დამფინანსებლებისგან. კადაფიც და სადამ ჰუსეინიც „ამერიკის კაცები“ იყვნენ, მაგრამ როცა დასჭირდათ — ჩახოცეს! **ამერიკასთან ძმაკაცობა არავის გამოსდგომია!** თავიდან თავიანთ ლიდერებს აძლევენ ფულს, ეხმარებიან არჩევნების გაყალბებაში — მერე კი წირავენ, ეს არის მათი ფილოსოფია.

**ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებით დასავლური წარმოშობის „მეხუთე კოლონა“ დაამარცხა საქართველოში და ამიტომაც არის დღეს ამდენი მიზანმიმართული ლანძღვა მის მიმართ.**

საქართველოში ვერც ნაციონალების მეხუთე კოლონა ვერ დაბრუნდება და ვერც სააკაშვილი, ასეთ შეცდომას ქართველი ხალხი აღარასოდეს დაუშვებს.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

The International Republican Institute
IRI
advancing democracy worldwide

# მთელი ხმით ვყვირი, იქნებ ვინმეს გავაგონო — ირაკლი ალასანია, რომელმაც, თავდაცვის სამინისტროში „ნაციონალების“ მიერ დანერგილი მაფიური სისტემა გააგრძელა, დასაჭერია!



## ჰაერზე კი არ ვიძახი, უტყუარი დოკუმენტები მაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ თავდაცვის სამინისტროში მილიონები კი არა, მილიარდებია დატაცებული

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლკოვნიკი **ტრისტან წითელაშვილი**

**— ბატონო ტრისტან, თქვენ ფლობთ გარკვეულ ინფორმაციებს, ამდენად, რა ვარაუდი შეგიძლიათ გამოთქვათ, მართლაც შეიძლება საეჭვო გარიგებებს ჰქონოდა ადგილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში?**

— რას ჰქვია ვარაუდი? ვარაუდი კი არა, ვასაბუთებთ! რა გააკეთა ალასანიამ იმის მეტი, რომ შეინარჩუნა ის შეიარაღებული ბანდიტური ხროვა რაც მემკვიდრეობით მიიღო ნაცმინისტრებისგან და გააგრძელა კიდეც მათი ხაზი?

მაგალითად, ახალაიას მინისტრობის დროს დაიწყო ე.წ თავდაცვითი ზღუდეების აშენება, რაც შემდგომ მემკვიდრეობით გადაეცა ალასანიას და მან დაასრულა კიდეც. ამ მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 300 მლნ ლარი. სამხედრო პირთა ჯგუფისთვის საეჭვოდ იკვეთებოდა რაღაცები, ამიტომ სხვადასხვა მიმართებულების სამხედრო სპეციალისტებმა პირადად შევისწავლეთ „ზღუდეების ამბავი“. აღმოჩნდა, რომ ხარისხი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა სტანდარტს — საავიაციო დაბომბვას გაუძლებდა კი არა, პატარა, 82-კალიბრიანი 120-მილიმეტრიანი „მინამიოტის“ დარტყმის შედეგად შეიძლებოდა დანგრეულიყო; მისი მოცულობა, პარამეტრები, სათადარიგო გასასვლელები, განლაგების სისტემა — აბსოლუტურად არაფერი, მხოლოდ გამოქვაბულია, სიღრმისეულად არაფერია გაკეთებული. თანხა, 300 მლნ, რომელიც ნაჩვენებია რომ ვითომ დაიხარჯა, რეალურად 100 მლნ-მდე თუ იქნება, ისიც საკითხავია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამხელა თანხას ხელიდან გაუშვებდა ალასანია? — ჰოდა, გადაიბარა.

ნებისმიერი ქვეყნისთვის უპირველესი ის არის, რომ საჰაერო კონტროლი და საჰაერო თავდაცვა ჰქონდეს უმაღლეს დონეზე, თორემ თუ თანამედროვე ტიპის აღჭურვილობით დაცული და შეკრული არ გექნა ცა, შენი ბრძოლისუნარიანობა არის ნულის ტოლფასი, ცალკეული ბატალიონებიც კი ვერ მოასწრებენ დისლოკაციის ადგილიდან სათადარიგო რაიონში გადაადგილებას, მოწინააღმდეგე დაიპყრობს საჰაერო სივრცეს, ციდან დაგიწყებს წერტილოვან დარტყმებს, გაგინადგურებს სტრატეგიულ ობიექტებს და ყველა გადადგილებულ მძიმე ტექნიკას.

**— მერე, უკუღმა რატომ დაიწყეს...**

— იმიტომ, რომ „უკუღმა“ კეთებისას უფრო ადვილად შეიძლებოდა მილიონების „მოხსნა“, აბა, ქვეყნის რეალურად თავდაცვა ვის რაში აინტერესებდა? ვინ გააკონტროლებდა ნამდვილად რამდენი მიწა იქნა გამოტანილი იმ გვირაბებიდან, რა რაოდენობის ბეტონი იყო ჩასხმული, რამდენი დაიხარჯა ცემენტი, რამდენი არმატურა — ერთი სიტყვით, ყველაფერი მათ ხელში იყო და ვინ იყო გამკონტროლებელი?

**— საქართველოს საჰაერო ჯარებს სარდალი არ ჰყავდა, იმას მაინც რომ შეეპარებინა, საქმის მთლად ასე მიფუჩეჩება არ ივარგებსო?**

— რაო?! ალასანიამ „რატომღაც“ თავზე ხელი გადაუსვა და ზურგით დაიფარა მერაბ ურიდია, საჰაერო ჯარების სარდალი, რომელსაც იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, თანამდებობის დატოვება კი არა, სამუდამო პატიმრობა ეკუთვნის...

**— მხოლოდ ფაქტებით ვისაუბროთ!**

— თქვენი თვალით ხედავთ, ხელში მიჭირავს 2007 წლის ბიუჯეტი, სადაც ნახევარი მლნ-ია გამოყოფილი თავდაცვის სამინისტროსთვის. შემდგომ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტსა (თავმჯდომარე გივი თარგამაძე) და თავდაცვის მინისტრს შორის მოლაპარაკება შედგა და დაადგინეს, რომ თავდაცვის სამინისტროს ესაჭიროებოდა ახალი აღჭურვილობა, თანამედროვე ტიპის სარაკეტო-საზენიტო ტექნიკასა და აღჭურვილობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, პრეზიდენტ სააკაშვილის გარეშე არაფერი ხდებოდა და პარლამენტმაც დაამტკიცა თავდაცვის ბიუჯეტის გაორმაგება, ანუ გახდა მილიარდი. სააკაშვილს, ბოკერიას, თარგამაძეს, კეზერაშვილს და ა.შ ამ საქმეში ჩართულ პირებს ხომ უნდა აითვისებინა ეს მილიარდი?

ხელშეკრულება გააფორმეს უკრაინულ ორგანიზაცია „უკსპეცექსპორტთან“, რომლის ხელმძღვანელი იყო ვინმე ბონდარჩუკი, იუშენკოსთან დაახლოებული პირი, რომლის გარეშეც უკრაინის ტერიტორიაზე ვერავინ მოახერხებდა ტექნიკის ყიდვა-გაყიდვა, უტილიზაციის საკითხებს. ხედავთ, მითითებულია წელიც, თვეც და რიცხვიც — გადაირიცხა 50 მლნ, მაგრამ პირდაპირი წესით კი არ გააკეთეს, სეიშელის კუნძულებზე გახსნეს ფირმა „ბელტრეინინგი“ ფარული ანგარიშებისთვის. ჩატარდა ეს ოპერაცია, გადაირიცხა 50 მლნ, მაგრამ 40 მლნ დარჩა იქ და 10 მლნ გადაირიცხა უკრაინაში, „უკსპეცექსპორტში“ და მოხდა რაღაც ტექნიკის შესყიდვა, მაგრამ გაიწერა 50 მლნ-ზე.

შემოდის ტექნიკა საქართველოში, მაგრამ ნახეთ, რა წერია,



რა ხდება — 2007 წელს „უკსპეცექსპორტმა“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიჰყიდა ოთხი საზენიტო-სარაკეტო კომპლექტი „ოსა“, 15 კომპლექტი „კუბი,“ 16 კომპლექტი „კრუგი“ — ეს არის თანამედროვე ტიპის ტექნიკა. ამ ტექნიკის ეს რაოდენობა საქართველოში რომ შემოსულიყო, თბილისის შემოგარენს კი არა, მთელი საქართველოს ცას დავიცავდით, ერთი რუსული ბომბდამშენი ვერ შემოფრინდებოდა. მაგალითად, ილიჩევსკის პორტიდან არის შემოსული გემი „გეროი პლავანიი“ რომელმაც ვითომ ეს ტვირთი ჩამოიტანა ფოთის პორტში — არ შემოსულა! ასეთ ოპერაციებში მონაწილეობდა საქართველოს საჰაერო ძალების სარდალი მერაბ ურიდია და პოლკოვნიკი რეზო ფოჩხუა, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კი მათ მფარველობდა. გეკითხებით, რა ინტერესის გამო? რეზო ფოჩხუა დღეს უკრაინაშია სამხედრო ატაშე, გესმით, რაშია საქმე? უამრავი ასეთი საქმეა ჩატარებული და მილიონები როგორც ნაწილდებოდა, მოგეხსენებათ.

2007 წლის 2-5 ივლისს არის ასევე ჩატარებული ამდაგვარივე ოპერაცია — შემოტანილია 250 და 200 ცალი სითბური რაკეტები „სტრელა“ და „იგლა“. ეს რა რაკეტებია, იცით, 3 კმ-ის მანძილზე ბომბდამშენი, რომელიც დაბალ სიმაღლეზე ფრენს, სწორედ ასეთი რაკეტით უნდა ჩამოაგდო — სამიზნეს რომ დაიჭერს, აღარ სცილდება, ანადგურებს.

**— სად იყო ეს რაკეტები 2008 წელს...**

— საქართველომდე არც ამას ჩამოუღწევია, იქიდანვე გადაიყიდა სხვა ქვეყანაში, სირიაში აღმოჩნდა უკვე გასროლილი რაკეტის ფუტლიარი ერთ-ერთ პოლიგონზე... თქვენ გემახსოვრებათ, ცხვრის ბუმი რომ ატყდა ერთხანს, ირანელებს მაინცდამაინც ქართული ჯიშის ცხვარი უნდათო — ირანთანაც იარაღის კონტრაბანდასთან მივდივართ...

**— იმ დასახარჯ მილიარდს მივუბრუნდეთ...**

— კი, ბატონო, ვნახოთ, როგორ აითვისეს. სამხედრო მოსამსახურეთათვის ბინების მშენებლობა თბილისში — 30 მლნ-ია გახარჯული. 2007 წელს სად ნახა ვინმემ ეს ბინები? — და ეს გააგრძელა ალასანიამ. სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების მშენებლობა გორში — 10 მლნ, ვითომ სამხედრო ქალაქები ააშენეს. რეზერვისტთა ბანაკების მშენებლობა სენაკში — 20 მლნ. ფურცელზე რომ გამოიყვანეს 80 000 რეზერვისტი, სხვა კი არაფრისთვის უნდოდათ... ყველაზე თავხედური სასწაული რა არის — სენაკში სამხედრო ბაზისა და საავიაციო ანგარების მშენებლობა. საავიაციო ანგარები საერთოდ არ აუშენებია თავდაცვის სამინისტროს რა ხანიც არსებობს, გადმოგვაბარეს რუსებმა და ამათ, როგორ სჩვეიათ, მხოლოდ გადაღებეს და ვითომ ავაშენეთო, 21 მლნ-ია გახარჯული ამაში.

გააგრძელა ალასანიამ სახელმწიფო მავნებლობა და „აღმოაჩინა“, რომ თავდაცვის სამინისტროს თითქოს ესაჭიროებოდა ნატო-ს სტანდარტების, ახალი კავშირგაბმულობის სისტემა. როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადაიბარა ამიერკავკასიის შტაბი, მას ჰქონდა მაღალგამტარიანი, უმაღლესი ხარისხის პალადიუმისა და ოქროს შემცველობის კაბელები და მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე იყო. რა შუაში იყო „ნატო-ს სტანდარტები“, როცა მასზე უკეთესით ვერაფრით შეცვლიდი? — მთელი მაფიააა! ჩაატარეს ტენდერი, ტენდერში გაამარჯვებინეს „სილქნეტს“ (მეპატრონე გიორგი რამიშვილი, მეტსახელი „ზარალა“, გასული საუკუნის 90-იან წლებში „ვერის საძმოსა“ და ამავდროულად „მხედრიონის“ წევრი, წინა ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მეგობარი). ასეთი უმაღლესი ხარისხის კაბელები შეცვალეს უხარისხო ინდური კაბელებით, რომელიც მათი თქმით, პირველ კატეგორიაში გადაიყვანეს გამტარიანობაში — ამაშიც ფული მოიხსნა.

უყურეთ, რა ხდება — არავინ ახსენებს იმ ძველ კაბელებს! სად წაიღეს, ვინ წაიღო, როგორ წაიღო ასე უხილავად 100-ეული კილომეტრობით ძვირფასი კაბელი? ან ვთქვათ, როგორ მოხდა მისი უტილიზაცია? **სად არის ეს კაბელები? ვის სჯერა რომ უვარგისი იყო, გამოვიდეს და დაგველაპარაკოს, დავუმტკიცებთ როგორი უვარგისიც იყო! იქიდან ხომ ფული ჩაიჯიბეს, აქედანაც დაუმატეს — დიდი ხეირი „გაიჩალიჩეს“, ამაზე საერთოდ არავინ იღებს ხმას! ამ ფულის ნაწილიდან დაფინანსდა „ნაციონალების“ 15 ნოემბრის აქცია — ვიღაცის ნაჭორავებს კი არ გეუბნებით, მასალებია ამის შესახებ!**

ალასანიამ თვლით გადაიბარა ის დამნაშავე სარდლებიც, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებდნენ როგორც პოლიტიკურ დაკვეთებს, არბევდნენ ხალხს, ასევე მიზანმიმართულად ახორციელებდნენ ჯარის დემორალიზაციას. კერესელიძე, რომელმაც ყველაფერთან ერთად დააშიშვლა ოფიცრები, ჩაყარა თხრილში, გადაასხა ბენზინი და

6 gv.

# დემურ გიორხელიძე: 1994 წლიდან მთელ ქვეყანას ერთი და იგივე ძალა „აღურაკებს“

**გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე:**

**— ბატონო დემურ, ზოგადად, მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია და საქართველოში შექმნილ ვითარებასაც ამას უკავშირებენ, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა წინ, გიგანტური ნაბიჯებით, არც მანამდე მიდიოდა. რატომ ვერ ვითარდება ქართული ეკონომიკა? ხშირად, ეს ყველაფერი ხელისუფლებას ბრალდება, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკის ნგრევა 90-იანი წლებიდან დაიწყო და ინერციით გრძელდება. ამაში დიდი წვლილი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს — სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და ა.შ. რამდენად მიუძღვით?**

— ცხადია, ის, რაც დღეს აშკარა გახდა, ბოლო 25 წლის შედეგია. ანუ, იმ ფუნდამენტალური პრობლემებისა, რომელიც ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციით, არასწორი მოდერნიზაციის განხორციელებით, სისტემური მიდგომების არქონითაა განპირობებული და რამაც ეკონომიკის დეფორმაცია გამოიწვია. შედეგად, მივიღეთ ის, რომ ქვეყანა იმ მოცულობებზე, რაც 1990 წელს გვქონდა, დღესაც ვერ გასულა. ფაქტობრივად, პოსტ-საბჭოთა სივრცეში ჩვენ და ტაჯიკეთი დავრჩით, თორემ სხვა ყველა ქვეყანა უკვე გარკვეული განვითარების გზაზე დგას. თუ არ ჩავთვლით უკრაინას საომარი მდგომარეობის გამო. ასე, რომ უდიდესი პრობლემები დაგვიგროვდა. კერძოდ, ბოლო 20 წლის მანძილზე გატარებული პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სხვადასხვა ხელისუფლებები გვყავდა, არ იცვლება. იგი მიმართული არაა განვითარებისკენ, კეთილდღეობის შექმნისკენ და საკუთარი ხალხის ნიჭისა და უნარის გამოყენებისკენ. ამიტომაცაა ტოტალური უმუშევრობა, სოციალური სფეროსადმი უყურადღებობა, ემიგრაციის ძალიან დიდი ტალღა — ქვეყნიდან მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანია გასული. აქედან, რაც ყველაზე კატასტროფულია და ისტორიულად არასდროს ყოფილა, 62,5% ქალია. ანუ, საქართველო დღეს, ფაქტობრივად, ქალთა შრომაზე დგას. აქ კი არაფერი გამოდის, ხელფასი მხოლოდ 660 ათას ადამიანს აქვს, აქედან, 20 ათასამდე უცხოელია, დანარჩენს კი — შემოსავალი არ აქვს. ჩვენთან, სერიოზული არაფერი იწარმოება, ახალი ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანი პროდუქცია არ არსებობს. ქვეყანა, იმპორტზეა ჩამოკიდებული, მანქანები გააქვს, რომელიც ექსპორტის ძირითადი წყარო, თითქმის 20%-ია. მალე ესეც აღარ გვექნება იმიტომ, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნები მალე მოაწესრიგებენ კანონმდებლობას და აზრი აღარ ექნება აზერბაიჯანელმა და სომეხმა მანქანა საქართველოში იყიდოს. შემდეგ მოდის თხილი და ღვინო. ჯამში, ესეც არაფერს წარმოადგენს. ბუნებრივია, ასეთ ეკონომიკაში, როცა გარე ფაქტორები რთულდება, კრიზისები თავისთავად ზედაპირზე ამოდის. სავალუტო კრიზისი რაც ახლა გვაქვს, სწორედ იმის შედეგია, რომ იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყანაში ვალუტის შემოდინების მყარი, სტაბილური წყაროები აღარ არსებობს, ექსპორტი მწირია, ჩვენი თანამემამულეები კი რუსეთში, უკრაინასა და ევროკავშირში პრობლემების გამო, იმდენ ფულს ვეღარ აგზავნიან. სხვა წყაროები არაა, რჩება სესხები. სესხი ისედაც ბევრია აღებული, ამიტომ აქაც, დიდი გაქანების საშუალება არ გვაქვს. თანაც, საქართველოში, სესხების გამოყენების საშინელი პრაქტიკაა. სესხი თუ პირდაპირ ეკონომიკაში წავა, რაც პროდუქციას და მომსახურეობას შექმნის, რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავი იქნება. მაგრამ კარგად ვიცით, რომ სავალუტო ფონდის სესხის გარდა, რომელიც ვალუტის სტაბილიზაციაზე იყო მიმართული, ფაქტობრივად, ყველა სესხი არაეფექტურად იქნა გამოყენებული.

**— ბატონო დემურ, სავალუტო ფონდი საქართველოში 90-იანი წლებიდან მუშაობს. ზოგი მის მოღვაწეობას დადებითად აფასებს, ზოგი უარყოფითად. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**



— მათი რეკომენდაციები სრულყოფილი არ იყო და არ იძლეოდა საბჭოთა ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად გადაკეთების საშუალებას. ამას დაემატა ის, რომ გარდაქმნის ყველაზე საწყის და ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, საქართველოში არ აღმოჩნდა ისეთი ორგანიზებული, მომზადებული ჯგუფი, რომელიც ქართული ეკონომიკის საბაზრო რელსებზე გადაყვანას შეძლებდა და გაითვალისწინებდა იმას, რომ გარდა იმ ზოგადი პრინციპებისა არსებობს ინსტიტუტები, მენტალობა, შეხედულებათა სისტემა, რომელიც სწორად წარმართვის შემთხვევაში შეიძლება განვითარებაზე ორიენტირებული ყოფილიყო.



**— ჩვენ, რუსეთამდე ადრე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები გავხდით. რას გვავალდებულებს ამ ორგანიზაციის წევრობა, რა ხეირია ჩვენთვის? როგორც ვიცი, ერთ-ერთი ვალდებულებაა წევრ ქვეყნებს პროდუქციის შემოტანაზე უარი არ ვუთხრათ, თუმცა, იქეთ, თავად, ბევრი ვერაფერი გაგვაქვს. ასე, როგორ უნდა განვითარდეს ეკონომიკა. გამოდის ვიღაცას გასაღების ბაზრად ვჭირდებით?**

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გვაძლევს მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე გასვლის საშუალებას, მაგრამ რად გინდა, როცა გასატანი არაფერი გაქვს. ახლა, ასეთ მდგომარეობაში ვართ — გვაქვს შესაძლებლობები, მაგრამ არაფერი გვაქვს, რათა ამ შესაძლებლობებით ვისარგებლოთ. ახლახან, ხელი მოვაწერეთ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ხელისუფლებამ და ე.წ. მედასავლეთელეებმა დიდი ხმაური ატეხეს. ამ დროს, ჩვენ, წლების განმავლობაში, გვქონდა პრეფერენციების სისტემა, როცა შეგვეძლო, ევროკავშირის ბაზარზე, შეღავათიანად, იგივე პირობებით, 7200 დასახელების საქონელი გაგვეტანა. რეალურად, რა გაგვქონდა? — 60-მდე დასახელების რაღაც, ისიც მცირე-მცირე ნაწილებად. ამიტომ, საქმე რაშია, იცით? — ეს საშუალებები ქვეყანაში იმის სტიმულებს არ აჩენს, რომ ძალიან კარგი რაღაცები აწარმოო და გაიტანო. იმიტომ, რომ ქვეყანაში გარემო არასაქმიანია, კლანურობაა, ასევე, აშკარაა ხელისუფლების დომინირება ეკონომიკაში, კრიშების გარეშე სერიოზული ბიზნესის კეთების შეუძლებლობა, ფულის ხელმიუწვდომლობა და ა.შ. რეგიონებში კი რეგიონალური კლანები მოქმედებენ, რომელთაც რეგიონები საკუთრებად მიაჩნიათ და თუ ვინმე იქ თავისუფალი საბაზრო პრინციპებით შესვლას გადაწყვეტს, უზარმაზარ პრობლემებს წააწყდება.

**— სამწუხაროდ, ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, გლეხი შემოსულ პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევს. პამიდორი, მწვანილი, სხვა პროდუქტი ყველაფერი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, აქ კი, იგივე პროდუქცია გვილპება.**

— სოფლის მეურნეობაში, რომელიც წლების მანძილზე ღმერთის ანაბარა იყო მიტოვებული, ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში რაღაც პროექტები განხორციელდა, მაგრამ ეს ის არაა, რაც მას ფეხზე დააყენებს. უბრალოდ, არასწორი მიდგომებია. ცხადია, სოფელს ძალიან კარგად გათვლილი სტრატეგია და შესანიშნავი რესურსის გამოყენება სჭირდება. აგრარული ქვეყანა ვერ გავხდებით, მაგრამ კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელიც მომხმარებელს შიდა ბაზარზე მაღალხარისხიან პროდუქციას მიაწვდის და ჭარბ, განსაკუთრებულ პროდუქციას გარეთ გაიტანს, შესანიშნავი პერსპექტივაა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ გამოუყენებელი.

ჩვენ, თვითმფრინავებსაც ვაწარმოებდით, მანქანებსაც. მათი თანამედროვე ტიპის საწარმოებად მოდერნიზაცია შეგვეძლო, მაგრამ ჩვენ ყველა რესურსი სხვა მიმართულებით დავხარჯეთ. ეს მარტივად ასე შეიძლება შეფასდეს — რაც საქართველოს სჭირს ესაა თავხედი, უზრდელი, უპასუხისმგებლო და ავაზაკური დილეტანტიზმის ბრალი. მხოლოდ დილეტანტიზმმა მიიყვანა ქვეყანა აქამდე და სხვა არაფერმა.

**— ყველა სახელმწიფო თავის ნიშას ეძებს. მაგალითად, ჩინეთს მსუბუქი მრეწველობა აქვს, კორეას — ტექნიკა, საფრანგეთს — ღვინო. ანუ პრიორიტეტები გამოყოფილი აქვთ. საქართველოში რა დარგები შეიძლება განვავითაროთ?**

— ცხადია, ყველა ქვეყანას თავისი კონკურენტული უპირატესობები გააჩნია და საქართველოც არაა გამონაკლისი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში საუკეთესო რესურსი ადამიანი და მისი ნიჭის, უნარის განვითარებაა. თუმცა, ვხედავთ რა მდგომარეობაშია დღეს ადამიანი. რაც შეეხება სხვას — შესანიშნავი რესურსია გადამამუშავებელი მრეწველობა. ქართველები უგონო ხალხი არ ვართ, მაგრამ ეს ყველაფერი სტიმულირებული უნდა იყოს და ადამიანი თავისი ნიჭის გამოვლენას ცდილობდეს, რაც არ გვაქვს. ამიტომ, სხვის პროდუქციაზე ვართ ჩამოკიდებული და საკუთარი რაც გვაქვს, ისიც კი არაა გამოყენებული. თუნდაც, საკვები. როგორ შეიძლება კიტრი, პომიდორი თურქეთიდან შემოგვქონდეს, როცა შეგვიძლია თავად ვაწარმოოთ. როგორ შეიძლება შუააზიაში ვყიდულობდეთ მწვანილს, როცა საქართველოს შეუძლია მთელი ევროპა იქეთ მოამარაგოს საუკეთესო ხარისხის მწვანილით და ა.შ. როდესაც მახინჯი სისტემა იქმნება, ჩნდება კლანები, რომლებიც იმპორტის ცალკეულ სეგმენტებზე არიან კონცენტრირებულნი, რაც მათი დიდი შემოსავლებია. ამიტომ, ისინი ადგილობრივი წარმოებების განვითარებით დაინტერესებულნი არ არიან. ხელისუფლებიდან მათი ლობი სწორედ იმას აკეთებს, რომ ადგილობრივი არაფერი განვითარდეს. ეს, მახინჯი ინტერესების გამო ქვეყნის ანუ საზოგადოების ინტერესების ზიანის საწინააღმდეგო მოქმედებაა.

**— ბატონო დემურ, დასაწყისში აღნიშნეთ, პრობლემა მიგრაციის დიდი პროცენტიცააო. მიგრაცია, ქვეყნის გაკოტრება ხელოვნურად მართული პროცესი ხომ არაა?**

— თავისთავად ცხადია, პირობები ქმნის იმას, რომ ადამიანები მიწაზე აღარ შრომობენ და მიწა ეფექტურად ვეღარ გამოიყენება. ყველამ კარგად იცის, რას ნიშნავს დღეს, სოფლად საქმიანობა. ეს ძალზე დიდი რისკის, ძალზე დაბალი შემოსავლების მქონე საქმიანობაა, რაც არაა გამაგრებული ახალი ტექნოლოგიებით, ახალი ტექნიკით, ახალი მეცნიერებით. ადამიანები, მამა-პაპური წესით, დაბალეფექტურ შრომას ეწევიან და ახალ თაობებში, ამ ტიპის შრომის სტიმული, იკარგება. გლეხების უმეტესობა ქალაქშია ჩამოსული, რა ქნან, არსებობა ხომ უნდათ? თბილისი ერთადერთი მოძრავი ადგილია, სადაც კიდევ შეიძლება რამის კეთება. რეგიონები კი გაყინულია და ფაქტობრივად, იშვიათად რომ სადმე სიცოცხლის ნიშან-წყალი ჩანდეს.

**— თქვენ პრობლემებზე საუბრობთ, მაგრამ როგორ გამოვიდეთ ამ ჩიხიდან? ეს შეიძლება ხელისუფლებამ ვერ შეძლოს, რადგან იგი იმ საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაციებსაა მიბმული, მაგრამ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ხომ შეუძლია ამის გაკეთება?**

— მთავარი მაინც პოლიტიკური ნებაა. მთავარი ის არაა, ჰყავს თუ არა ქვეყანას სპეციალისტები, ვისაც ამის გაკეთება შეუძლია. იმისთვის, რომ ქვეყანა ჭაობიდან ამოძვრეს, პოლიტიკური ნების შემთხვევაში, 15-20 კაცია საჭირო, რომლებიც სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმში ჩაერთვებიან და იმ

6 gv.

# მთელი ხმით ვყვირი, იქნებ ვინმეს გავაგონო — ირაკლი ალასანია, რომელმაც, თავდაცვის სამინისტროში „ნაციონალების“ მიერ დანერგილი მაფიური სისტემა გააგრძელა, დასაჭერია!

4 gv.

ცოცხლად დაწვის იმიტაცია ჩაუტარა და კიდევ რამდენიმე სამხედრო პირი, რომლებიც მიზანმიმართულად ახორციელებდნენ ჯარის დემორალიზაციას, პირიქით, დააწინაურა და წაახალისა...

ეს არის 2013 წელს, ანუ ალასანიას მინისტრობის დროს შესული აუდიტის სამსახურის დასკვა, რა თანხები და სად გაიხარჯა მანამდე. აღმოჩნდა, რომ თავდაცვის სამინისტროშიც მიღებული პრაქტიკა ყოფილა ცოლებისთვის (ან სხვისთვის) სუფრების გაშლა... კარგად მოგეხსენებათ, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება, ამის ტრანსლირება უნდა მოახდინოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უფასოდ. ამათ უპოვიათ რაღაც ორგანიზაცია, იმ ორგანიზაციაში აქვთ ფული გადარიცხული, ვითომ იმათ ჰყავთ რაღაც ტელევიზიები მოყვანილი და ისინი აშუქებდნენ, სინამდვილეში ფულია გათეთრებული! მაგალითად, 2011 წლის 26 მაისს სუხიშვილების ანსამბლს ბრდღვინი უდენია რუსთაველზე, ისე უცეკვია და გადარიცხულია 25 000 ლარი; რესტორანი „კოპალა“, „წისქვილი“ და ა.შ ყველას რა ჩამოთვლის — ერთი ოცკაციანი სუფრა 7954 ლარად არის შეფასებული, ყველა სუფრაზე გაორმაგებული და გასამმაგებული თანხებია გაწერილი.

რატომ არ დგინდება და ვერც დადგინდება ვინ მოკლა ესა თუ ის ადამიანი? ვკითხულობ: თავდაცვის იმდროინდელი მინისტრის მიერ იარაღით დაჯილდოებულია 99 ფიზიკური პირი. 17 მათგანი არ მსახურობდა თავდაცვის სამინისტროში. აღნიშნული 17 ფიზიკური პირის იარაღით დაჯილდოების შესახებ გამოცემულ ბრძანებებს ხელს აწერს მინისტრი ბაჩანა ახალაია და მათზე გადაცემული ნაჩუქარი 19 ერთეული იარაღი რომელთა ღირებულებამ 82 000 ლარი შეადგინა, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და საჭიროებს შემდგომ გამოძიებას — ამას ამბობს აუდიტის სამსახური იმ პირების შესახებ. **ეს ის პირები არიან, რომელ პირთა ჯგუფიც ფარულად ჰყავდა და ჰყავს სააკაშვილს და არარეგისტრირებული იარაღით ახდენდნენ კონკრეტული პირების ლიკვიდაციას. ამიტომ იყო, რომ ბალისტიკური ექსპერიზის დასკვნის შემდეგაც ვერ გაირკვევა მკვლელის შესაძლო ვინაობა. ალასანიას რომ ეს დასკვნა ჩაბარდა, ამაზე უნდა დაეწყო წივილ-კივილი, მაგრამ გაჩუმდა და რატომ გაჩუმდა, იცით? ლაშა თორდიას და ალასანიას შეთანხმებით მოხდა ამ მასალების გადამალვა.** ინახებოდა ეს მასალები აუდიტის სამსახურში წელიწადზე მეტი და ამ ბოლო დროს გამოჩნდა „კეთილი ძია“, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა, რომ ისეთი საიმედო პირისთვის გადაეცა, რომელიც იმდენს იყვირებდა, რომ პროკურატურა იძულებული გახდებოდა მოეთხოვა მასალები, ჰოდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ვყვირი!



— **რა იარაღებზეა საუბარი?**

— ეს არის სხვადასხვა ტიპის სპეციარაღები, მათ შორის მაყუჩიანი, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სპეცოპერაციების დროს და არამც და არამც საბრძოლო მოქმედებების დროს.

აი, ესეც 2013 წლის აუდიტის სამსახურის დასკვნაა, რაც პასუხს სცემს კითხვაზე, რატომ მაინც და მაინც გივი თარგამაძემ არ ისურვა ახალგორის დაბრუნება როცა რუსეთის პირველ პირებთან მიღწეული იყო შეთანხმება რომ ისევ ჩვენ დაგვბრუნებოდა (სხვათაშორის, უდიდესი ქართული საქმე გააკეთა ლეონარდო დევდარიანმა მაშინ, მაგრამ ვის სჭირდებოდა?!) 2008 წლის ომის შემდეგ ქართველი ხალხის დასახმარებლად უცხოეთიდან შემოსულმა თანხამ 4,5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა — ამ ფასში გაყიდეს თარგამაძემ და მისმა პარტიულმა მეგობრებმა ახალგორი! ამიტომ სჭირდებოდათ მათ მაქსიმალური რაოდენობის მსხვერპლი და დევნილები როგორც ჯარში, ისე მშვიდობიან მოსახლეობაში. რა ბედი ეწია ამ თანხას, არავინ არ იცის, არსად არ ჩანს — პირდაპირ ასე წერია.

**2008 წლის ომის შემდგომ — 1,5 მლრდ ლარი არის გამქრალი... რაში გამოვიჭირეთ, იცით? ჩვენ ვიმუშავეთ 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდზე და აღმოჩნდა, რომ 2009 წლის 30 მაისს საქართველოში შემოტანილია ახალი ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ეს-200“, უახლესი ტექნიკაა — 1,5 მილიონად არის გაწერილი, მაგრამ რეალურად არ არსებობს საქართველოში!**

„2004-2012 წლებში ქვეყნის ბიუჯეტმა შეადგინა 42 მლრდ ლარი. აქედან ჩვენს მიერ ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივად და უკანონოდ ხარჯვის სახით ეჭვქვეშ დაყენებულია 16 მლრდ ლარი“ — ეს ის მილიარდებია, რომლებიც „ბელტრეინინგში“ ირიცხებოდა. დაუძახონ იმ ლაშა თორდიას, იქ რომ ჰყავთ, მოკიდონ ყურებში ხელი და აღიღინონ რატომ, ვისი მითითებით და რა პირადი ინტერესის გამო დამალა ეს დოკუმენტები, ნაცვლად იმისა, რომ შემდგომი რეაგირებისთვის სასწრაფოდ გადაეცა პროკურატურისთვის.

ჩვენს მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციამ საკმაოდ სიღრმისეულად იმუშავა დიდი წინააღმდეგობების ფონზე და ისევ წინააღმდეგობები! გადაირევით, რამხელაზე აქვს გაეტოტვილი ფესვები ამ ნაციონალურ სარეველას!

ყველაფერს და მათ შორის ე.წ „კაბელების საქმეზე“ გამოძიებას, მოგეხსენებათ, ვალერი ზუმბაძე აწარმოებდა, თავდაცვის სამინისტროს გენინსპეციის უფროსის მოადგილე, რომელიც საკმაოდ სერიოზულ ძალას დაეტაკა. აღნიშნული პიროვნება ახალ ხელისუფლებაში, სანამ თავდაცვის სამინისტროში გადავიდოდა, მანამდე საკმაოდ სერიოზულ თანამდებობაზე მუშაობდა კონტრდაზვერვაში — არავის გახსენებია და არავის გაუკეთებია რაიმე სახის სერიოზული განცხადება მასთან დაკავშირებით. როგორც კი „თავდაცვით ზლუდეებს“, „კაბელებს“, ასევე სხვა დანაშაულებებს მოჰკიდა ხელი და თავდაცვის სამინისტროში ჩანერგილი ოფიცრების წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება, უცბად ატყდა აჟიოტაჟი. ბუნებრივია, კითხვა ჩნდება: თუ ეს კაცი ასეთი კაციჭამია იყო და იცოდნენ, რატომ მალავდნენ? და კიდევ, ან მანამდე აეტეხათ ასეთი ამბავი, ან დაეცადათ, ჩაემთავრებინა ბოლოსკენ მიყვანილი საქმე და მერე აეტეხათ, ხომ უნდოდათ სიმართლის გაგება?

ღიად ვაცხადებ: კატეგორიულად არ ვამართლებს ზუმბაძის ნაბიჯს, რომ დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ და არც თავდაცვის მინისტრს ვუწონებ გადაწყვეტილებას, რომ დააკმაყოფილა ზუმბაძის განცხადება, რადგან დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია და რაც მთავარია, გამოძიების პროცესი მავანთა სასარგებლოდ შეფერხდა.

ჰაერზე კი არ ვიძახი, უტყუარი დოკუმენტები მაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ თავდაცვის სამინისტროში მილიონები კი არა, მილიარდებია დატაცებული.

მთელი ხმით ვყვირი, იქნებ ვინმეს გავაგონო — ირაკლი ალასანია, რომელიც, თავდაცვის სამინისტროში „ნაციონალების“ მიერ დანერგილი მაფიური სისტემა გააგრძელა, დასაჭერია!

**გიორგი ჩხეიძე**

# 1994 წლიდან მთელ ქვეყანას ერთი და იგივე ძალა „ადურაკებს“

5 gv.

მთავარ პოსტებზე განლაგდებიან, რომელთა მსოფლმხედველობითი თანხვედრა კრიზისიდან გამოსვლისთვის აუცილებელია. აქ, საჭიროა სისტემურად მოაზროვნე ადამიანები, დანარჩენი — კვალიფიციური კადრი, ადამიანური რესურსიც საკმარისი გვაქვს. მაგრამ მთავარი მაინც არის არა ის, იცის თუ არა ვინმემ რა უნდა გაკეთდეს, არამედ ის, რომ პოლიტიკური ბაზარი არაა ისეთი, სადაც ერთი პოლიტიკური ძალა მაინც იარსებებს, რომელიც იმ გადაწყვეტილების მიღებას შეუწყობს ხელს, რაც დღეს, ეკონომიკას, ქვეყნის განვითარებას სჭირდება. ქვეყანაში პოლიტიკური ძალა არ არსებობს, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებიდან იმ პოლიტიკურ ძალებს ჩამოაცილებდა, რომელთაც საკუთარი პოლიტიკანური ინტერესების გარდა, არაფერი აინტერესებთ. რაკი პოლიტიკური ბაზარი ძალზე დეფორმირებულია და ფაქტობრივად, ერთი პროგრესული ძალაც კი არ არსებობს, პრობლემა ჩიხში შედის და ქვეყანას ამ რთული მდგომარეობიდან გამოსვლა უჭირს.

— **ბევრი ქვეყანა სწორედ ასე გამოძვრა კრიზისიდან — შეიქმნა საღად მოაზროვნეთა მობილური ჯგუფი, რომელთაც კონცეფცია შეიმუშავეს. ჩვენ არ შეგვიძლია იგივეს გაკეთება?**

— ინიციატივას ასე ვხედავ — რაკი ასეთი პოლიტიკური ბაზარია, ბუნებრივია, ის უნდა ჩანაცვლდეს. ამის ერთადერთ გზად თავისუფალი, ამბიციური ადამიანების თვითორგანიზაცია მიმაჩნია, რადგან ეს ადამიანები თუ საკუთარი ოჯახის, შვილების უპერსპექტივობამ არ შეაშინა, ისე ერთმანეთთან სავალ გზებს ვერ ნახულობენ. დღეს, ქვეყანაში, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმიდან ჯერ სრულად გამოსული არაა, ადამიანებს შორის ეს ურთიერთობები ჩაჭრილია და არ ვითარდება. ამიტომაა, ადამიანების ურთიერთობების დონეზე უპატივცემულობა, ამიტომაა, ბელადებისკენ და მარჩენალებისკენ ხედვა. ახლა კი, დგება მომენტი, როდესაც ამ პოლიტიკური ძალების შემყურე ადამიანებმა თვითორგანიზაციის გზით იმ ძლიერი ორგანიზებული ძალის ჩამოყალიბება შეძლონ, რომელიც ამ პოლიტიკურ სიტუაციას უბრალოდ, ნელ-ნელა, ჩაანაცვლებს. ნებისმიერი სხვა მოლოდინი განწირული და უპერსპექტივოა.

ახლა, რა გამოვიდა? — ორი ათასი კაცი 1994 წლიდან მთელს ქვეყანას ადურაკებს — ხან „მოქალაქეთა კავშირი“ დაირქვეს, ხან „ნაციონალური მოძრაობა“, ხან რა და ხან რა. ერთიდაიგივე ხალხი მოძრაობს საკვანძო თანამდებობებზე და კიდეც მიიყვანეს ქვეყანა კრახამდე.

— **სანამ „ქართული ოცნება“ არჩევნებში გაიმარჯვებდა, თქვენ მუშაობდით ეკონომიკურ კონცეფციაზე, სადაა ახლა ეს კონცეფცია?**

— ხალხი მუშაობდა, კარგი რაღაცები გაკეთდა, მაგრამ მოვიდა პოლიტიკური კოალიცია, გაინაწილეს კვოტები და ქვეყნის განვითარება მეათეხარისხოვან პლანზე გადავიდა. აქ პარტიული ინტერესები, პიროვნული ამბიციები დომინირებდა და პროფესიონალიზმი დღის წესრიგში არ იდგა. ხელისუფლებაში მოვიდნენ და მეორე დღესვე ყველაფერი დაივიწყეს. კონცეფცია, ხალხისთვის, მეტნაკლებად ცნობილია. მთავარი ისაა, როგორ უნდა ააგო სახელმწიფო კონსტრუქცია — ყველაფერი სახელმწიფოს რაობიდან იწყება, უნდა გაერკვე მის რაობაში, როგორი სახელმწიფო გინდა, ამ სახელმწიფოში შენი ხალხის მომავალი როგორ წარმოგიდგენია ანუ სოციალური პოლიტიკა გლობალურად როგორია, როგორ უყურებს ხელისუფლება განათლებას, მეცნიერებას, ჯანდაცვას, კულტურის განვითარებას. ჯერ ეს უნდა განსაზღვრო, მერე ამას ეკონომიკა უნდა მოემსახუროს და ეს ისე ააგო, რომ იგი იყოს ეფექტური და შედეგის მომტანი.



— **თქვენი კონცეფცია თაროდან აღარ ჩამოვიღოთ?**

— ესეც პოლიტიკური ნების საქმეა. როგორც კი გაჩნდება ასეთი ნება, ყველაფერი მოქმედებაში მოვა. პოლიტიკურ ნებას აჩენს ხალხი, მან უნდა გააჩინოს ასეთი პოლიტიკური ნება. თუკი ასეთი სურვილი იქნება, ყველაფერი გაკეთდება.

**თამარ შველიძე**

**555 23 28 24**

გვესაუბრება ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის მკვლევარი, სამართლის დოქტორი
**ბიძინა სავანელი**



# ბიძინა სავანელი: საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევდი: იყავით ყველასთან და არავისთან!

**- ბატონო ბიძინა, როგორ უყურებთ ნატოსა და ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების საკითხს, რამდენად რეალურია ეს პერსპექტივა დღესდღეობით?**

- ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი და პრაქტიკოს-იურისტი პროფ. ტორსტეინ ეჩკობი თავდაუზოგავად ებრძოდა მცირე ერების ნატოში გაერთიანებას, ხოლო მსოფლიოს საქმეებში ამერიკის და რუსეთის დომინანტურ როლს კატეგორიულად გმობდა. მან განცხადა: ''მე ხელს ვუწყობ ნორვეგიელი ხალხის საყოველთაოდ აღიარებულ დამოუკიდებლობას, თვითგამორკვევას და სუვერენიტეტს. მე ჩემს თავს, როგორც პაციფისტს არ განვიხილავ, მაგრამ განუხრელი ანტიმილიტარისტი ვარ.'' დიახ, ნატო უპირატესად მილიტარისტული ორგანიზაციაა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხი კიდეც რომ რეალური იყოს, მე უარყოფითად ვუყურებ მას.

რაც შეეხება ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის საკითხს, მას მხოლოდ დადებითად ვუყურებ.

— ზოგიერთი ევრაზიული კავშირის მომხრეა. ამ გზაგასაყარზე ხომ არ გვეფიქრა ამაზეც? მგონი, კამათი უნდა დაიწყოს, რომ ,,ჭეშმარიტება დაიბადოს'', ასე არაა?

**— დავსვამ საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეულ კითხვას: რა ტერიტორიებით გაწევრიანდება საქართველო ნატოში, ან ევროკავშირში და ეს ინტეგრაცია მოგვცემს თუ არა მომავალში იმის გარანტიას, რომ ოდესმე დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ?**

— დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ! მაგრამ ამისათვის დროა საჭირო. ჩვენ მცირე ერი ვართ, ამიტომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ მოვლენებს თვალყური უნდა ვადევნოთ და ამ მოვლენებში ჩართულ მთავარ მოთამაშეებს შორის მიმდინარე ბრძოლის შედეგებს უნდა დაველოდოთ. ხომ გაგიგიათ: ,,მოჩქარეს მოუგვიანდესო'', ,,აჩქარებითა სოფელი არავის უშენებია''.

**— კანტიკუნტად ისმის ნეიტრალიტეტზე საუბრები. რამდენად რეალურია ჩვენი ქვეყნისთვის ნეიტრალიტეტზე საუბრები ახლა და საერთოდ?**

— დღევანდელი გეოპოლიტიკური პირობების გათვალისწინებით, მხოლოდ ორი მშვიდობიანი საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის არჩევანი გვრჩება: ან ნეიტრალიტეტი, ან სამხედრო ბლოკებს მიუმხრობელი ქვეყნის სტატუსის გამოცხადება.

ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებას ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად სულ ცოტა მეზობელი ქვეყნების საერთაშორისო ცნობა სჭირდება, რაც კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში გამორიცხულია.

ამ ეტაპზე საქართველოს სამხედრო ბლოკებს მიუმხრობელ ქვეყნად გამოცხადება რჩება, რომელსაც ასეთი ცნობა არ სჭირდება. სხვათა შორის, იდეას სამხედრო ბლოკებს მიუმხრობელ ქვეყნად საქართველოს გამოცხადებისა ჯერ კიდევ 2009 წლიდან ვახმიანებ.

საქმე ისაა, რომ ჩვენ ისტორიულად სამი იმპერიული ''ვეშაპის'' — რუსეთის, ირანისა და თურქეთის ცენტრში ვიმყოფებით. მათ ჩრდილო კავკასიელი მუსლიმი ხალხები, განსაკუთრებით ჩეჩნეთი, ემატება, რომელნიც რუსეთსა და ანტიამერიკულ ისლამურ ძალებს შორის ფარული გარიგების პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას დღეს უკვე რეალურ საფრთხეს უქმნის.

ნატოს ანტიტერორისტულ ოპერაციებში ჩვენი ჩართვა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ჩვენს ქვეყანას ისლამურ სამყაროს, მათ შორის, ვიმეორებ, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ ხალხს დაუპირისპირებს, რის გამო საქართველო უახლოეს მომავალში ტერორისტების ობიექტად შეიძლება იქცეს. ამის სიმპტომია მცირერიცხოვანი ქართველი ერის შვილების, ჩვენი ყმაწვილების ავღანეთში დაღუპვა.



ამ ეტაპზე, ხაზს ვუსვამ, ამ ეტაპზე, მხარი უნდა დავუჭიროთ სამხედრო ბლოკებს მიუმხრობელ სახელმწიფოდ საქართველოს გამოცხადებას, რაც მთავარია, რუსეთს, აგრეთვე ირანს და პროისლამურ სამყაროს დროებით დააშოშმინებს, რაც დროს მოგვცემს, რათა ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად ფეხზე დავდგეთ და გავძლიერდეთ. მით უმეტეს, რომ რუსეთთან მდგომარეობის გართულებისაგან თავის არიდების მიზნით ევროკავშირის რამდენიმე წევრი-სახელმწიფო ნატოში ჩვენს შესვლას სულ ცოტა 5-7 წლის მონაკვეთში ვეტოს დაადებს.

და საერთოდ, რა ბედი ელის ნატოს, უახლოეს მომავალში, არავინ უწყის.

სამხედრო ბლოკებს მიუმხრობელ და არა ნეიტრალურ სახელმწიფოდ საქართველოს გამოცხადება რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას ამ ეტაპზე მკვეთრად შეარბილებს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამერიკისათვის ზურგის შექცევას. ამერიკა ნატოში შეუსვლელადაც მხარს გვიჭერს და დაგვიჭერს. თუმცა, ამ მხარდაჭერას რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციისათვის ხელი არ შეუშლია.

რა იდეალური ჯარიც არ უნდა შევქმნათ, რუსეთისაგან მიტაცებულ სოხუმსა და ცხინვალს ვერ დავიბრუნებთ, თურქეთის მიერ აჭარის ხავერდოვან დაპყრობას წინ ვერ აღვუდგებით, რუსეთის ხელშეწყობით სამცხე-ჯავახეთში სომხეთის მოსალოდნელ გააქტიურებას ვერ შევეწინააღმდეგებით.

ამიტომ ხელისუფლებას ფიგურალურად მოვუწოდებ: ამ ეტაპზე ,,ვიყოთ ყველასთან და არავისთან.''

ვიმეორებ, დღესდღეობით გვრჩება სამხედრო ბლოკებს მიუმხრობელ სახელმწიფოდ საქართველოს გამოცხადება და საშინაო პრობლემებზე აქცენტის გადატანით ევროკავშირისკენ ჩვენი აუჩქარებელი, თანმიმდევრული და აურზაურის გარეშე სვლა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# თინა ხიდაშელი - ხარძიანის საქმეს სჭირდება უფრო სერიოზული პასუხი, ვიდრე მივიღეთ ვაზაგაშვილის მკვლელობაზე



ბესო ხარძიანის საქმეს სჭირდება გაცილებით უფრო სერიოზული პასუხი, ვიდრე ჩვენ მივიღეთ იური ვაზაგაშვილის მკვლელობაზე, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ''რესპუბლიკური პარტიის'' ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა.

''არ შემიძლია ამ ტრიბუნასთან ვიდგე დღეს და ერთი წინადადებით მაინც არ შევეხმიანო იმ საზარელ მკვლელობას, რომელიც საქართველოში რამდენიმე დღის წინ მოხდა და კიდევ მანამდე, რამდენიმე ხნით ადრე. იურა ვაზაგაშვილის და ბესო ხარძიანის მკვლელობა არის, შესაძლოა, ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩვენი ხელისუფლება დადგა, რის წინაშეც ჩვენი ახალი შს მინისტრი და საქართველოს პროკურატურის ახალგაზრდა გუნდის ახალი შემადგენლობა დადგა. მე დარწმუნებული ვარ, დიდი იმედი მაქვს, რომ ორივე საქმე სათანადოდ გამოძიებული იქნება და არ დარჩება არც ერთი კითხვის ნიშანი ამ გამოძიებასთან დაკავშირებით; დაისჯებიან როგორც შემსრულებლები, ასევე, დამგეგმავები, შემკვეთები. ასეთი მკვლელობები შემთხვევით არ ხდება. ასეთი მკვლელობები ასე უცბად, რომ დილით ვიღაცამ გაიღვიძა ცუდ ხასიათზე და ტყვია გაისროლა, არ ხდება, ამიტომ ამ საქმეს სჭირდება გაცილებით უფრო დიდი და სერიოზული პასუხი, ვიდრე ჩვენ მივიღეთ იური ვაზაგაშვილის მკვლელობაზე და მე დარწმუნებული ვარ, სრული ნდობა და რწმენა მაქვს, რომ საქართველოს პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ნათელს მოჰფენს ამ საქმეებს'', - განაცხადა თინა ხიდაშელმა.



მისივე თქმით, ამ საქმეების გამოძიება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ აღარავის არასოდეს ეჭვიც არ გაუჩნდეს, რომ ასეთი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს და ეპატიოს. ''ჩვენი სახელმწიფოს სიჯანსაღისთვის და სიჯანმრთელისთვის არის აუცილებელი ამ მკვლელობებზე პრინციპული და სათანადო პასუხის გაცემა'', - დასძინა თინა ხიდაშელმა.



# მიხეილ ხუბუტია:

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს „ჩამოწერილი“ დიპლომატები ვერ მოაგვარებენ

## თუნდაც ხუთი წუთი რომ დაელაპარაკონ ღარიბაშვილი და პუტინი ერთმანეთს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს სასიკეთო გადაწყვეტილებებს მიიღებენ

**„საერთო გაზეთი“ რუსეთში „ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტ მიხეილ ხუბუტიას ექსკლუზიურად ესაუბრა.**

**— ბატონო მიხეილ, „საერთო გაზეთს“ აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია, წერს და ლაპარაკობს იმ თემებზე, რომლებზეც სხვა მედიასაშუალებები ღიად არ ლაპარაკობენ: ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, პირველ ყოვლისა, საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა გამოვიდეს შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან. თქვენ რას იტყოდით ამ თემის შესახებ?**

— მომწონს თქვენი პოზიცია. ყველა ქართველი, პირველ რიგში, პროქართული უნდა იყოს. მეც პროქართული ორიენტაციის უფრო ვარ, ვიდრე პრორუსული. მე, არ ვიცი, ვინ და რატომ ამბობს ჩემზე პრორუსული ორიენტაციის არისო (სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს). გარწმუნებთ, ასე არ არის. მე, რა თქმა უნდა, მინდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აღდგეს. იცით, რუსეთის გადასაწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობა აღდგება თუ არა, რა თქმა უნდა, ტერიტორიებზეა საუბარი. ეს არის ჩვენი მტკივნეული საკითხი, რასაც ჩვენ, ვერც ერთი ქართველი ჩვენს თავში და გულში ვერ გადავლახავთ. მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ ამას უნდა მივაღწიოთ, პირველ რიგში, იმ ბაზით, რა ბაზაც გაგვაჩნია - „ქართველთა კავშირი“, სადაც ჩვენ აფხაზ და ოს ახალგაზრდებს ვაერთიანებთ, პირველ რიგში, უნდა დავუმეგობრდეთ მათ. შემდეგ უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენი ერთად ყოფნა მათთვისაც უკეთესი იქნება. რაც შეეხება რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ გეზი უნდა ავიღოთ სწორედ რუსეთთან სამეგობროდ, იმიტომ რომ, ამერიკა ძალიან შორს არის, ნატოზე საუბარი კი, ჩემი აზრით, ბლეფია და მეტი არაფერი, ისევე, როგორც ევროკავშირზე. დიახ, ბლეფია ეს ყველაფერი. ჩვენ ვხედავთ ამერიკა როგორ იქცევა, მე კარგად ვხედავ ამას, თქვენ შეიძლება სხვა აზრი გაქვთ, ეს თქვენი ნებაა, მაგრამ რეალობა ერთია. და ის ორი განცხადება, რომელიც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა, ვგულისხმობ იმას, რომ აჭარა თურქეთის ტერიტორიაა, ეს საგანგაშოა. ჯავახეთშიც ძალიან არასახარბიელო ვითარება. რაც შეეხება სამეგრელოს, მე ძალიან მაკვირვებენ ის ადამიანები, რომლებიც სამეგრელოში სეპარატისტულ განცხადებებს აკეთებენ. სამეგრელოში უნდა გაკეთდეს ცალკე ავტონომიაო, და ა.შ. რაღაც მსგავსი განცხადებები. პირდაპირ გეტყვით, მე ამ ადამიანებს სამშობლოს მოღალატეებად ვთვლი.

**— ანუ სამეგრელოშიც ერთგვარი სეპარატიზმი შეინიშნება?**

— მე ძალიან მაღელვებს ეს, ვფიქრობ, ეს დასაწყისში უნდა აღმოიფხვრას. არ უნდა მივცეთ მათ ამ საუბრების გაგრძელების საშუალება, ჯერჯერობით, უჭკუო ადამაინები გაიძახიან ამას, მაგრამ თუ ჭკვიანი ადამიანებიც შეუერთდებიან მათ მოსაზრებას, ეს უკვე საშიში იქნება. ასე რომ, ჩვენ, პირველ რიგში, ჩვენს თავზე, საქართველოზე უნდა ვიფიქროთ. აი, როგორ ვხედავთ ჩვენ საქართველოს 50-100 წლის შემდეგ, როგორ ვხედავთ ჩვენ ჩვენი ბავშვების განათლებას, როგორ და ვისთან ერთად ვხედავთ ჩვენ ჩვენს მომავალს? გასაგებია, რომ პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა თავის დროზე ევრო-ატლანტიკური ალიანსი აირჩია, მაგრამ ჩვენ კარგად უნდა დავფიქრდეთ, შევადაროთ ერთმანეთს, რას გვაძლევს ეს და როგორი მომავალი გვექნება მათთან ამ შემთხვევაში. ჩემი მოსაზრებით, გავა 20-30 წელი და ამერიკა საქართველოს თურქეთს გადასცემს. ხოლო რუსეთთან მეგობრობა ჩვენ მოგვცემს, ასე ვთქვათ, გადარჩენის საშუალებას. დიახ, საქართველოს გადარჩენის და გაერთიანების საშუალებას, მაგრამ ხერხები მოსაფიქრებელია და შეთანხმებული უნდა იყოს. ჩვენ, როგორც სახალხო დიპლომატები ამ სახალხო დიპლომატიის გზით ყველაფერს ვაკეთებთ ამის მისაღწევად, მაგრამ ხელისუფლების დაუხმარებლად არაფერი გამოვა. ძალიან ცუდია ხელისუფლების უმოქმედობა. ჩვენ გვინდოდა, რომ ოლიმპიადის დროს, თუნდაც საქართველოს სპორტის მინისტრი ჩამოსულიყო მოსკოვში, რუსეთის პრეზიდენტი აუცილებლად შეხვდებოდა მას, მაგრამ არ ჩამოვიდა. ვლადიმერ პუტინმა რამდენჯერმე გამოხატა სურვილი, რომ შეხვედროდა საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა ამაოდ...

სხვათა შორის, ხასიათებით ირაკლი ღარიბაშვილი და ვლადიმერ პუტინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

**— კონკრეტულად რა მსგავსებაა ღარიბაშვილსა და პუტინს შორის?**

— მე ვიცნობ პრეზიდენტ პუტინს. ირაკლის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, მალე გავიცნობ, თუმცა ვიცნობ ირაკლის ბავშვობის მეგობრებს, ჰოდა, ისე ახასიათებენ ირაკლის, რომ ბევრი მსგავსება აღმოვაჩინე მათში. ორივე, ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, ძალიან მიმწოლები არიან, ეს ერთი. მეორე, ორივე ძალიან სტაბილური ადამიანია. ისინი თავისი სიტყვის პატრონები არიან, პატრიოტები არიან და უკან დახევა არ სჩვევიათ. აი, ეს არის, ამის თქმა მინდოდა. და ამ ხასიათით იბადება ადამიანი და მისი გადაკეთება ან თავიდან აღზრდა ბუნებრივია, გამორიცხულია. ვფიქრობ, თუნდაც 5 წუთით, რომ დაელაპარაკოს ღარიბაშვილი პუტინს, ხაზს ვუსვამ, თუნდაც 5 წუთით, ერთი ერთზე, გამორიცხულია საერთო ენა ვერ მოძებნონ.

**— თუმცა პრეზიდენტი პუტინი არ ცდილობს საქართველოსთან ურთიერთობების დათბობას, იგივე სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხისადმი მისი მიდგომა რად ღირს, რომ გავიხსენოთ.**

— არა, ეს უკვე პოლიტიკური საკითხია და ის უკან, რა თქმა უნდა, არ დაიხევს. ტერიტორიების აღიარებას უკან არ წაიღებს, ვიმეორებ, უკან დამხევი არ არის. აქ სხვა გზა უნდა მოიძებნოს.

**— რა კონკრეტულ სქემას, გეგმას შესთავაზებთ დღეს ორივე მხარეს - რუსეთს და საქართველოს, რომელიც ორივე მხარისთვის იქნებოდა მისაღები?**

— განა მარტო საქართველო და საქართველოს ხელისუფლება, მე მგონი, არც რუსეთში მცხოვრები და არც საზღვარგარეთ მცხოვრები არც ერთი ქართველი, მათ შორის, მეც, არასდროს შეეგუება, რომ საქართველო იყოს დაყოფილი და საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს უნდა მოხდეს, პირველ რიგში, ისეთი ხერხით, რომ ჩვენ უნდა დავმეგობრდეთ აფხაზებსა და ოსებთან. მაგრამ დღესდღეობით იმ რიტორიკით, რომლითაც ჩვენ ვუდგებით ამ საკითხს, არაფერი შეიცვლება და გამოსწორდება. როგორც მოგეხსენებათ, ეს ტერიტორიული დაყოფა და ურთიერთობა აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის დაიწყო 90-იან წლებში, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის დროს, (სააკაშვილი შევიდა ისტორიაში, როგორც ადამიანი, რომელმაც მესამედი ტერიტორიების დაკარგა). რეალურად დაიკარგა. მას რომ არ ჰქონოდა ისეთი რიტორიკა, ჩვენ მივაღწევდით გაერთიანებას. დღესდღეობით კი, რაღაც სხვა ფორმა უნდა მოინახოს და მე მგონი, მოინახება





იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებას, ეს ნამდვილად მოუნდება. მე უფრო ვხედავ, რომ საქართველოს არ უნდა ეს, უბრალოდ გაიძახიან და ხმამაღლა ყვირიან, რომ კონფლიქტი არ გაგრძელდეს, მაგრამ ამისთვის რას აკეთებენ რეალურად? აი, ნახეთ, თუნდაც რუსეთთან დიალოგი როგორ დონეზეა. პრემიერ მინისტრს ჰყავს წარმომადგენელი, რომელიც, ეფექტურად ვერ მუშაობს. ნუ, ასე ვთქვათ, ჩამოწერილი დიპლომატია.

მე მეგულება ერთი მინისტრი საქართველოს მთავრობაში, რომელშიც შესანიშნავად გაართმევდა თავს ამ მისიას. ის ჭკვიანი, ენერგიული, ინიციატივიანი პიროვნებაა, ანუ ზუსტად ისეთია, რომელიც ამ ურთულესი პროცესების ადგილიდან დაძვრას შესაძლებლებდა, თუმცა მისი ვინაობის დასახელებისგან, ამჯერად, თავს შევიკავებ.

**— ანუ სხვა ადამიანი რომ ყოფილიყო აბაშიძის ნაცვლად უკეთესი შედეგები გვექნებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგების გზაზე?**



— ვისურვებდი კი არა, კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ სანამ ეს ფორმატი არ შეიცვლება, მანამდე არაფერი ახალი აღარ მოხდება.

**— თქვენ ახსენეთ საქართველოს ხელისუფლებას რეალურად არ სურს ურთიერთობის აღდგენაო, თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ეს?**

— როგორც კი რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა მზადყოფნა საქართველოს ხელისუფლებას შეხვდეს, მაშინვე გამოვიდა აშშ ელჩი რიჩარდ ნორლანდი და განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება შეხვდება რუსეთის ხელისუფლებას მაშინ და ისეთი ფორმატით, როდესაც მოუნდება საქართველოს ხელისუფლებასო. ეს რას ნიშნავს, ანუ საქართველოს ხელისუფლებას ყველაფერს კარნახობს ამერიკა, თანაც ელჩი, რომელიც არ არის პირველხარისხოვანი დიპლომატი. არც ერთ ელჩს არ აქვს უფლება ჩაერიოს მასპინძელი ქვეყნის შიდა საქმეებში. ჩვენთან კი, ამერიკის ელჩი გამოდის, როგორც მსაჯული ამ საქმეებში. ეს მე, როგორც სულით ხორცამდე ქართველმა, ძალიან დიდ დამცირებად მივიღე. ჩვენ შეგვიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ საქართველო არაფერს წყვეტს, წყვეტს ელჩი, ის კარნახობს ხელისუფლებას, როდის შეხვდება და როდის არა. ეს მოსკოვშიც ძალიან კარგად ესმის ყველას.

**— რას ამბობენ რუსეთის პოლიტიკური წრეები საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსზე?**

— ყველა ისე ფიქრობს, როგორც მე გითხარით. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, რუსეთის ხელისუფლებაც ასე ფიქრობს და პოლიტიკური ისტებლიშმენტიც. ამას კარგი არაფერი მოჰყვება. იმიტომ გავიძახი, რომ საქართველო მიდის ჩიხში, მეტიც, უკვე ჩიხშია და გამოსავალს მე, ასეთი სიტუაციიდან, ველარ ვხედავ, თანაც ძახილი — ნატო, ნატო, და რუსეთის გინება, რუსეთის ვითომდა დაფრთხობა ნატოში შესვლით აბსოლუტურად არაფრის მომტანი არ არის. სიტუაციას დაძაბავს, თორემ ვერ განმუხტავს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საქართველო უკაკუნებს ნატოს კარებს და ნატო უკაკუნებს რუსეთის კარებს. აი, წარმოიდგინეთ ახლა, ასეთი გამოუვალი მდგომარეობაა ამ მხრივ. რა თქმა უნდა, რუსეთი არ დაუშვებს, რომ ნატო ასე მოგვიახლოვდეს. მას ძალიან კარგად ესმის, რომ რუსეთი ძლიერდება და ძლიერია. ამდენად საქართველო აქ სერიოზულ პრობლემებს გაიჩენს თუ ნატოსადმი მისი სწრაფვა არ შესუსტდება. მეორეც, ნატოში მიღება რას მოუტანს საქართველოს, რომც მოხდეს სასწაული და მიგვიღონ. თუ შევიდა ნატოში, რა თქმა უნდა, სამუდამოდ უნდა დაივიწყოს აფხაზეთი და სამაჩაბლო. ნატოს წევრი გვყავს მეზობელი თურქეთი, რომელიც აცხადებს, რომ აჭარა მათი ტერიტორიაა. ემოციებით და ამბიციებით, რომ არ ვილაპარაკოთ, ექსპერტები, რომ დავსვათ, ნალდი და არა მოსყიდული ექსპერტები, მე ნებისმიერ ექსპერტს შემიძლია დავუმტკიცო, რომ რუსეთთან ურთიერთობა უკეთესია, ვიდრე ცალმხრივი მეგობრობა დასავლეთთან. გარდა ამისა, მარტო ერთ მხარესთან კი არ უნდა იყოს მეგობრობა, ამ შემთხვევაში დასავლეთთან და ყველასთან უნდა ვიმეგობროთ.

**— რუსეთი საქართველოში საინფორმაციო ომს აგებს? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსეთს არც აინტერესებს ამ ომის მოგება, რატომ ხდება ასე?**

— ამაში გეთანხმებით, რა თქმა უნდა, რუსეთი ყოველთვის აგებს საინფორმაციო ომს. საქართველოს უმეტეს ტელეარხებზე ძალლი პატრონს ველარ ცნობს, ჟურნალისტური ეთიკა საერთოდ დაირღვა საქართველოში. ობიექტურ ჟურნალისტებს მე დღესდღეობით საქართველოში ვერ ვხედავ და ეს კიდევ ძალიან დიდი შეცდომაა დღევანდელი ხელისუფლებისა, რომ სერიოზული ჟურნალისტიკა არ არის ჩვენში. მე ვიცი, რომ დღეს ხელისუფლება ბევრ კარგ რაღაცას აკეთებს, მაგრამ ჯერ ერთი, არ შუქდება, მეორეც, „რუსთავი-2" და ყოფილი ხელისუფლების რესურსები ყოველთვის ცდილობენ და გამოსდით კიდევ, რომ გადაფარონ ყველა კარგი გაკეთებული საქმე. სამწუხაროდ, ასეა, დღეს მედიის უმრავლესობას ნაცები აკონტროლებენ.

**— ასევე გვაინტერესებს, კონკრეტულად თქვენ რას აკეთებთ ურთიერთობების დასათბობად, 700 ათასი ქართველია რუსეთში. რა ნაბიჯებს დგამთ, ყველაზე მეტად თქვენ უნდა წუხდეთ ამაზე...**

— იცით, ჩემს თავზე რომ გითხრათ, ბავშვობიდან მეზიზღებოდა და მეზიზღება, პოლიტიკა. რაც შეეხება ჩემს პიროვნებას, 32 წლის ვიყავი, აქ მინისტრი ვიყავი და მქონდა ძალიან დიდი პერსპექტივები, რომ კარიერა გამეგრძელებინა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე არ არის პოლიტიკა და ხელისუფლებაში ყოფნა, მე უნდა ვიყო თავისუფალი ადამიანი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რას ვაკეთებ, აი, მე ყოველდღე, მერწმუნეთ, ვაკეთებ, ვნერგავ იმ ქართულ სითბოს რუსეთში, რომ რუსებს ქართველები არ დაავიწყდეთ, მთელმა რუსეთმა იფიქროს, რომ ქართველები, როგორც ერი, მაინც მეგობრული ერია, სტუმართმოყვარე ერია, თუნდაც ავიღოთ მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. 2 წლის განმავლობაში პირველად ისტორიაში ქართული „კავეენი" გადავიდა უმაღლეს ლიგაში და მერვედ ფინალიც მოიგეს ახლახან. ე.ი. რუსული უნდა ისწავლონ, პროდიუსერები უნდა ჰყავდეთ, აქ რომ ჩამოდიან თვეობით ამ ახალგაზრდებს მოვლა უნდათ, მხარში ამოდგომა უნდათ, ეს ორი კაპიკი არ ჯდება, მე მგონი, ნახევარ



მილიონამდე მიდის წელიწადში, გარდა ამისა, რა თქმა უნდა, რაც მე გავაკეთე ეკლესიაში პირადად ჩემი დამსახურებაა. თუ სააკაშვილის მომხრე არ იყავი და ნაციონალების თითქმის აკრძალული იყო ეკლესიაში შესვლა. წარმოიდგინეთ, როგორი პოლიტიზირებული იყო ქართული ეკლესია მოსკოვში და ამას ძლიერ აკონტროლებდა „ნაციონალური მოძრაობა", მისი რომელიღაც წევრი. მე არავითარ შემთხვევაში არასდროს ვიტყვი იმას, რომ მთლიანად „ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს მტერია. ეს მტერი ტერმინი საერთოდნ უნდა ამოიღოს კაცმა ლექსიკონიდან, ძალიან ცუდი სიტყვაა. მარტო ჩვენ ვართ ერთმანეთის მტრები, თორემ გარედან ჩვენ მტრები არ გვყავს. ეგ გვღუპავს, რაც შეეხება ეკლესიას, მოხდა სიტუაციის შეცვლა. მე რამდენჯერმე ვიყავი კათოლიკოს-პატრიარქთან, რამდენიმეჯერ ვიყავი რუსეთის პატრიარქთან. ჩამოვიდა მამა ვახტანგი, გავაკეთეთ რემონტი, თითქმის ყოველ შაბათს ქართველთა კავშირის წევრები, ახალგაზრდები მუშაობენ ფიზიკურად, ფინანსურად, რა თქმა უნდა, ვეხმარებით ქართველები. გარდა ამისა, გრანდიოზული რაღაც მოხდა. უზარმაზარი შენობა, რომელიც იყო ოდითგანვე ვახტანგ მე-6-ს მეფობის დროს გაშენებულ ეკლესიად, მერე გახადეს ტექნიკუმი, ცოტა ხნის წინ გაათავისუფლა ტექნიკუმმა ეს შენობა და ამ დღეებში გადმოგვცემენ ჩვენ გასაღებს. მოკლედ, გრანდიოზული რაღაც მოხდა. გარდა ამისა, კონცერტები, მისვლა-მოსვლა, თუნდაც „თბილისობა", რაზეც დაესივნენ იმ ადამაინებს, იმ მომღერლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ. 30 ათასი ადამიანი შემოვიდა იმ დღეს პარკში და ნახა, აი, რას ნიშნავს „თბილისობა", როგორი ტკბილი მიღება და ურთიერთობა აქვთ ქართველებს, მე თვითონ როგორც მეგრელი კაცი ელარჯს ვაკეთებდი და ვარიგებდი, ეს, რა თქმა უნდა, უფასოდ ყველაფერი, ჰოდა, ამის მერე, რამდენადაც ვიცი, 100 ზე მეტი ადამიანი წავიდა თბილისში ნაღდი თბილისობის სანახავად. სხვათა შორის, მეც ვიყავი ჩასული. აი, ზუსტად ასე უნდა აღდგეს ურთიერთობები, უნდა აღდგეს რუსული ენის სწავლა, თქვენ წარმოიდგინეთ, აი, როგორ ურთიერთობა აქვთ ამერიკას და ჩინეთს ერთმანეთთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელები თავიანთ ბავშვებს თავიანთ სკოლებში ძალიან ორგანიზაციას უკეთებენ, რომ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა იცოდეს ჩინური ენა. ისინი ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ, მაგრამ, როგორც ვატყობთ, საქართველოში უკრძალავენ რუსული ენის სწავლას. სწავლას იმ ენის რომელი ენითაც უნდა ველაპარაკოთ ჩვენს მეზობლებს. აბა, სომხებს და აზერბაიჯანელებს რა ენაზე უნდა ველაპარაკოთ? აი, ამას ცდილობს ამერიაკა და ჩვენ კი ყურადღებას არ ვაქცევთ.



**— ბატონო მიხეილ, არსებობს თუ არა საერთო ინტერესები საქართველოსა და რუსეთს შორის და რა ინტერესებია ეს?**

— პირველ რიგში, გეოპოლიტიკური ინტერესი, მეორე რიგში, გენეტიკური სიყვარული, რა თქმა უნდა, სარწმუნოება, ურთიერთმეგობრობა, ურთიერთდახმარება და უსაფრთხოება.

**— დიდი მადლობა, ბატონო მიხეილ, წარმატებები მინდა გისურვოთ.**

— მეც გმადლობთ. წარმატებები, ქეთი.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# „ელისო+“ ვიღაცებს არწმუნებს: — მე ბიძინა ივანიშვილის ხმა ვარო. ივანიშვილის კი არა მისი მტრების ხმა ხარ შენ, ელისო კილაძე!



2012 წლის არჩევნების შემდეგ ქართლ ჟურნალისტიკაში „ამობრწყინებული ვარსკვლავის“ ელისო კილაძის, საკუთრებაში არსებულ გაზეთ „ქრონიკა+“ - ის ფურცლებზე მისივე ავტორობით გამოქვეყნებული სტატიები, კონკრეტულად ჩემს მიმართ წამოწყებული ბინძური კამპანია რომ არა, კილაძის ორწლიანი, მე ვიტყოდი, აღვირახსნილი „შემოქმედების“ მსხვერპლთაგან დუმილი, ნამდვილად არ გავუტოლებდი თავს ღრმა დაშიფვრის აგენტს, ზედმეტსახელად „ნუკრი“-ს და პასუხის ღირსადაც არ ჩავთვლიდი. მაგრამ ქალბატონ ელისონუკრის, მე, ქეთევან ზარნაძე, მისი სხვა მსხვერპლების მსგავსად „დაბალი ღობე“ ვგონივარ, ფიქრობს, რომ „თმენის ვალდებულებას“ მაკისრებს კანონი და ამიტომ იძულებული გავხდები „შევეგუო ბედს“, რასაც ის, სავარაუდოდ, შემდეგ გამოიყენებს და იტყვის - თუ რამე ჰქონდა სათქმელი, რატომ არ თქვაო?!

სათქმელი რომ მქონდა, ამიტომაც ვთქვი (ძალიან მოკლედ, მაგრამ არაფერი ახალი. ის, რაც ორი კვირის წინ ვთქვი, პატიმარი რომ ვიყავი, მაშინაც ვამბობდი, მაგრამ ჩემი პატიმრობის დროს კილაძეს ჟორჟოლიანის და კოდუას დასაცავად არ ეცალა) და ეს სათქმელი მხოლოდ for.ge-მ გამომიქვეყნა, რისთვისაც მადლობას ვუხდი მას. ამას მოჰყვა კილაძის საპასუხო წერილი თავის გაზეთში და ასევე ინტერვიუ ყოფილ პატიმართან მაკა შეროზიასთან. ერთ ნომერში ჩემს შესახებ თითქმის ექვსგვერდიანი პასკვილის გამოცხობა რისი მიმანიშნებელია, ამას მე არ ვიტყვი, სხვებმა თქვან!

ელისო კილაძე თავის „მონოლოგში“ ამბობს, რომ მე ვარ „დავალების შემსრულებელი“, მაგრამ ავიწყდება, სად და როდის გადაიკვეთა პირველად ჩვენი გზები და ეს არ მომხდარა ჩემი ინიციატივით: შარშან, მაისში, ჩემს პირად ნომერზე დამიკავშირდა ჟურნალისტი დარეჯან მეფარიშილი, რომელმაც ინტერვიუ მთხოვა. მე მას ვუთხარი: რაც მქონდა სათქმელი, უკვე ვთქვი და ახალი რა გითხრა-მეთქი. მიუხედავად უარისა, ჟურნალისტი არ შემეშვა და იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი. როგორც კი მოვიდა მეფარიშვილი (არ ვიცნობდი, არასდროს მინახავს) ისევ გავუმეორე, რომ არ ვაპირებდი ინტერვიუს მიცემას, მან საპასუხოდ ჩანთიდან ამოიღო „დავთარი“ და მითხრა, რომ კითხვები ჩამოუწერა რედაქტორმა, რომ ეს კითხვები შეიცავდა ჩემზე კომპრომატებს და თუ ინტერვიუს არ მივცემდი, უჩემოდაც დაწერდა სტატიას. „დავთრის“ მიხედვით, სულ ოთხი კითხვისთვის უნდა გამეცა პასუხი, სხვათა შორის ის, რაც მეფარიშვილს და კილაძეს ჩემი კომპრომატი ეგონათ, მე ჯერ კიდევ პატიმრობის დროს მქონდა პრესაში გამოქვეყნებული. ჩემი მხრიდან ინტერვიუ განვავრცე და საბოლოო ჯამში, გაზეთის ორი გვერდიც „ავითვისე“.

„ქრონიკა+“-ის გამოსვლის დღესვე ჩემი ინტერვიუს ნაწილი, სადაც მე ვსაუბრობდი, როგორ დავმარხე ცვილის ფიგურები მატროსოვზე, კილაძემ თავის საიტზე (ინტერნეტგამოცემა) დადო, რაც ნანუკა ჟორჟოლიანმა აიტაცა, ჟორჟოლიანმა გააკეთა კომენტარი - ვაი, ირაკლი როგორ მეცოდები, ეს რა კატეგორიის ხალხი გებრძვსო. მე დავურეკე მეფარიშვილს და პირდაპირ ვუთხრი: თუ სტატიის საიტზე დადება უნდოდათ, თავიდან ბოლომდე უნდა დაედოთ და არა ის, რაც ჟორჟოლიანს და რედაქციას აწყობდა. ანუ, როდესაც კილაძეს, როგორც თავად ამბობს, ცარიელი ვაზნა „გაუვარდა“ მეფარიშვილის სახით და „კომპრომატები“ „დაეწვა“, ამის შემდეგ მიმართა ჩემი დისკრედიტაციის მეთოდს, რაც ინტერიუს ნაწილის საიტზე ატვირთვაში გამოიხატა. ესეც რომ არა, მე ის ადამიანი ვარ, ვინც ადეიშვილის ბრძანებით გვამების შემგროვებელ კოდუას პირად ინტერესებს შევეწირე და ციხეში 7 წელი და 7 თვე ვიჯექი. ამ პერიოდში რეჟიმს არ ვემორჩილებოდი და რატომ უნდა აღვფრთოვანებულიყავი კილაძის მცდელობებით გაეთეთრებინა ირაკლი კოდუა, ნანუკა ჟორჟოლიანი და მათი წრე? ამიტომ ორი კვირის წინ მოკლედ ვთქვი კოდუას შესახებ ბევრჯერ ნათქვამი და კილაძეც ვამხილე...

სიმართლე გითხრათ, როცა გამოვხატე სათქმელი და ვიკითხე, ელისო კილაძის ქმარს გრიგოლ (გია) ხარშილაძეს როდის და როგორ დააწყებინეს მუშაობა შსს-ს დასავლეთის მომსახურების სააგენტოში და ის ამ თანამდებობაზე კონკურსგარეშე იქნა დანიშნული, მეგონა, ელისო კილაძეს შერცხვებოდა. თუმცა მოხდა საპირისპირო, ჩემდა გასაოცრად, მან დაადასტურა ინფორმაცია ქმრის დასაქმების შესახებ და განაცხადა, რომ თურმე თავად კილაძე და მისი ქმარი რომ არ ყოფილიყვნენ, საქართველო დაიღუპებოდა და დიახაც, გრიგოლი უმუშევარი არ უნდა ყოფილიყოო! ჩემამდე მისი ქმრის დასაქმების შესახებ კითხვა ქალბატონ ელისოს, სოციალურ ქსელში, ფეისბუქში, დაუსვეს და როგორც „ნუკრის“ ჩვევია, „მდინარე სხვა კალაპოტში გადააგდო“, იგივე „ტრიუკი“ ჩაატარა კილაძემ თავის სტატიაში და „ოსტატურად“ აუარა გვერდი კონკურსგარეშე ქმრის სამსახურში მიღებას, ეს მაშინ, როცა სხვებს ამ თემაზე მორალს უკითხავს. კილაძე წერს: „სიმართლეა ისიც, რომ ჩემს მეუღლეს ნამდვილად გაუგრძელეს სამუშაო ვადა, რამაც, ეტყობა, ძალიან შეაშფოთა პრემიერის სიმამრი. სხვა შემთხვევაში, ქ-ნ ზარნაძეს არ ეცოდინებოდა ჩემი მეუღლის ბრძანების გაგრძელების არც თარიღი და არც ვადის დასრულების დრო“.

**ე.ი. რა გამოდის? ეს საქართველოს „გადამრჩენელი“კანონის მოქმედების ორი სტანდარტის მომხრეა? რატომ თვლის, რომ მან უნდა მიიღოს ყველაფერი კანონდარღვევით და თან მორალისტად დარჩეს? „ოპოზიციონერ“ კილაძეს და მის გარემოცვას რატომ ჰგონია, რომ საზოგადება ჩლუნგია, რომელიც ადვილად „ბოლდება“ და სჯერა ზღაპრების?** და კიდევ ერთი, კილაძეს დაავიწყდა, თავის სტატიაში აღენიშნა ის, რომ მე, ქეთევან ზარნაძე, 17 წლიდან ვმუშაობდი შს სისტემაში, ვარ ჩინით ვიცე-პოლკოვნიკი, მისგან განსხვავებით, შტატგარეშე არასდროს ვყოფილვარ და არც არაფერს ვმალავ!!

კილაძე წერს: „ის (მე, ქეთევან ზარნაძე) არც ერთხელ უარყოფით კონტექსტში არ ახსენებს არც ვანო მერაბიშვილს, არც ამირან მესხელს და არც სოსო თოფურიძეს. რატომ? საინტერესოა, როგორ ახსნის ის თავად ამ ფაქტს“, - ჩემთვის კი სანტერესოა, რატომ ეგონა კილაძეს რომ მე უარვყოფდი, სოსო თოფურიძე ჩემი ბავშვობის (საბავშვო ბაღიდან) მეგობარი რომ არის. ის იყო ჩემი კლასელი. ბავშვობიდან ვიცნობდი და ვმეგობრობდი ოლეგ მელნიკოვთან, რომელიც აგრეთვე ჩემი სკოლელი და თანამშრომელი იყო წლების განმავლობაში, მერე რა? სადმე ან თოფურიძესთან ან მელნიკოვთან ერთად ვიყავი სპეცოპრაცის მონაწილე თუ კილაძის ოჯახის „დევნა-შევიწროებაში“ მიმიღია მონაწილეობა? სხვათა შორის, 1981 წელს, ყირიმში, კონსპიაციულ ბინაში შევხვდი იური ანდროპოვს (აქვე დავაზუსტებ, ანდროპოვი ცოლს არ ღალატობდა, ეს ცნობილი ფაქტია), რატომ შევხვდი ანდროპოვს, ეს კილაძემ გაარკვიოს ძველ კგბ-ს თანამშრომლებთან, რომლებთანაც „ტკბილი“ მოგონებები და ურთიერთობა აკავშირებს. ჩემი კურსელები არიან: დავით უსუფაშვილი, ზურაბ მარაქველიძე, კოტე კუბლაშვილის მეუღლე, მიხეილ გოგიშვილი (კუბლაშვილის ყოფილი მოადგილე), გია ქავთარაძე და კიდევ უამრავი ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირი, როგორც შსს-ში, ისე პროკურატურასა და მართლმსაჯულების სისტემაში. ეს ისინი, ვისაც ვიცნობ, მაგრამ ვანო მერაბიშვილის შს მინისტრობისას, მე დაჭერილი ვიყავი, მანამდე კი კახა ბენდუქიძის მრჩეველი ვიყავი და იქ არც ვანო და არც მესხელი ნამდვილად არასდროს მოსულა. რომ მოსულიყვნენ, აუცილებლად გამაცნობდა ბენდუქიძე და მე ნამდვილად არ დავმალავდი ამ ფაქტს.

**თუ შეიძლება კილაძის მეგობარი (ორწლიანი, ან ნაკლები სტაჟით) იყოს ნანუკა ჟორჟოლიანი, იმ კაცის ცოლი, რომელმაც ლომის წვლილი შეიტანა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის (და არა მარტო მის) დაღუპვაში, იმ დროს, როცა კილაძე ბადრი პატარკაციშვილის შტაბის წევრი იყო, რატომ თვლის რომ ჩემთვის კომპრომატია ჩემი კლასელები და ჩემი კურსელები,** არ გავაგრძელებ, გონივრული ეჭვის საფუძველზე რა კითხვები მაქვს მეც და საზოგადოებასაც, თუმცა ძალიან კარგად ვიცი, რასაც ლაპარაკობენ პატარკაციშვილის შტაბის ყოფილი წევრები კილაძის შესახებ.

მეორე: მე ვთქვი, რომ კილაძის ძმას ჰქონდა ჯართის ბიზნესი, რაც ასევე დაადასტურა „ვარკვლავმა“ და ესეც „დიდი მამულიშვილობით“ ახსნა. არადა, რომ ჰკითხო, კილაძე და მისი ოჯახი, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხელისუფლების მუდმივ ოპოზიციაში იყო. **მე ვსვამ კითხვას: თუ კილაძე იყო შევარდნაძის ხელისფლების ოპოზიცია, რატომ მისცეს უფლება ჰქონოდა ბიზნესი? ეს ჯართის იქნებოდა თუ საცვლების, რა მნიშვნელობა აქვს?** ბიზნესი ბიზნესია და როცა ხელისუფლებასთან შენი პოლიტიკური შეხედულებები წინაალმდეგობაში მოდის, გამოდის, რომ ამ ხელისუფლების „რომელიმე“ „ჩიტი“ გაფარებს ხელს!!! რატომ? ფარული გარიგების გამო ხომ არა?!! მოიყვანოს „ელისო+“-მა თუნდაც ერთი მაგალითი, ოპოზიციაში მყოფი რომელი ბიზნესმენი გაახარა ან შევარდნაძემ ან სააკაშვილმა? რეჟიმები ხალხს, რიგით მოკვდავებს, არ პატიობდნენ „დანაშაულს“ და კილაძე რა „კატეგორიის“ „ჩიტი“ იყო, ყველა რეჟიმი უძლური რომ გახდა მის წინაშე? კარგი იქნება, ამ კითხვების საპასუხოდ კილაძე თუ არ მოიყვანს „დევნა-შევიწროების“ იმ ისტორიებს, რომელთაც თავად ამძიმებს და რითაც ურცხვად სპეკულირებს!

ვინ შეიძლება ყოფილიყო კილაძის „კრიშა“, ეს თავად კილაძემ დაასახელოს და დაადასტუროს ისევე, როგორც ამ ბიზნსში მისი ოჯახის წევრის მონაწილეობა და ინტერესები დაადასტურა. კარგი იქნება, ასევე კილაძე თუ დაასახელებს და დაადასტურებს, ვინ გაუწია მის ქმარს ორჯერ რეკომენდაცია 2014 წლის ნოემბერში შსს-ში, იმ ხელისუფლების დროს, რომელსაც დღე და ღამე აგინებს, ცდილობს უსუსურად და უუნაროდ წარმოაჩინოს, ვინ დაარღვია კანონი გრიგოლ (გია) ხარშილაძის დასასაქმებლად? კილაძე იურისტიც ყოფილა და ალბათ უნდა იცოდეს, რომ კანონის დარღვევა საქართველოს გადამრჩენელისა და მტრის მიმართ ერთნაირად დასჯადია!! **საკითხავია, ქმრის დასაქმების ფაქტის გამოყენებით, აქაოდა, მიღებული გოგო ვარო, ხომ არ ცდილობს ქალბატონი ელისო „გაამყაროს“ მის მიერვე დაყრილი ხმები, თითქოს ბიძინა ივანიშვილის დავალებით მოქმედებს და მისი პირადი „მრჩეველია“ და ეს მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა კილაძის „შემოქმედება“ საჯაროდ დაგმო!!**

ორიოდე წინადადებით შევეხები „ქრონიკა+“-ის რესპონდენტს მაკა შეროზიას, რომელიც აცხადებს, რომ ვიყავი სოსო თოფურიძის აგენტი და ე.წ. მატროსოვის ბუნტი ჩემი პროვოცირებით მოხდა. შეროზია ასევე აცხადებს, რომ „ბაკლოსანი“

**„საკითხავია, ქმრის დასაქმების ფაქტის გამოყენებით, აქაოდა, მიღებული გოგო ვარო, ხომ არ ცდილობს ქალბატონი ელისო „გაამყაროს“ მის მიერვე დაყრილი ხმები, თითქოს ბიძინა ივანიშვილის დავალებით მოქმედებს და მისი პირადი „მრჩეველია“ და ეს მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა კილაძის „შემოქმედება“ საჯაროდ დაგმო!!“**

შევიტანე დაწესებულების ტერიტორიაზე და ასევე მე მივეცი ჩვენება მეამბოხე პატიმრების წინააღმდეგ. ყველაზე „მთავარი“, თურმე შეროზიას უკვე გათავისუფლებული, იმიტომ არ ვეკონტაქტებოდი, რომ მას ჩემზე ბევრი კომპრომატი ჰქონდა და მეშინოდა. ფერი ფერს და მადლი ღმერთს, შეროზია სწორედ კილაძის რესპონდენტი უნდა ყოფილიყო., ორივე აგენტია და იმიტომ!!! შეროზიას ქალი (ინტერვიუს შესავალში ჟურნალისტი წერს შეროზიას „რეგალიების“ შესახებ, რაც ჟურნალისტს, ბუნებრივია, არ დაესიზმრებოდა), ურცხვად აცხადებს, რომ, თურმე, პროკურორი იყო და ამ დროს პროკურატურის შტატიანი თანამშრომელი არასდროს ყოფილა!! ის ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს. ძალიან მაინტერესებს, ელისო კილაძისთვის თუ შეროზიას დაკავება, ასევე კილაძის ვაჟის დათო ხარშილაძის ორჯერ დაპატიმრება ნარკოტიკების მოხმარების ფაქტზე უკანონო იყო, ჩემი დაკავება რატომ იყო კანონიერი!!? მოკლედ, ვიტყვი, ჩემს საქმეში ერთი მოწმეც არ არის კოდუას კრეტინი თანამშრომლების მეტი და სხვათა შორის, როგორც წერს კილაძე-შეროზია, ჩემს სართულზე არც ლიფტი არსებობს და არც ჩანაწერი, რომ ლიფტთან მდგომი ქალი წამალს ყიდდეს. სხვა დროს, როცა რამეს დაწერთ, კეთილი ინებეთ და საქმის მასალებს გაეცანით, რაც კოდუამ ვერ შეთითხნა, თქვენ ნუ კერავთ. ასევე გაეცანით იმ მასალებს, რომელსაც ჯერ კიდევ პატიმრობის დროს ვაქვეყნებდი, მერე თავად კოდუას ჰკითხეთ, ვინ ჰყავდა ჩემთან შუამავალი და რას აბარებდა მას და კიდევ რომ არ დაწეროს კილაძემ რამე, აქვე ვიტყვი, კოდუას შუამავალიც ჩემი დიდი ხნის მეგობარი იყო. სამწუხაროდ, მერაბ კალანდაძე დღეს გარდაცვლილია, მაგრამ კოდუას წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა სწორედ კალანდაძის განცხადების საფუძველზე დაიწყო. სწორედ ამის შემდეგ მოკლეს სადახლოს გამშვებ პუნქტზე მერაბ კალანდაძე!!



შეროზია და კილაძე წუხან, რომ, თურმე, „ზონაზე“ მობილური ტელეფონი ამომიღეს და სასჯელი არ დამიმატეს და ამ დროს შეროზიას არ ახსენდება, რომ სავადმყოფოდან ზონაზე 10 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 500 ლარი შემოუტანა ერთ პატიმარს და მის წილად 500 ლარი წამლის გარკვეულ რაოდენობასთან ერთად აიღო! ამ საქმეზე დაწყებული გამოძიება იმის გამო, რომ ფაქტის გახმაურება დეპარტამენტს ხელს არ აძლევდა, არავინ იცის, როგორ დასრულდა, თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ვისაც „წამალი“ შემოუტანა შეროზიამ, დოზის გადამეტებით კომაში ჩავარდა და იქაურმა ექიმებმა დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი შეძლეს, ამიტომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. საინტერესოა, ჩემი შეტანილი 'წამლით“ მოკვდა ტომა, რომელიც იმ პატიმართან ერთად გადაივანეს საავადმყოფოში, რომელსაც შეროზიამ წამალი შემოუტნა!? შეროზიას ისიც დაავიწყდა როგორც ჩანს, რომ გამოძიებას თავად მიუთითა, სად ინახავდა ჰეროინს ის პატიმარი, რომელსაც მას ნარკოტიკი შემოუტანა და ამის სანაცვლოდ საპროცესო გარიგება მოითხოვა! შეწყალებით გათავისუფლების წინა დღეს კი, ზონის ეზოში, მეგის ქარდავასთან ერთად „ჭუკჭუკებდა“! ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც მან კუდის დავალებით გააკეთა: მამამისის მეგობარ მოსამართლესთან კონვერტით შევიდა და კუდზე კუდდასმულმა კუდს კაცი დააპატიმრებინა, ამიტომ იყო, რომ პატიმარ შეროზიას მშობლები არ ნახულობდნენ. ჰოდა, **რატომ უნდა მქონოდა შეროზიასთან ურთიერთობის სურვილი ან „იქ“ და ან „გარეთ“, მით უმეტეს, რამდენიმე თაღლითურ ფაქტზეა უკვე მსჯავრდებული. საკუთარ დედმამას რომ არ უნდა, ისეთ ქალთან მე რატომ უნდა ვიმეგობრო. ამაზე, იმედი მაქვს, კილაძე გამცემს პასუხს და არა მარტო მისი გაზეთით!** და რაკი ელისო კილაძე და მისი რესპონდენტი აცხადებენ, რომ, თურმე მე ვარ ნარკოდამოკიდებული. გარისკოს კილაძემ და ოჯახთან ერთად (თავად, შვილები, ქმარი, ძმა) ჩემთან ერთად წამოვიდეს ნარკოლოგიურში. თუ მისი სურვილი იქნება, მე ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად მივალ და კილაძის ოჯახის წევრებთან ერთად გავივლი ნარკოლოგიურ შემოწმებას.

**„გარისკოს კილაძემ და ოჯახთან ერთად (თავად, შვილები, ქმარი, ძმა) ჩემთან ერთად წამოვიდეს ნარკოლოგიურში. თუ მისი სურვილი იქნება, მე ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად მივალ და კილაძის ოჯახის წევრებთან ერთად გავივლი ნარკოლოგიურ შემოწმებას.“**

„ელისო+“ წერს, თუ ზარნაძის სახლიდან წაღებული დოკუმენტები მართლა რეალურად არსებობდა, სახლში რატომ ინახავდაო (რომ არსებობდა სასამართლოს ოქმშიც წერია, თუმცა ვერ გავარკვიე, სად წაიღეს და დარწმუნებული ვარ, „ჩიტი“ ეტყოდა ელისოს, სადაა დაბინავებული დოკუმენტები), მაგრამ თავად ელისო როგორ ახსნის რედაქციის კართან „დატოვებული“ კონვერტის საიდუმლოებას (ასე ტოვებენ ზუსტად სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებს რედაქციების კართან), სადაც თურმე საგანელიძის, ალი ბაბაევის და სხვათა აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები იდო? საგანელიძესთანაც წააგო კილაძემ და ალი ბაბაევთანაც, მაგრამ ბატონმა ალიმ ჯერ კიდევ კუბლაშვილის სასამართლოში მოუგო პროცესი და ალბათ ამიტომ არ დაიწყო კრიახი „ელისო+“- მა! ელისოს ძალიან უნდა პროკურატურას „გაუჭეჭყოს თავი“ (იქ დევს ობმოკიდებული კოდუას წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების მასალები) და ამიტომ დაუშვა მორიგი შეცდომა, ამიტომ აღიარა, რომ გამოძება შეცდომაში შეიყვანა და იძულებულია დაასახელოს ის ადამიანი, ვინც ამ დოკუმენტების შესახებ იცოდა, თუმცა ცოდნა არ ნიშნავს მიწოდებას! საინტერესოა, პროკურატურაში დაწყებულია თუ არა გამოძიება ცრუ ჩვენების ფაქტზე, ან რატომ არ ინტერესდება იმ ე.წ. მასალების წარმომავლობით სამართალდამცავი სტრუქტურა, რომელიც ცრუ-ელისოს გაზეთის ფურცლებზე მოხვდა!!?

**დაბოლოს, ჟურნალისტიკაში 1991 წელს შემოგდებული და 2012 წლის არჩევნების შემდეგ „გაპარსკვლავებული“ კილაძე, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრესის თავისუფლების სახელით რეალურად თავგასულობას ჩაუყაროს საფუძველი. იმის გამო, რომ ელისო კილაძე ახლოს არ გაიკარა ახალმა ხელისუფლებამ ექს-პრემიერის და პრემიერის დაპირისპირებას ცდილობს და სულ არ ანაღვლებს, ამას რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს საქართველოსთვის...**

**ივანიშვილის „მრჩეველს“ შენიღბულად გამოჰყავს ექს-პრემიერი უსუსურ ადამიანად და აქვეყნებს „ქართული ოცნების“ წევრების „კომპრომატებს“, ასევე ცდილობს ჟურნალისტებს შორის განხეთქილება დანერგოს, რასაც შემდეგ სათავისოდ იყენებს, ჯდება ნაციონალებზე დამოკიდებულ ტელევიზიაში და „ბრძენის“ სახით შხამს ანთხევს!**

**როდემდე?**

**როგორც ხმები მომდის, „ელისო+“ ვილაცებს არწმუნებს: — მე ბიძინა ივანიშვილის ხმა ვარო.**

**ივანიშვილის კი არა მისი მტრების ხმა ხარ შენ, ელისო კილაძე და შენი შავბნელი საქმიანობით მათ წისქვილზე ასხამ წყალს.**

**ქეთევან ზარნაძე**

ფასიანი წერილი

# საქართველო „ნაცმოძრაობის“ კიდევ ერთ პროვოკაციას აცდა?!

ქართველი საზოგადოების აზრით, „ნაცმოძრაობას“ დამნაშავე პარტიას, უბრალოდ, მორალური უფლება არ ჰქონდა ჩაეტარებინა აქცია 21 მარტს იმ ადგილზე, სადაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს სასტიკად უსწორდებოდა განხვავებულ აზრს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მთავარი გეგმა ჩაეფუშათ.

დასამალი არავისთვის არის, რომ ქვეყანაში არეულობის სურვილი, რომელიც აშკარად ტელეეკრანიდან განაცხადეს, ჯერ კიდევ შარშან, კიევში განვითარებული მოვლენების დროს აღეძრათ. არეულობის მოსაწყობად მათ ხალხის მხარდაჭერა სჭირდებოდათ, მაგრამ ქართველი ხალხს კარგად ახსოვს მათი „საგმირო საქმეები“.

21 მარტს, ჩვენი ინფორმაციით, „ნაცმოძრაობა“ სერიოზული დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავდა. მათი გეგმის ერთ-ერთი ნაწილი სისხლისღვრასაც ითვალისწინებდა. ნაცების იდეოლოგებმა კარგად იციან, ხალხი ვერ მოითმენდა მათ ყელყელაობას რუსთაველის პროსპექტზე და კონტრაქციას გამართავდა. სწორედ ამით ისარგებლებდნენ ნაცბანდის ზონდერები და შეტაკებას მოაწყობდნენ. სავარაუდოდ, გამორიცხული არ იყო თავადვე გაეწირათ რომელიმე მხარდამჭერი,



რითაც შექმნიდნენ სისხლიან კადრებს უცხოელი ლობისტებისთვის. თავს მოისაწყლებდნენ და დაჩაგრულების სახელს ამოეფარებოდნენ. აქციის დაწყებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთაველის პროსპექტზე წითელი საღებავი დაღვარეს.

ჩვენი ინფორმაციით, წითელი საღებავი აქციის მონაწილეებს შემთხვევით არ ჰქონიათ. ხალხმრავალი აქციის პირობებში საღებავსაც ტელეკადრებისთვის გამოიყენებდნენ. ანუ სურდათ მომიტინგეებისთვის მოეცხოთ, რასაც უმალ გადაიღებდნენ და გაავრცელებდნენ. მაყურებლისთვის გაუგებარი იქნებოდა, მართლა სისხლი იყო თუ საღებავი და სკანდალიც მზად იყო. საერთაშორისო საზოგადოება კი აღშფოთდებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, სატანური პროვოკაციების მთელი კასკადი ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ფულზე არ გაიყიდა.

იმ დღესაც, ტრადიციულად, ვიდეო ჩართვა განახორციელეს (საიდან, გაურკვეველია, თავად ნაცები ამბობენ, კიევიდან იყო და ფონად ბრიუსელი დაუდესო), თავიანთ ბელადს მისცეს სიტყვა. ჰალსტუჰისღეჭია მატყუარამ დააბრეხვა, 50 ათასი ადამიანია შეკრებილი აქციაზეო. სინამდვილეში რამდენი იყო, ყველამ კარგად ვიცით, თავად სააკაშვილმაც, ჩვენივე ინფორმაციით, იმავე საღამოს თვითონ დარეკა „ნაცმოძრაობის“ ოფისში და დედ-მამის სული უტრიალა აქციის ორგანიზატორებს — რატომ იყო ასე ცოტა ხალხიო. როგორც ანონიმურმა წყარომ გვითხრა, „ნაცმოძრაობის“ მაღალ ეშელონებში დიდი განხეთქილება ჩამოვარდნილა.

21 მარტის აქცია, მართალია, მშვიდად დასრულდა, რაც ხელისუფლებისა და შსს-ს დამსახურებაა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, „ნაცმოძრაობა“ დაშოშმინებას არ აპირებს და არეულობის შეტანა ახლა საკანონმდებლო ორგანოში სურთ.

გასულ შაბათს, 28 მარტს კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა დედაქალაქის ცენტრში — დღისით, მზისით საკუთარი სახლის სადარბაზოში ჩაცხრილეს ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი.

მკვლელობის კვალს ამჯერადაც „ნაცმოძრაობის“ წევრებთან მივყავართ. მართალია, მოძრაობის ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, ჩვენ არაფერ შუაში ვართო, მაგრამ ყველამ კარგად იცის, ნაცები ყველაფრის მკადრებლები რომ არიან. ახლა მთავარია, შემკვეთები დასახელდნენ და დაისაჯონ. იური ვაზაგაშვილი მაშინ მოკლეს, როდესაც ორ-სამ დღეში უნდა დაესახელებინა შვილის მკვლელები, ხოლო ბესიკ ხარძიანი იბრუნებდა წართმეულ ბიზნესს, იბრძოდა სამართლიანობის აღსადგენად.

დღესავით ნათელია, „ნაცმოძრაობა“ დაშოშმინებას არ აპირებს, პირიქით, ცდილობს, გააძლიეროს ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული ქმედებები. რომ არა უკრაინაში დაძაბული ვითარება, იქიდან აპირებდნენ მებრძოლების ჩამოყვანას საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ. უკვე დიდი ხანია, დროა, ქართველმა საზოგადოებამ მიუჩინოს ადგილი დამნაშავე პარტიას.

**გია ბურდული**

551 71 27 07



# საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №9-11

ნაციონალების მთავრობამ „ენერგოპროს“ სხვა სიკეთეებთან ერთად, ექვსი ჰიდროელექტროსადგურიც უბოძა. „საერთო გაზეთს“ ძალზე საინტერესო დოკუმენტები ჩაუვარდა ხელში, რომელიც წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს ოფიციალურად ადასტურებს. 2007 წლის 27 იანვრით დათარიღებულ საქართველოს მთავრობის №33 განკარგულება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აწერს ხელს, ჰიდროელექტროსადგურების აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას და ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების რეალიზებას ეხება. განკარგულებაში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების მიზნით, მოწონებული იქნეს, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიას“ და, მეორე მხრივ, „ენერგოპრო ეი.ეს“-სა და სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ შორის გასაფორმებელი „ჰიდროელექტროსაგურებისა და ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი და საქართველოს მთავრობასა და „ენერგოპრო ეი.ეს“-ს შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი“. ზემოაღნიშნულის შესასრულებელი პროცედურების გატარების უზრუნველყოფა დაევალა ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურსა და ეკონომიკის განვითარების მინისტრ გიორგი არველაძეს, მათვე დაევალათ ხელშეკრულების შემდგომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წინაპირობათა კოორდინაცია და უზრუნველყოფა.

2007 წლის 2 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტის №35 განკარგულებაც „გამოცხვა“ ჰიდროელექტროსადგურების აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ და „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონების მოშველიებით, „მაოხრებელმა გზირმა“ სააკაშვილმა ჰიდროელექტროსადგურების: „ლაჯანური“; „რიონი“; „გუმათი“; „შაორი“; „ძევრულა“ და „აწის“ აქტივები პირდაპირი მიყიდვის ფორმით 73.500.000 აშშ დოლარად ან მის ექვივალენტურ ლარად სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ იმ პირობით გადასცა, რომ მას საპრივატიზაციო თანხა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში. გარდა ამისა,

საპრივატიზაციო თანხის გადახდიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრის არანაკლებ 85%-ის შენარჩუნება, იმ პირობით, რომ ასეთი მოთხოვნა დაწესებული იქნებოდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი ენერგობალანსით. იმ პერიოდისთვის ლაჯანურჰესის დადგმული სიმძლავრე 112 მეგავატი გახლდათ, რიონჰესის – 48მვტ; გუმათჰესის – 66,5 მვტ; შაორჰესის – 38 მვტ; ძევრულჰესის – 80 მვტ, ხოლო აწჰესის - 16 მვტ. განკარგულებაში ასევე მითითებულია, რომ ხსენებული ჰიდროელექტროსადგურების შეკეთების ან/და დაგეგმილი გათიშვის ნებისმიერი ხანგრძლივობა, რომელიც წინასწარ გამოცხადებული იქნება მყიდველის მიერ მარეგულირებელი წესების შესაბამისად, შევა ამ ჰიდროელექტროსადგურის საბაზისო სიმძლავრის 85%-ში. ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად, სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ უნდა შეესყიდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივები ამ კომპანიების მიერ დადგენილი პირობებით. ხსენებულ განკარგულებაში ერთი ძალზე საგულისხმო პუნქტიცაა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობას უნდა უზრუნველეყო ზემოთ ჩამოთვლილი ჰიდროელექტროსადგურების აქტივების საპრივატიზებოდ მომზადება და შესაბამისი განკარგულების პროექტის წარდგენა პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლური ფასით (1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი) სს „ენერგოპრო ჯორჯიასთვის“ გადაცემის შესახებ. სააკაშვილის ამ „პატრიოტული“ განკარგულების შესასრულებელი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება მისი ხელისბიჭის გიორგი არველაძის უწყებას დაევალა.

სანდო წყაროს განცხადებით, „ენერგოპრო ჯორჯიას“ მოგვიანებით კიდევ ორი ჰიდროელექტროსადგური გადასცეს, მათ შორის ზაჰესი, რომელიც პირდაპირი წესით მიეყიდა. ეს ჰესი „ენერგოპრო ჯორჯიასთვის“ დაახლოებით 18 მილიონ დოლარად მიუყიდიათ, ეტყობა ნაციონალებს არჩევნებისთვის ფული ჭირდებოდათ, თორემ მასაც მუქთად გადასცემდნენო. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში ზაჰესი ორთაჭალჰესის დირექციას ჰქონია იჯარით აღებული, იჯარის ვადა გასული არ იყო, ისე გააუქმეს, თავიდან საქართველოდან წასულ ოს ბიზნესმენებს 40 თუ 42 მილიონ დოლარად მიყიდეს, მაგრამ მერე მათ წაართვეს და „ენერგოპრო ჯორჯიაზე“ გაცილებით იაფად გაასხვისესო. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ფაქტობრივად ნაჩუქარ ჰესებს დადგმული სიმძლავრის 85% უნდა შეენარჩუნებინათ. ენერგეტიკაში არსებობს მცნებები, დადგმული სიმძლავრე და მუშა სიმძლავრე. ჟინვალჰესის დადგმული სიმძლავრე 110 მეგავატია, მაგრამ 80 მვტ-ზე მეტ მუშა სიმძლავრეს ვერ „იჭერს“, ზაჰესიც 40-42 მვტ-იანია, მაგრამ რეალურად 28 მვტ-ზე მუშაობს, ეს არის მუშა სიმძლავრე. ჟინვალჰესი 80 მვტ-ს კი იღებს, მაგრამ ამ დატვირთვით რომ იმუშაოს, ორ თვეში დაცლის წყალსაცავს, ამიტომ, როგორც წესი, ჟინვალჰესი 40-60 მვტ სიმძლავრეზე მუშაობს, რომ წყალი დაზოგოს. ამ დეტალებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ დადგმული სიმძლავრის შენარჩუნების საფარველქვეშ, სულ სხვა განზრახვა იმალებოდა. თურმე იმიტომ გადასცეს მუქთად ხსენებული ჰესები ე.წ. ჩეხურ კომპანიას, რომ მას ჰესების რეაბილიტაცია უნდა მოეხდინათ დადგმული სიმძლავრის 85% შესანარჩუნებლადო. წყარო დარწმუნებულია, რომ თაღლითობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის საფუძვლიანი გადამოწმება ჩვენს კომპეტენციას სცილდება. სინამდვილეში ყველა ეს ჰესი მსოფლიო ბანკის სესხით ყოფილა აღდგენილი, რიონჰესი და ლაჯანურჰესი საუკეთესო მდგომარეობაში იქნა მოყვანილი, მაგრამ მთლიან სიმძლავრეს მაინც ვერ იღებდნენ, რადგან წყალსაცავები მდინარეების მიერ შეტანილი შლამისგან იყო გასაწმენდი, თორემ ტურბინები და სხვა აგრეგატები ყველგან აღდგენილი იყო. ჰესების უმრავლესობის რეაბილიტაცია უკვე დამთავრებული, როცა ნაცხელისუფლებამ ენერგეტიკის სფეროში დიდი პრივატიზაცია გამოაცხადა, ყველა რეაბილიტირებული ჰესი პრივატიზაციის ნუსხაში მოხვდა. როგორც აღვნიშნეთ, ჰესების რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის კრედიტით მოხდა, სესხები სახელმწიფოს შერჩა, რადგან ყველა მათგანი სახელმწიფოს გარანტიით იყო აღებული, რეაბილიტირებული ქონება კი, რომლის რეალური ღირებულება 300 მილიონ დოლარს უტოლდებოდა, სიმბოლურ ფასად გადასცეს „ენერგოპრო ჯორჯიას“. წყაროს განცხადებით, 20 მილიონი დოლარი მარტო რიონჰესის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა. ერთი სიტყვით, ჰესების აღდგენის მომიზეზება, მხოლოდ ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას ემსახურებოდა. ის თანხა, რაც ჰესების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა, გაცილებით მეტია მათი რეალიზაციიდან შემოსულ თანხაზე, თუ საერთოდ გადაიხადა „ენერგოპრო ჯორჯიამ“ ეს ფული. თუ ამ ჰესების გაყიდვას აპირებდნენ, მაშინ რა საჭირო იყო მათი რეაბილიტაცია, თანაც უცხოური კრედიტით? უპრიანი იქნება ეს კითხვა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ნოღაიდელს დაუსვას, რომელთაგან ერთი მსოფლიო მასშტაბით ტურისტობს და გვნოძღვრავს, მეორე კი მართალია უჩინმაჩინის ქუდითაა მოსილი, მაგრამ თუ ავ ენებს დავუჯერებთ, კვლავაც დიდი გავლენებით სარგებლობს ენერგეტიკის სფეროში.




მუქთა პრივატიზაცია მხოლოდ ჰესების უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემით არ შემოფარგლულა, „ენერგოპრო ჯორჯიას“ ლაჯანჰურჰესის უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ცაგერის რაიონში 919.800 კვ.მ მიწის ფართობიც გადაეცა, რი-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




ონჰესის შემთხვევაში ქუთაისისა და თერჯოლის რაიონში 717.600 კვ.მ, გუმათჰესი – თერჯოლის რაიონში 246.793 კვ.მ, შაორჰესი – ტყიბულისა და ამბროლაურის რაიონებში 822.000 კვ.მ; ძევრულჰესი – ტყიბულისა და თერჯოლის რაიონებში 136.233 კვ.მ; აწჰესი – ქედის რაიონში (აჭარა) 28.896 კვ.მ. საბოლოო ჯამში 2.870.613 კვ.მ ექვს ჰესთან ერთად, სულ რაღაც 73,5 მილიონ დოლარად საფასურის გადახდის ერთწლიანი გადავადების რეჟიმში. იქნებ ახლა მაინც გამოჩნდეს ვინმე, რომელიც „სააკაშვილსა და კომპანიას“ ლეონიდ გაიდაის ფილმის პერსონაჟივით შემოუძახებს, თქვე ძაღლიშვილებო, სახელმწიფო მიწები (ჰესებს რომ თავი დავანებოთ) ასე როგორ გაანიავეთო. ნიკური ყველა ჰესის ბინა.

ნაცხელისუფლების ხელდასმით, „ენერგოპრო ჯორჯია“ თურმე კერძო სექტორის ფაქტობრივ რეკეტსაც ეწევა. როგორც წინა სტატიებში აღვნიშნეთ, „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ შექმნამდე ელექტროენერგიის განაწილებას კერძო კომპანიებიც ახორციელებდნენ, რომლებსაც მავან ჩინოვნიკთა მეცადინეობით, სემეკმა ლიცენზიები გაუუქმა, მათი გამანაწილებელი ქსელებით სარგებლობის უფლება კი მონოპოლისტ-გამანაწილებელს, ჯერ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, ხოლო შემდეგ „ენერგოპრო ჯორჯიას“ გადაეცა. „ლიცენზიაგაუქმებულებს“ უარი რომ ეთქვათ მათი ქსელით მონოპოლისტ-გამანაწილებელს ესარგებლა, მომხმარებელი დენის გარეშე რჩებოდა, ამიტომ მათ დაავალეს გამანაწილებლისთვის ქსელების სარგებლობაში გადაცემა. იურისტთა განმარტებით, სამოქალაქო საქმეთა კოდექსში არის მუხლი აუცილებელი თმენის ვალდებულების შესახებ, რომლის მიხედვითაც გამოუვალ მდგომარეობაში მესაკუთრეს უფლება არ აქვს უარი თქვას მისი საკუთრების გამოყენებაზე. მან უნდა ითმინოს საკუთრების უფლების შეზღუდვა, მაგრამ უფლება აქვს ამ შეზღუდვის გამო მოითხოვოს სამართლიანი საზღაური. მომხმარებელი სინათლის გარეშე რომ არ დარჩენილიყო, ხსენებულმა კერძო კომპანიებმა 2006 წლის სექტემბერში „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან“ გააფორმეს ხელშეკრულება და ზოგმა იჯარით, ზოგმა კი იჯარა-სერვისის სახით გამანაწილებელი ქსელები მას გადასცეს. ანალოგიური ხელშეკრულება შემდგომ „ენერგოპრო ჯორჯიასთან“ გაფორმდა, რომელმაც უმნიშვნელო მიზეზების გამო მოგვიანებით ეს ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა, ქონების მეპატრონეებს კანონმდებლობით გაწერილი საზღაური არ გადაუხადა, თუმცა მათ ქონებას კვლავ იყენებს. წყაროს განცხადებით, ხსენებულ კერძო კომპანიებს მხოლოდ ერთი წლის (2007 წელი) განმავლობაში უხდიდნენ კუთვნილ თანხას, ამის მერე წლებია ერთ თეთრი არ გადაუხდიათ. „ენერგოპრო ჯორჯიას“ ზოგან პარალელური ქსელებიც გაუყვანია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სხვის ქონებას კვლავაც იყენებს, თანაც უსასყიდლოდ, მოკლედ სარეზერვო ქსელებიც შეიქმნა სხვის ხარჯზე. ამ ქონების მეპატრონეებს კი „ენერგოპრო ჯორჯიას“ წარმომადგენლები თურმე შემდეგი პასუხით ისტუმრებენ, სადაც გინდათ იქ გვიჩივლეთ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# გოგი თოფაძე პრეზიდენტს მედიასთან შუამდგომლობას სთხოვს



ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძე პრეზიდენტს მედიასთან შუამდგომლობას სთხოვს.

თოფაძე მიიჩნევს, რომ იმის გათვალისწინებით, რასაც ხელისუფლება აკეთებს, მისი კრიტიკის უფლება არ გვაქვს და მედია მოვლენებს არაობიექტურად აშუქებს.

„რა თქმა უნდა, იქნებოდა რაღაც მცირე დარღვევები, მაგრამ ის რაც ამ გუნდმა ჩაატარა, ნამდვილად შესაფასებელია დადებითად. ჩვენი ოპონენტების მიერ მოყვანილი ციფრები ძალიან ხშირად არ შეესაბამება რეალობას. ბიზნესი ვითარდება, არავინ აყაჩაღებს, სამუშაო ადგილები გაიზარდა, განსაკუთრებით კერძო სექტორში. ყველანაირი ხელშეწყობა აქვს დღეს ბიზნესს”, - განაცხადა გოგი თოფაძემ.

მისი თქმით, ძალიან ბევრი ულტრათანამედროვე საწარმო აშენდა, რომელსაც მედია “რატომღაც იგნორირებს”.



თოფაძემ პრეზიდენტს სთხოვა, თუ დრო ექნება, მოიცალოს იმ ობიექტების სანახავად, რომელიც საქართველოში გაშენდა.

„თქვენ, ალბათ, გაგიხარდებათ თუ ამ ობიექტებს ნახავთ, მათი ნახვა ნებისმიერ ქართველს გაუხარდება, მაგრამ სამწუხაროდ, ამით არ ინტერესდება ჩვენი მედია. სამწუხაროდ, ისეთ საკითხებში აკრიტიკებენ ჩვენს ხელისუფლებას, რომელიც ირონიულ ღიმილს იწვევს”, - განაცხადა თოფაძემ და მაგალითად მოიყვანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კრიტიკა. რაც შეეხება პროკურატურის კრიტიკას, თოფაძის შეფასებით, ალბათ, დასაფიქრებელია, რომ სამართლიანობის აღდგენა დაგვიანდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, თუ რა პირობებში უწევს პროკურატურას მუშაობა.

„ასეთი ხელაღებით კრიტიკა არ შეეფერება სახელმწიფოს სტაბილიზაციას. ეს არის დესტრუქციული განცხადებები. რეალობაში ყველაფერი არის ძალიან დადებითად ამ დარგებში. აკრიტიკებენ ჯანდაცვის სამინისტროს... გავიხსენოთ, რა იყო, საავადმყოფომდე კაცი ვერ მიდიოდა. დღეს პრაქტიკულად ყველა დაზღვეულია, ამან ბიუჯეტის დიდი ნაწილი წაიღო. ბატონო პრეზიდენტო, მინდა თქვენი ყურადღება გავაჩერო ამ ჩვენი ბეჭდვითი და რამდენიმე სატელევიზიო არხის მუშაობაზე, ალბათ, საღამოობით ხშირად უყურებთ ამ გამოშვებებს და აკვირდებით, რამდენად არასწორად აშუქებენ მოვლენებს, რამდენად მიუღებელია ეს საზოგადოებისთვის. კი, საზოგადოება ხვდება, რომ ეს ყველაფერი არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ შეიძლება, საზოგადოება ჩავაყენოთ ამ მდგომარეობაში? არც ერთი დადებითი, რაც გააკეთა ამ ხელისუფლებამ, აქ არ შუქდება. მარტო არის უსამართლო და უსაფუძვლო კრიტიკა. თქვენ უფლებამოსილი კაცი ბრძანდებით ყველაფერში და იქნება ესაუბროთ ამათ, არ შეიძლება ასეთი გაუწყვეტელი ლანძღვა იმ ხელისუფლების, რომელმაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიბარა ქვეყანა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის წინ, რასაც, რა თქმა უნდა, ბევრი ვერ ხედავს“, - განაცხადა გოგი თოფაძემ.

მისივე თქმით, დღეს ხელისუფლება ხალხს უსმენს და ზრუნავს მათზე და თუ გვინდა დავინახოთ, დავინახავთ.

„ის, თუ რამდენ სოფელში გავიყვანეთ გაზი, რამდენ სოფელში გავიდა ელექტროენერგია, რამდენი ჰესი შენდება, რა პერსპექტივა აქვს ამას ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით – ეს ყველაფერი კომპლექსში როცა განიხილება, ნამდვილად არავის აქვს უფლება, დღეს აკრიტიკოს ჩვენი ხელისუფლება. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, როცა პრემიერი იყო, განაცხადა, რომ პრესაც თავისუფალია და ჩვენ არ ჩავერევით. კი ბატონო, თავისუფალია, მაგრამ რამდენად ობიექტურია, რამდენად მართალია? მე ვფიქრობ, ბატონო პრეზიდენტო, შეიძლება, თქვენ ამ საკითხით დაინტერესდეთ და თქვენი ძალიან პრინციპული პოზიცია უთხრათ ამ ჩვენი მედიის წარმომადგენლებს“, - მიმართა თოფაძემ საქართველოს პრეზიდენტს.

**„ინტერპრესნიუსი“**

## ზვიად ჩხაიძე:

# თამამად შეიძლება ითქვას, მიუხედავად ბევრი პრობლემისა, შპს „მექანიზატორი“ საგაზაფხულო სამუშაოების ხარისხიანად შესასრულებლად სრულ მზადყოფნაშია

***„საერთო გაზეთის“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „როდის დაინტერესდება ხელისუფლება შპს „მექანიზატორში“ გამეფებული განუკითხაობით“, სადაც ანონიმი რესპოდენტები მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ჩავარდნის საშიშროებაზე საუბრობდნენ. ობიექტურ მიზეზთა გამო, მაშინ ვერ შევძელით მეორე მხარის პოზიციის დაფიქსირება. გვესაუბრება შპს „მექანიზატორის“ დირექტორი ზვიად ჩხაიძე.***

– კომპანია რეალურად ფლობს არა 1300, არამედ 1100 ერთეულ სხვადასხვა სიმძლავრის ტრაქტორს, რომელთა შორის 950 სახნავი ტრაქტორია, ასევე 89 ერთეული კომბაინსაც. დაწყებულია საგაზაფხულო სამუშაოების დამასრულებელი ეტაპი, რისთვის მზადებაც გასული წლის ბოლოს დავიწყეთ. ჩვენი ორგანიზაცია მხოლოდ ხსენებული პროგრამის განხორციელებით არ შემოიფარგლება, მომსახურეობას ვუწევთ სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართულ ბიზნესმენებსაც. დღეისათვის, მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამაში დაგეგმილი გვაქვს 930 ერთეული ტრაქტორის ჩართვა. ცხადია, ხდება ტექნიკის დაზიანება, მაგრამ არასწორია ინფორმაცია, რომ მხოლოდ 500 ტრაქტორია გამართულ მდგომარეობაში, მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. მშრალ ამინდში, როცა ხვნა შესაძლებელია, ტექნიკის მაქსიმალური რაოდენობა გადის მინდვრად, თუმცა, ყოველდღირად 900 ტრაქტორი ნამდვილად არ მუშაობს, რადგან ხშირად ბენეფიციართა მიზეზითაც ხდება ტექნიკის მოცდენა. მაგალითად, გურიაში სრულად არც იყო დაწყებული ხვნა, მიუხედავად იმისა, რომ სატრაქტორო პარკი გამზადებულია. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სულ 70 ერთეული ტრაქტორია დაზიანებული, თუმცა ჩვენი სერვისჯგუფები მუშაობენ პრობლემის მოსაგვარებლად, გვყავს ორი ტიპის ტრაქტორიც, რომლებიც საგარანტიო მომსახურებას ექვემდებარებიან, მათ გამართულობაზე დილერები არიან პასუხისმგებელი, მთლიანობაში 600-700 ტრაქტორი გადის სამუშაოდ. თქვენს სტატიაში საუბრობდით, რომ გარკვეული ტიპის ტრაქტორები, თავიანთი გაბარიტების გამო გამოუსადეგარია მცირემიწიან ფართობებზე, მაგრამ ჩვენ მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებიც გვყავს, 250 ერთეული „ბელორუსის“ ტიპის, რომლებიც მართალია დაბალი სიმძლავრისაა (90 ცხენისძალა), მაგრამ თავის ფუნქციას ნორმალურად ასრულებენ, გარდა ამისა, 115 ცხ/ძლ-იანი „ჯონდირები“ და 117 ცხ/ძლ-იანი „ზეტორებიც“, თუმცა კარგი იქნებოდა, ამ ტიპის ტრაქტორები უფრო მეტი გვყავდეს. მოგეხსენებათ, საქართველოში რთული (მთაგორიანი) რელიეფია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, იქაურ მცირეკონტურიან ფართობებზე შესაბამისი ტექნიკა, მაღალი სიმძლავრის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები (დაბალკლირენციანი ან მუხლუხა) უნდა იქნეს გამოყენებული. ფერდობზე მუშაობისას ტრაქტორი ხშირად ზიანდება, ხდება საწვავის გადახარჯვაც, ხსენებული ტიპის ტრაქტორები 30-40 ერთეულით მეტი რომ გვყავდეს, ნაკლები პრობლემა გვექნებოდა. პარკის განახლებაზე ვფიქრობთ, მაგრამ სავარაუდოდ, სახელმწიფო აღარ გაიღებს საჭირო თანხას, ჩვენ თვითონ უნდა გამოვძებნოთ რესურსი. შეიძლება მოძველებული ტექნიკა, ან ის, რომელიც სამომავლოდ ნაკლებად დაიტვირთება, გავყიდოთ და ამ თანხით 130-150 ცხ/ძლ-იანი მუხლუხა ტრაქტორები ვიყიდოთ. ამიტომაც შევიძინეთ მათი გადასატანი სპეციალური ტექნიკა, რომ ტრანსპორტირებას ნაკლები დრო დაჭირდეს.

თქვენი რესპოდენტები ჩვენს კომპანიას უხარისხო, გამოუსადეგარი ტექნიკის შეძენასაც საყვედურობდნენ, როცა ტექნიკის შეძენა მოხდა, კომბაინის გადასატან ორ ლაფეტს თუ არ ჩავთვლით, კომპანიაში არ ვმუშაობდი, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი, საქართველოში 800 ათასი ჰექტარი სახნავი მიწის ფართობია, თუ ჩვენ სოფლის მეურნეობის გვინდა, არც 1100 ერთეული ტრაქტორი იქნება საკმარისი და არც სხვა ტექნიკა. ვერ დაგეთანხმებით, რომ გამოუსადეგარი ტექნიკაა, „ბელორუსის“ გუთნები მართლაც სუსტია, რომლებსაც ყოველწლიურად ვარემონტებთ, მაგრამ დანარჩენი, თუნდაც „კუნი“, რომლის გუთნებიც გვაქვს, ერთ-ერთი საუკეთესო ევროპული ბრენდია, სხვა ფირმის („აგრომასტერი“ და თურქული „ავპლერი“) ტექნიკაც კარგად მუშაობს, ქვიან ნიადაგზე მუშაობისას შეიძლება, რაღაც მოტყდეს, მაგრამ შეკეთებას ექვემდებარება, მთავარია გუთნის ჩარჩო არ დაზიანდეს, რადგან მისი შეკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია, ასეთი დაზიანება უფრო ე.წ. ბელორუსის გუთნებში გვხვდება. რაც შეეხება კულტივატორებს, ის რამდენიმე კატეგორიად იყოფა, რომელთაც მიწის სხვადასხვა სტრუქტურის მიხედვით იყენებენ. მცირე ფართობზე მისაბმელიანი ტექნიკა ვერ მუშაობს, ამიტომ შეძენილი გვაქვს ასაკიდებელი კულტივატორები, რომლებიც თავის ფუნქციას კარგად ასრულებენ, მათზე ყველაზე მეტი შეკვეთა გვაქვს. რამდენიმე ერთეული კულტივატორი მართლაც აუთვისებულია, ვფიქრობ, მათი შეძენის დროს ვარაუდობდნენ, რომ დარგის განვითარების შემთხვევაში უფრო მეტი მიწის ათვისება მოხდებოდა, რისთვისაც შესაბამისი ტექნიკა იყო საჭირო. ამ ტექნიკის გაჩერებას ობიექტური მიზეზი აქვს, სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების პირველ წელს ორ ოპერაციას ვასრულებდით, ხვნა და ფარცხვა, მეორე წელს ობიექტური მიზეზით აქცენტი ხვნაზე გადავიტანეთ. სოფლის მეურნეობის სფეროში ჩვენს გარდა, კერძო კომპანიებიცაა ჩართული, რომლებიც სხვა ტექნიკასთან ერთად ე.წ. დისკებიან კულტივატორებსაც ფლობენ. სანამ ხვნა არ დამთავრდება, ჩვენ სხვა ოპერაციას ვერ შევასრულებთ, ამიტომ ფერმერები ამ კერძო კომპანიების ტექნიკას ქირაობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კომპანია სახელმწიფოს მიერაა დაფუძნებული, იგი კერძო სამართლის იურიდიული პირია, ამიტომ შემოსავლებსა და კომერციაზე ვართ ორიენტირებული, ძალზე ხშირად არჩევანი გვიწევს ფასსა და ხარისხს შორის, „კუნის“ გუთანი საუკეთესოა, მაგრამ ძალზე ძვირი ღირს, შესაბამისად მისი მარაგ ნაწილებიც ძვირიანია, არის შედარებით ნაკლებ ფასიანი გუთნები, მათ შორის ადგილობრივ ბაზარზეც, რომლებიც კარგი ხარისხისაა. სხვათა შორის, ჩვენ თვითონ ვიწყებთ გუთნების წარმოებას, ჩვენი მინისტრის ოთარ დანელიას იდეა იყო, რომ ადგილობრივი წარმოება შეგვექმნა, გასულ წელს კომპანიაში დარგის სპეციალისტი პროფესორი ზაზა მახარობლიძე მივიღეთ, რომელსაც გუთნის კონსტრუქცია უკვე შექმნილი ჰქონდა, მაგრამ ადრე არ გვქონდა საკუთარი წარმოების ამოქმედების საშუალება, რადგან ამას სერიოზული თანხები ჭირდება, დღეს ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. ამ ტექნიკის წარმოება ძვირიც რომ დაჯდეს, მაინც ჯობია ქართული წარმოების იყოს, ძალიან მალე რამდენიმე ერთეული საკუთარი წარმოების გუთანი გვექნება, ჩვენი გათვლებით, ეს გუთნები უფრო იაფი იქნება, ვიდრე საზღვარგარეთ წარმოებული.

რაც შეეხება ტრაქტორების დაზიანების გამო გაჩერებას და მარაგნაწილებს, თუ მსუბუქი დაზიანებაა, ადგილზე ხდება შეკეთება, მაგრამ ყველა დაზიანების შესახებ საქმის კურსშია სათაო ოფისი, რომელიც შემდგომ განაცხადს აკეთებს, გამოიყოფა სათადარიგო ნაწილები, რომელიც ადგილზე არ გვაქვს, სასწრაფოდ ხდება მისი შეძენა-მიწოდება და სერვისჯგუფების მიერ შეკეთება. საერთოდ მარაგნაწილები მუდმივი პრობლემაა, ნოემბრის თვეში ჩავტარეთ რევიზია, რომ გაგვერკვია რა გვჭირდებოდა, ერთ-ერთი ბრენდის სათადარიგო ნაწილებიც შემოვიტანეთ, მაგრამ იმ პერიოდში ტექნიკა საშემოდგომო სამუშაოებს ასრულებდა და ბუნებრივია, რაღაც დაზიანდა. აქედან გამომდინარე, ახალი შეკვეთები და შესყიდვა გახდა საჭირო, რასაც დრო ჭირდება, შეფერხება მოხდა, მაგრამ მუშა პროცესში ამისგან არავინაა დაზღვეული. საუბარი იყო, აბაშის სერვისცენტრში ბევრი ტრაქტორია გაჩერებულიო, მართლაც ასე იყო, მაგრამ ახლა 170 ტრაქტორიდან მხოლოდ ხუთია დაზიანების გამო გაჩერებული. დაზიანებული ტრაქტორიდან მარაგნაწილის მოხსნა და სხვა ტრაქტორზე გადატანა, ფაქტობრივად აკრძალულია, მაგრამ გამონაკლისის დაშვებაც ხდება. თუ ტრაქტორი შეკვეთის შესრულებისას გაჩერდა და დაზიანებული ნაწილის შემოტანა შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს, ამ შემთხვევაში ან ამ ტრაქტორის ევაკუირება უნდა მოხდეს და სხვა ტრაქტორით ჩავანაცვლოთ, ან ადგილზე სწრაფად უნდა შევაკეთოთ სხვა ტრაქტორის ნაწილით, რაც ძალიან იშვიათად ხდება. როგორც კი ეს ტრაქტორი მუშაობას დაამთავრებს, მარაგნაწილი დაუყოვნებლივ უკან ბრუნდება. ზემოხსენებული ტექნიკის შესაძენად გახარჯული თანხით მარაგნაწილებს



ვერ შევიძენდით და რატომ – შესყიდვა 2013-2014 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით განხორციელდა, 2013 წელს განხორციელებული შესყიდვის შემდეგ, გარკვეული თანხა დარჩა. ჩვენი კომპანიის დამფუძნებელმა „პროექტების მართვის სააგენტომ“ მიმართა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მთავრობას, რომ ეს თანხა შემდგომი დანიშნულებისთვის გამოგვეყენებინა, ჩვენ გარკვეული რაოდენობის ტრაქტორები კი შევიძინეთ, მაგრამ გვყავდა დაახლოებით 220 ტრაქტორი, რომლებსაც გუთანი არ ჰქონდა. მათ ბოლომდე დასაკომპლექტებლად გასულ წელს შევიძინეთ გუთნები, ასაკიდებელი ფარცხები, სამი ზემძიმე კულტივატორი, გარდა ამისა, როგორც გითხარით, გვყავს 90 კომბაინი, რომელიც ძალზე ძვირადღირებული, არაგაბარიტული ტექნიკაა, რომელთა სხვადასხვა რეგიონში გადყვანა გვიწევს. ამ კომბაინის 5-მეტრიანი ხედერით (მარცვლის ასაღები აგრეგატი – მ.ს.) საავტომობილო გზაზე გადაადგილება წარმოუდგენელია, 2013 წელს საპატრულო პოლიციამ დააჯარიმა კომბაინი, რომელიც დასავლეთ საქართველოში გადადიოდა. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შევიძინეთ კომბაინის გადასატანი საშუალება. ჩვენს ყველა კომბაინს შეუძლია „აიკიდოს“, როგორც ხორბლის (თავთავის), ისე სიმინდის ხედერი, ასე რომ, მათ ორივე რეგიონში აქვთ სამუშაო. ჩვენ ჯერ თავთავიან კულტურებს ვიღებთ, ეს პროცესი რომ მთავრდება (ზოგჯერ ემთხვევა კიდეც) იწყება სიმინდის აღება. გასულ წელს დასავლეთ საქართველოში ე.წ. ხორბლის ხედერით 600 ჰა-ზე ავიღეთ სოიო, როდესაც მოზღვავებულია სამუშაო, ფერმერს ხომ არ ვეტყვით ხედერი არ გვაქვსო, ადგილზე აუცილებლად უნდა იყოს კომბაინი, რომელიც ყველა სახის მარცვლეულის აღებას შეძლებს. დასავლეთ საქართველოში (აბაშის, სამტრედიის, ზესტაფონის სერვისცენტრები) სამი შედარებით მცირეგაბარიტიანი კომბაინი დავტოვეთ, მაგრამ საკმარისი არ არის, სიმინდის აღების დროს აბაშაში იმხელა მოთხოვნაა, რომ 10-12 კომბაინის დამატება გვიწევს, მათ შორის დიდი ზომის კომბაინისაც. დედოფლისწყაროდან აბაშამდე დაახლოებით 500 კმ-ია, ამხელა მანძილი კომბაინმა თავისი სვლით რომ გაიაროს, საგზაო მოთხოვნებსაც რომ თავი დავანებოთ, თავის რესურსს გზაში გახარჯავს, ამიტომ შევიძინეთ ე.წ. ლაფეტები. როგორც გითხარით, 2013 წელს გამოყოფილ თანხას მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა, ამით მხოლოდ ტექნიკა უნდა შეგვეძინა, აქედან გამომდინარე, ვერც მარაგნაწილებს და დამატებით კომბაინს შევიძენდით, ვერც ხელფასს გავცემდი, რადგან ამ შემთხვევაში კანონს დავარღვევდი, რისთვისაც დავისჯებოდი. ლაფეტი კომბაინის გადასატანად გამოუსადეგარიაო, ასე ხელაღებით ვერ ვიტყვით, ყველა ტექნიკას ჭირდება ადაპტირება, შეიძლება რაღაც ელემენტმა ვერ იმუშავა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნებისმიერი ჩვენს მიერ შეძენილი ტექნიკა გარანტიის ქვეშაა, ორი წლის განმავლობაში დილერი კომპანია უნდა მოემსახუროს, დაზიანების შემთხვევაში მან უნდა შეაკეთოს. ლაფეტის გაბარიტებთან დაკავშირებით პრობლემა მხოლოდ ერთხელ, გურჯაანში შეგვექმნა, რადგან თვითონ ხიდი აღმოჩნდა არაგაბარიტული. თქვენს სტატიაში საუბარი იყო იაფფასიანი, უხარისხო ზეთის და საწვავის გამოყენებაზეც, რაც ვფიქრობ, გამორიცხულია. „ჯონდირის“ მარკის ტრაქტორები გამოსულია საგარანტიო მომსახურებიდან, მაგრამ ვცდილობთ ისევ ამ ფირმის წარმოებული ზეთი შევიძინოთ, რადგან კარგი ხარისხისაა, თებერვლის დასაწყისში მართლაც იყო გაჩერებული ბევრი ტრაქტორი, რადგან ხარისხიანი ზეთის მოწოდებას ველოდებოდით. თუ ვინმე მაინც ხელმრუდობს, ეს სხვა თემაა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ და ვსჯით კიდეც. ამ საკითხს ძალზე სერიოზულად ვუდგებით, მით უფრო, რომ ძვირადღირებულ ტექნიკასთან გვაქვს საქმე. ჯიპიესებიც (ჩიპი) საჭიროა, რადგან ეს დამატებითი კონტროლის მექანიზმია, ამ მოწყობილობებს ჩვენ არ ვყიდულობთ, მომწოდებელ კომპანიასთან მოლაპარაკების საფუძველზე მხოლოდ სააბონენტო გადასახადს ვიხდით.

რაც შეეხება ხელფასებს, ეს მართლაც მტკივნეული საკითხია, ყველა ოპერატორი თანაბარ პირობებშია და მთელს საქართველოში ანაზღაურების ერთი ტარიფი მოქმედებს, მაგრამ მაღალმთიან რეგიონებისთვის, სადაც შეიძლება 3-4 დღის განმავლობაში ერთი ჰექტარი ფართობი ვერ მოიხნას, ასევე მუხლუხა ტრაქტორზე მომუშავეთათვის, რადგან მათი წარმადობაც ნაკლებია, სხვა რეგულაცია შევიმუშავეთ, მათ ხელფასის ოდენობის დანამატიც აქვთ, მაღალმთიან რეგიონებში ბრიგადის მენეჯერებიც გაორმაგებულ ხელფასს იღებენ. შარშან შევეცადეთ გურიაში სათიბელები და თივის საპრესები შეგვეტანა, რათა სამუშაოს მოცულობები გაზრდილიყო, რადგან სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ტრაქტორისტი, რომელსაც რამდენიმე დღე სამუშაო არ აქვს, ტოვებს სამსახურს და თურქეთში გადადის ჩაის საკრეფად. შეკვეთას რომ ვიღებთ, მერე ოპერატორს ვეძებთ, სხვა რეგიონებშიც იგივე ხდება. ოპერატორი და ბრიგადის მენეჯერი, რომელიც პრაქტიკულად გაყიდვების მენეჯერიცაა, მოტივირებული უნდა იყვნენ, რომ რაც შეიძლება მეტი შეკვეთა მიიღონ, რომ შემოსავლები გაიზარდოს და ხელფასები მოემატოთ. ჩვენს კომპანიაში ყველაფერი კომერციულ საწყისებზეა, ყველაზე დიდი დანახარჯი საწვავისაა, მერე მოდის ტრაქტორისტისა და მენეჯერის ხელფასი, ტექნიკის ცვეთის თანხა, სოცანარიცხები და ა.შ. ამის შემდგომ რჩება მოგების თანხა. ძალზე რთულ კონკურენტულ პირობებში გვიწევს მუშაობა, კერძო კომპანია 20 ლარის დიზელის საწვავით და რაღაც 30 ლარიანი ანაზღაურებით შეასრულებენ იმ სამუშაოს, რაშიც ჩვენ შეიძლება 100-130 ლარი გადავახდევინოთ, შესაბამისად, იძულებული ვართ მომსახურების ტარიფი შევამციროთ, რომ შემოსავალი გვქონდეს. ამის გამო ვერ ვზრდით ხელფასს, ერთადერთი გამოსავალი შეკვეთების რიცხვის ზრდა და მეტი სამუშაო შესრულებაა. ხელფასების დაგვიანებაც ხდება, მაგრამ ამას აქვს თავისი მიზეზები, იანვრის თვე საერთოდ პრობლემატურია, რადგან მუშაობა გაჩერებულია, ჩვენ თუ არ ვმუშაობთ, ცხადია, არც შემოსავლები გვაქვს, წელს იანვრისა და თებერვლის ხელფასი მარტის თვეში გავისტუმრეთ. სხვა შემთხვევაში, ხელფასის დროული მიღება სერვისმენეჯერზეა დამოკიდებული, მან თავის დროზე უნდა მოგვაწოდოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ყველა დოკუმენტი, რომ ხელფასი დაგვიანების გარეშე გაიცეს.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**



# აფხაზი დისიდენტი ალექსეი თარია

# გედის სიმღერა,

## ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები

*ყოველთვის, როცა რუსეთზე საუბრობენ, მას სხვების მსგავს სახელმწიფოდ წარმოიდგენენ. სინამდვილეში ასე არ არის. რუსეთი – განსაკუთრებული სამყაროა, მუდამ ერთი ადამიანის ნება-სურვილსა და ფანტაზიას დამორჩილებული, – მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე იქნება ის, თუ ივანე: ყველა შემთხვევაში, ეს თვითნებობის განსახიერებაა. ადამიანური თანაარსებობის ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მიაბიჯებს საკუთარი თვითდამონების და, ამავდროულად, მეზობელი ხალხების დამონების გზით. ამიტომაც, ახალ, განსხვავებულ რელსებზე მისი გადაყვანა არა მარტო სხვა ხალხების, არამედ თვით რუსეთის პირად ინტერესებში შედის.*

*პ. ი. ჩაადაევი, „L`Univers“, 15 იანვარი, 1854 წელი*



ალექსეი თარია

(დასასრული)

რამდენიმე ავტობუსით სხვა ჩემნაირებთან ერთად ჩერტანოვის რაიონის მილიციის ერთ-ერთ განყოფილებაში მიმიყვანეს. კამერები ყველას არ ეყო, და სხვები დროებით განყოფილების სააქტო დარბაზში მოათავსეს. „ობეზიანნიკში“ ხალხის სიმრავლის გამო მუდამ ცხელა, სუნთქვა ჭირს, იატაკი სიგარეტის ნამწვებითა და ფერფლითაა დაფარული... ჩემდა საბედნიეროდ, ორიოდე საათის შემდეგ რკინის გისოსს ნაცნობი სერჟანტი მოუახლოვდა: „შენ როგორ მოხვდი აქ?“ „ასეა... სამუშაო ადგილიდან ამიყვანეს“, – ვუპასუხე გაკვირვებულს. „ახლავე მოვალო“, – ჩაილაპარაკა.

...მაღაზიაში დაბრუნებულმა, ცვლა დავასრულე, შემდეგ კი უგონოდ დავთვერი. ღამით, როგორც ჩანს, გული გამიჩერდა; მეხსიერებაში ჩამრჩა მკვეთრი სითეთრე და ჩემი უსასრულო მცდელობა – მეპოვა ამ გაჭიანურებულ და არამიწიერად დამთრგუნველ სითეთრეში რაღაც, რაც გამახსენებდა ძალიან საჭიროსა და ძალიან მნიშვნელოვანს, და რის გარეშეც შეუძლებელი იყო ამ მტანჯველ-მოელვარე სითეთრისგან თავის დაღწევა...

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს „პროცესი“, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსულს უცნაური ხმები მომწვდა: როგორც აღმოჩნდა, გვერდით ოთახებში კედელს მუშტებს სცემდნენ სომეხი კამო და აზერბაიჯანელი ნაგი... მახსოვს, „იმქვეყნიდან მობრუნებული“, დიდხანს ვერ გავერკვიე, ვინ ვიყავი, რა მერქვა, სად ვიმყოფებოდი და ა. შ. ხშირად მსმენია, რომ კლინიკურ სიკვდილის შემდეგ ბევრი ადასტურებს ერთგვარ „თეთრ სინათლეს“, რაშიც თავადაც დავრწმუნდი. გამორიცხული არაა, რომ ეს იდუმალი თეთრი შუქი იმ სუბსტანციის ინვერსიულ რელიქტს წარმოადგენს, რასაც თანამედროვე ასტრონომია არაფერს ან არარას უწოდებს, ან იმას, რაც წინ უძღოდა სამყაროს წარმომქმნელ დიდ აფეთქებას...

...დილით, სამუშაოზე წასვლის წინ, ჩვეული მოძრაობით მოვხიე კალენდრის ფურცელი – სულიწმიდის დღე იდგა... ადამიანი, რომელმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, ცოტათი განსხვავდება მანამდე არსებულ „თავისი თავისგან“. შეიძლება ვივარაუდო, რომ თუ არა კედელზე მეზობლების მუშტისცემის ხმა, სამუდამოდ დავრჩებოდი იმქვეყნიურ „სითეთრეში“ და ექიმები, ბუნებრივია, ჩემს სიკვდილს ღრმა ალკოჰოლური მოწამვლის ფატალურ შედეგად მონათლავდნენ, სრულიად სამართლიანადაც.

მომხდარზე ფიქრმა, ზუსტად არ მახსოვს, მაშინვე თუ უფრო მოგვიანებით, გამახსენა ის, რაც დიდი ხნის დავიწყებული მეგონა – შემთხვევა კოლიმაზე 1970 წლის ზაფხულში.

...მივუყვებოდი მაგადან-ტალონის ტრასაზე მდებარე დასახლებას ძველისძველი სახელწოდებით – მეორე ÄÐÏ , სადაც თევზსაყინულის შესაკეთებლად გაგვგზავნეს არმანის რაიონული ცენტრის თევზკომბინატის მშენებელთა ბრიგადა. ყურადღება მივაქციე დიდ პლაკატს, რომელზეც გამოსახული იყო მფრინავი კოსმოსური ხომალდი და სკაფანდრიანი კოსმონავტი ტექსტით – „ამხანაგო, ამიერიდან ჩვენი დედამიწა სამყაროს სანაპირო გახდა!“ – ამასთან, პლაკატზე დატანილი საბჭოთა კავშირის რუკა არ იწვევდა არანაირ ეჭვს იმისა, რომ „ჩვენს დედამიწაში“ მხოლოდ საბჭოეთის მიწა იგულისხმებოდა. სული სიღრმემდე შემძრა სხვაობამ გარემომცველი სამყაროს სიდიადესა და ხის უბადრუკ ქოხზე გაკრულ საზეიმო, ამბიციურ პლაკატს შორის. იმავე საღამოს, როცა მთელი ბრიგადა ჩვეულებისამებრ ლოთობდა, მე, სასმელით გახურებული, ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს (რომელთაც ყოველთვის ვპოულობდი) ვუმტკიცებდი: „თავად იესო ქრისტე მეორედ მოსვლისას ჩვენს „საბჭოურ მიწაზე“ რომ მოგვევლინოს, ისიც, როგორც კი აქაურ ჰაერს ჩაისუნთქავს, ჯვარზე კი არა, ბაზარში წავა, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად კარტოფილის გასაყიდად!“ – როგორი ახალგაზრდა ვიყავი, სულელი, სისხლმდუღარე და უკიდურესობამდე პოლიტიზებული... ღვთისგმობა – ეს უდიდესი ცოდვა, რომელიც ჩემს სინდისზე იყო – გამახსენდა 25 წლის შემდეგ მოსკვორეცკის ბაზრის სასტუმროს ნომერში, სადაც სანტექნიკით მოვაჭრე სომეხმა კამომ და ხილის გამყიდველმა აზერბაიჯანელმა ნაგიმ (ან მისმა რომელიღაც თანამემამულემ), შეგნებულად თუ შეუგნებლად, სიკვდილისგან მიხსნეს. ბევრს მივცემდი, ოღონდ გამეგო, რამ აიძულა ეს ადამიანები, ერთმანეთისგან შეუთანხმებლად, სხვადასხვა მხრიდან ეკაკუნებინათ ჩემი ნომრის კედლებზე, რამაც, სმენის გავლით, ხელოვნური მასაჟის თუ ელექტროშოკის ფუნქცია შეასრულა ჩემი გულისთვის.

1998 წლის აგვისტოს დეფოლტისა და „შავი სამშაბათის“ შემდეგ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის რეგიონულმა სამმართველომ და ორეხოვო-ბორისოვოს „საძმომ“ ერთობლივად „გადაუარა“ მოსკვორეცკის ბაზრობას აქ მომუშავე არარუსების „გასაკრეჭად“ და „დასაძირად“. 31 დეკემბერს ცვლა დავასრულე, იმავე დღეს, კადრების განყოფილებაში ჩემი გათავისუფლების ბრძანებას ბეჭედი დაუსვეს, 1 იანვარს კი უკვე სანკტ-პეტერბურგში ვიყავი, სადაც ვიცხოვრე 2000 წლის აგვისტომდე. მანამდე, 1999 წელს, შევეცადე რუსული პასპორტით შემეცვალა საბჭოთა პასპორტი, მაგრამ სწორედ ამის გამო მომიხდა გამგზავრება, დატრიალდა ამ პროცესის თანმდევი ბიუროკრატიული მანქანა: რამდენიმე პირობასთან ერთად, მათ ჩემგან მოითხოვეს დევნილის მოწმობის ახლით (5- თუ 6-ციფრიანით) შეცვლა, რაც ჩემ მიერ აღქმული იყო, როგორც „არამეგობრული აქტი“. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ მივმართე საქართველოს საკონსულოს, საიდანაც, გარკვეული დროის შემდეგ, გადმომეცა საქართველოს საზღვარგარეთის პასპორტი, რომელსაც, ღვთის ნებით თუ ბოროტი ადამიანების მცდელობით, არ ეწერა გამოყენება...



2000 წლის აგვისტოში სამშობლოში დავბრუნდი, სადაც შევიძინე 2-ოთახიანი ბინა ორდერით (ბინებს, რომლებიც იძულებით დაატოვებინეს კანონიერ მესაკუთრეებს, ადგილობრივები „ნადავლს“, „ნაალაფარს“ ეძახიან და მათი შეძენა გაცილებით იაფად შეიძლება, თუმცა მე, ჩემი მოსაზრებების გამო, მათი შეძენა არ მხიბლავდა). აქ ვიცხოვრე ბოლოდროინდელ მოვლენებამდე – უკრაინაზე პუტინის ავაზაკურ თავდასხმამდე; ამის შემდეგ ბინა ნაჩქარევად, სამჯერ იაფად გავყიდე, ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტების გაფორმების ყველა უფლება მყიდველს გადავეცი, ხოლო მიმდინარე წლის 8 მაისს, სხეულიდან ჩამოვიფერთხე დანაშაულითა და ცოდვით სავსე ჩემი სამშობლოს მიწის მტვერი და კიდევ ერთხელ დავადექი შორეულ გზას...

არ შემიძლია თავი შევიკავო იმ ინციდენტის აღწერის სიამოვნებისგან, რასაც მგზავრობისას ჰქონდა ადგილი. 9 მაისს დონის როსტოვში მატარებელში ამოვიდა ცოლ-ქმარი ექვსი წლის გოგონასა და მასზე ერთნახევარი-ორი წლით უმცროს ბიჭუნასთან ერთად. ისინი ჩემს მოპირდაპირედ განთავსდნენ. ოჯახის დედის რეპლიკები გასაგებს ხდიდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ, საბრძოლო მოქმედების ზონისთვის სასწაულებრივი მარშრუტით დაეღწიათ თავი და ახლა ერთ-ერთი მეუღლის მშობლებთან მიემგზავრებოდნენ. ამრიგად, ახალმა მგზავრებმა კიდევ უფრო მაღლა ასწიეს ვაგონში ისედაც უკრაინის გარშემო მიმდინარე მსჯელობის ტემპერატურა. მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ ამ თავისებურ საგზაო დისპუტში მე ვერ ვიქნებოდი ორკესტრის ბოლო ვიოლინო... მეორე კლასის ვაგონში (ე.წ. „პლაცკარტში“) პოლიტიკურ თემებზე საუბრის წაყვანის ხელოვნება დიდი სიფრთხილითა და უნარით ახერხებს საერთოს მონახვას ყველა დაინტერესებული თუ უნებლიე მსმენელისთვის. ამ „დისპუტში“ თითოეული მონაწილე თავის დამოკიდებულებას განსაზღვრავს პრინციპით – „თავისიანი – სხვისიანი“. ასეთ სიტუაციებში ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა შეიძლება საკმარისი გამოდგეს იმისთვის, რომ რომელიმე აღშფოთებულმა მგზავრმა ხმაურის შეწყვეტა მოითხოვოს, ან კიდევ უარესი – გამცილებელი გამოიძახოს და მისგან მოითხოვოს წესრიგის დამყარება.

ამჯერად უფალი მოწყალე იყო და მე, როგორც იტყვიან, „იერიშზე“ გადავდიოდი. საუბრის პროცესში შევამჩნიე, რომ დევნილი ოჯახის მამა სიტყვას არ სძრავდა და ფანჯარასთან დაღვრემით მჯდომი, შიგადაშიგ ბრაზიან მზერას მომაპყრობდა ხოლმე. რაკი მისი გარეგნული არაკეთილგანწყობის მიზეზს ვერ ჩავწვდი, ჩავთვალე, რომ უბრალოდ, მე ვაღიზიანებდი, როგორც პიროვნება, და ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობდი; არადა, ვსაუბრობდი ბევრს და გატაცებით... ამასობაში, მომდევნო სადგურში მატარებელი გაჩერდა, მგზავრები ბაქანზე გავიდნენ და მეც მათ შევუერთდი.

ვაგონში დაბრუნებულმა დავინახე, რომ სკამზე მჯდომ ცოლ-ქმარს და მათ ბავშვებს პოლიციის ორი ოფიცერი დასდგომოდა თავს; პატარებს ანგელოზისებრ სახეზე შიში ალბეჭდოდათ და უმნიშვნელო მიზეზითაც ტირილს იწყებდნენ. მათი დამშვიდება დავიწყე, ვეუბნებოდი, რომ პოლიციელი ძიები დედიკოსა და მამიკოს საბუთებს შეამოწმებენ მხოლოდ, შემდეგ – ჩემთან გადმოვლენ, მერე – სხვა დეიდებთან და ბიძიებთან და ასე შემდეგ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მომეჩვენა, რომ პოლიციელებს ჰქონდათ სურვილი თუ დავალება – რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, მატარებლიდან მოეხსნათ მთელი ოჯახი თუ არა, მამა მაინც. ასე გავიარეთ კიდევ რამდენიმე სადგური. ოფიცრები ჩამოგვშორდნენ, მაგრამ რამდენიმე ხანს კიდევ იდგნენ გამცილებლის კუპესთან; ერთი მათგანი რატომღაც ძალიან ხშირად იხედებოდა ჩემკენ, თუმცა ვცდილობდი ამისთვის ყურადღება არ მიმექცია და ბავშვების ვართობას ვაგრძელებდი... როგორც იქნა, პოლიციელები წავიდნენ და ვაგონში განწყობა გამოკეთდა. ერთ-ერთ სადგურზე, მგონი, ეს იყო კანტემიროვო, დევნილი ოჯახი ჩასასვლელად მოემზადა; დედა ბავშვებთან ერთად წინ გავიდა, მამაკაცი კი ჩამორჩა მათ, ბარგი წამით იატაკზე დადო, მომიახლოვდა ისეთივე კუშტი სახით და უსიტყვოდ, გულითადად ჩამომართვა ხელი – ფეხზე ავდექი და მთელი გულით ვუსურვე მას და მის ოჯახს კეთილი მგზავრობა.

ამ ხელის ჩამორთმევით ღმერთმა თითქოს მე გამაძლიერა და დამლოცა იმისათვის, რომ სწორედ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ მივილე უკვე კარგა ხნის მომწიფებული გადაწყვეტილება – სამუდამოდ მიმეტოვებინა სამშობლო და ხელახალი აღორძინების გზაზე მდგარი რუსეთის იმპერიის საზღვრები. 3 ივნისს პულკოვოს აეროპორტიდან სტამბოლში გავფრინდი...

„მოგონებების“ დასრულებამდე ორი-სამი დღით ადრე, სრულიად შემთხვევით, მობილურის არქივში რამდენიმე თვის წინანდელი ჩანაწერი აღმოვაჩინე: „პიოტრ სტოლიპინის ცნობილი ისტორიული სიტყვის პერიფრაზით თუ ვიტყვით, – პუტინს სჭირდება უდიდესი და თავისი დიდებულებით მსოფლიოსთვის შიშისმომგვრელი რუსეთი, ჩვენ კი გვჭირდება ზღაპრული ფენიქსივით ისტორიული ფერფლიდან აღმდგარი, დიდი, და ამავდროულად, წმინდა რუსეთი; ამაზედ ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს, და ვაი მათ, ვინც ამ გზაზე გადაგვეღობება“. მიამიტური ნათქვამია, ზედმეტი პათოსით, თუმცა – გულწრფელი...

ჩემი განსასჯელი არ არის, რას ვემსახურებოდი მთელი ცხოვრების მანძილზე ქვეყანაში, სადაც დავიბადე და ვიცხოვრე 66 წლამდე – სიკეთეს თუ ბოროტებას, ამას უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლო განსჯის, მაგრამ ის კი აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ ავად თუ კარგად, გონებისა და გულის ყველა შესაძლებლობა მივუძღვენი უკეთესი მომავლის იმედს – არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

ვარშავის ხელშეკრულების რღვევის და „ბოროტების იმპერიის“ – სსრ კავშირის თვითლიკვიდაციის შემდეგ, გაჩნდა რწმენა, რომ ჩვენი იმედები არ იყო ამაო, თუმცა, მოხდა ის, რაც მოხდა... და მაინც, „არსებობს ღვთის სამართალიც – ის გველოდება!“ სწორედ მას ვუტოვებ საბოლოო ვერდიქტის გამოტანის უფლებას...

„ადექით, სასამართლო მოდის“...

**რუსულიდან თარგმნა**
**ლალი კონცელიძემ**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №5–7**
**გამოქვეყნებულია ჟურნალ „რიწაში“ (№1.2015 წ.)**

# საქართველო – „ანტიქრისტეს ჩამკეტი“

## ჩვენმა ქვეყანამ თავისი თავიც უნდა გადაარჩინოს და მთელი კაცობრიობაც უნდა იხსნას!

გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი **ბესო მიქავა**

**— ბატონო ბესო, რამდენადაც ვიცით, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თქვენ გლობალური კატაკლიზმების ჭრილში უყურებთ. კერძოდ, რა კავშირები არსებობს მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებსა და ქართულ რეალობას შორის?**

— თქვენი ნებართვით, მგონი, აჯობებს ცოტა შორიდან დავიწყო.

მოგეხსენებათ, ნატოს შტაბბინაში, ბრიუსელში, სალვადორ დალის სურათის ასლი ჰკიდია, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ უყურებს „გეოპოლიტიკური ბავშვი“ ახალი ადამიანის დაბადებას. ნახატი შესრულებულია სალვადორ დალის მიერ 1943 წელს.. ეს სურათი სიმბოლურია, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ნატოს ხელმძღვანელობისთვის და არა მარტო ნატოს ხელისუფლებისთვის, სხვა შემთხვევაში, ის იქ არ იქნებოდა. სურათზე ცენტრალური ადგილი უკავია კვერცხს, რომლიდანაც იშვება „ახალი ადამიანი“, თავად კვერცხზე კი გამოსახულია დედამიწის რელიეფი.

მოგეხსენებათ, გეოპოლიტიკა, ერთი მხრივ, არის მეტაფიზიკა, მეორე მხრივ, მეცნიერება საერთაშორისო ურთიერთობებზე.

სურათის მიხედვით ჩანს, რომ იბადება ახალი ადამიანი. დაბადება — ეს არის რეალობის შეცვლა, სიახლის დასაწყისი. „ახალშობილი“ ანგრევს სივრცეს, ყოველივე არსებულს, ისე, როგორც დღეს დასავლეთის სამყარო. ამ ახალგამოჩეკილ ადამიანს კვერცხიდან გამოყოფილი აქვს მარცხენა ხელი და უდევს ბრიტანეთზე, ფეხი მიბჯენილი აქვს ინდოეთზე.

გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, ეს არის ზუსტი საყრდენები ჩრდილოეთ ამერიკისა, რომლის საოკეანო ძალმოსილება წარმოსდგება ბრიტანეთის იმპერიიდან, როგორც მისი უშუალო მემკვიდრისგან.

ნახატზე გამოსახული ქალბიჭა ჰერმოფროდიტის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიუთითებს კავკასიაზე — საქართველოზე. მუშტს თვითონ გაცინებული, დაღრეჯილი ეშმაკის სახე აქვს. თვით მუშტი წარმოადგენს ღიმილში გამრუდებული მხეცის სახეს, რომელსაც მარცხენა ხელზე დიდი ბეჭედი უკეთია, რაც ხელდასმულობას ნიშნავს.

ჰერმოფროდიტი ჟღალთმიანია. მისი გაშვერილი მარჯვენა ხელის ჩრდილი არ ჩანს, ჩანს მხოლოდ ტანის ჩრდილი, (უხილავი ხელი). სწორედ ამ უხილავ ხელზე გვაფრთხილებდა ჯონ კენედი: „ქალბატონებო და ბატონებო! თვით საიდუმლოების მცნება ეწინააღმდეგება თავისუფალ და ღია საზოგადოებას. ჩვენ ჩვენი ბუნებით წარმოვადგენთ ისტორიულ ხალხს, რომელიც წინ აღუდგა საიდუმლო საზოგადოებებს, საიდუმლო ორდენებს და დახურულ შეკრებებს. მთელ მსოფლიოში ჩვენ წინააღმდეგ გაჩაღებულია მონოლითური, უმოწყალო შეთქმულება, რომელიც ფარული ხერხებით აფართოებს გავლენის სფეროს, მოჟონავს შემოჭრის ნაცვლად, ამხობს ხელისუფლებებს არჩევნების გარეშე და თესავს შიშს თავისუფლების მაგივრად. ამ სისტემამ გაუკეთა მობილიზება ადამიანთა დიდ მატერიალურ რესურსებს და ააშენა მძლავრი, მაღალკვალიფიციური მანქანა, რომელიც ახორციელებს სამხედრო, დიპლომატიურ, სადაზვერვო, ეკონომიკურ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ოპერაციებს. მათი მომზადება გასაიდუმლოებულია, მათ შეცდომებს მალავენ და არ ამჟღავნებენ. იგი მდუმარებით გვიახლოვდება, არ უწევს ანგარიშს ხარჯებს და ხმებს, არ ახმაურებს საიდუმლოებებს. მე ვითხოვ თქვენგან დახმარებას ინფორმირების და ამერიკის ხალხის გაფრთხილების მნიშვნელოვან საქმეში, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დახმარებით ადამიანები ისეთები გახდებიან, როგორებიც დაიბადნენ: თავისუფალნი და დამოუკიდებელნი“.

ამ მამხილებელი მიმართვის შემდეგ, 1963 წლის 22 ნოემბერს, სწორედ საიდუმლო ორგანიზაციების დაკვეთით, ლი ჰარვი ოსვალდმა დალასში მოკლა ამერიკის 35-ე პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი. აღსანიშნავია ფაქტი, რომ 1916 წლის 29 დეკემბერს რუსეთში მოკლული გრიგორი რასპუტინის მკვლელიც ინგლისელი რეინ ოსვალდი გახლდათ, რომელიც დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურის ოფიცერი იყო. მაგრამ ამ მკვლელობების მოტივის განხილვა ცალკე თემაა.

კვერცხის თავზე გამოსახულია ნაჭერი, რომელსაც 13 ნაწიბური აქვს. 13 ნაწიბური განასახიერებს მაცხოვარსა და მის 12 მოციქულს (პაროდიულად). უნდა ვიცოდეთ, რომ, თავდაპირველად, ნატოში 13 სახელმწიფო გაერთიანდა, ევროკავშირიც ევროპის ცამეტმა სახელმწიფომ შექმნა, ამერიკაც თავიდანვე შეიქმნა 13 შტატისგან. აქედან ნათლად ჩანს, რომ კვერცხიდან ახალი ადამიანის დაბადებას იცავს ნატოს და ამერიკის გაერთიანებული ძალები, აქვე უნდა ითქვას: აშშ-ის დღევანდელი დროშის წინაპარი იყო ბრიტანეთის, ვესტ-ინდოეთის კომპანიის დროშა, რომელიც წააგავდა ბრიტანულ დროშას და შედგებოდა 13 ჰორიზონტალური წითელი და თეთრი ხაზისაგან. 1776 წელს საკონტინენტალო კონგრესზე მიღებული იქნა ა.შ.შ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ახალ სახელმწიფოში შევიდა 13 ტერიტორია, ყოფილი დიდი ბრიტანეთის კოლონიები: ვირჯინია, დელავარი, ჯორჯია, მასაჩუსეტსი, მერილენდი, ნიუ-ჰემფშირი, ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, პენსილვანია, როდ-აილენდი, კონექტიკუტი, სამხრეთ კაროლინა და ჩრდილოეთ კაროლინა. ერთი წლის შემდეგ მეორე საკონტინენტალო კონგრესი იღებს შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშას, რომელიც შედგებოდა 13 წითელი და თეთრი ხაზებისაგან და 13 თეთრი ვარკვლავისაგან ლურჯ ფონზე. დროშის ამ ვერსიაში 13 ვარსკვლავი ლურჯ ფონზე ქმნიდნენ წრეს. ეს დროშა ცნობილია, როგორც „ძველი დიდება“. ის პირველმა შეასრულა ფილადელფიელმა მკერავმა ქალბატონმა ბეტსი როსიმ. ეს დროშა შევიდა ისტორიაში, აგრეთვე, როგორც „ბეტსი როსის დროშა“.





კვლავ სურათს დავუბრუნდები: უნდა აღინიშნოს, რომ ეგრეთწოდებული ახალი ადამიანი არის ანტიქრისტე, რაზეც მეტყველებს შემდეგი: მოღუნული მარცხენა ხელი წარმოადგენს გონიოს, გონიოს ჩრდილი ქმნის ექვსიანს და არა კუთხეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მშენებლებს სურთ გამოიყენონ გონიო ანტიქრისტეს სახლის მშენებლობისთვის და არა ღვთის სახლის ასაშენებლად. ადამის მტრების მიზანი — ეს არის ჭეშმარიტების პროფანაცია დროში და სივრცეში, ანუ ახალი სტილი, ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი აზროვნება, ახალი ე.წ. ეროვნული მოძრაობა და სხვა, ანუ ყველაფერი, რასაც აქვს, ზოგადად, „ახალი“ მწვალებლობის სახელი. ეს ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ქრისტე მაცხოვარი მოვიდა და გვიბოძა ჩვენს გადასარჩენად ახალი აღთქმა, სადაც იოანეს აპოკალიპსში წინასწარ გვამცნობს ჭეშმარიტ ახალ მსოფლიოზე, ახალ იერუსალიმზე, ახალ ღვთის ქალაქზე.

ანტიქრისტე მოდის ომით და მის მოსვლას თან ახლავს სისხლიანი მდინარეები, რაზეც მიანიშნებს სისხლი სურათზე, რომელიც კვერცხიდან გადმოდის თეთრ გადასაფარებელზე, თეთრი გადასაფარებელი ნიშნავს ევროამერიკულ დემოკრატიას, რომელზეც დევს კვერცხი და იჩეკება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მეფე. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლი, რომელიც მოედინება მთელ მსოფლიოში, ეს არის ომების გაჩაღება სახელმწიფოთა შორის, რელიგიებს შორის, ერებს შორის, ნათესავთა შორის, ზნეობათა შორის — ეს არის შედეგი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მოკავშირეთა მიერ პროვოცირებული ჩარევისა, რომლებიც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე არ იღებენ პასუხისმგებლობას. სურათზე ეს აღნიშნულია სისხლით დაუსვრელი გადასაფარებლით.

**— ნახატზე მზის ჩრდილიც ჩანს.**

— დიახ. სურათზე ჩანს, რომ ამომავალი მზე აღმოსავლეთში ანათებს, მაგრამ ჩრდილს დასავლეთისკენ არ იძლევა და პირიქით: კვერცხზე კონცენტრირებული კაშკაშა სინათლე ირგვლივ ანათებს დასავლეთიდან, მისგან გამოდის ჩრდილი აღმოსავლეთისაკენ. ეს ნიშნავს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მშენებლები არიან ცრუ მოციქულები — დემოკრატიის მამები, რომლებიც ქადაგებენ სიყვარულის გარეშე-თავისუფლებას, ძმობას და თანასწორობას, დემოკრატიის სახელით ანადგურებენ ყველას, ვინც წინ აღუდგებათ და არ დაემორჩილებიან მათ. არ აძლევენ ადამიანებს თავისუფალ არჩევანს, ამიტომ ახალ მსოფლიო წესრიგში არ დარჩა ადგილი და ფუნქცია ქრისტე-მხსნელისა, რომელიც სიყვარულს ქადაგებს.

რამდენიმე წლის წინ თსუ ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა ნათელა გოგებაშვილმა ასეთი რამ მოგვითხრო: „გასული საუკუნის 70-იან წლებში ქ. ზაგორსკის სამონასტრო კომპლექსში დავესწარით კვირის დილის წირვას. იმდროინდელი აკრძალვების პერიოდში აღფრთოვანებულები ვუყურებდით იქ მოქმედ ეკლესიებს და თანაც ქართულად ვლაპარაკობდით. ორი საეკლესიო მსახური მოგვიახლოვდა და როცა გაიგეს, რომ საქართველოდან ვიყავით, გახარებულებმა გვითხრეს ბედნიერი ქვეყნის შვილები ხართ, არსებობს წმინდა წიგნი, სადაც წერია, რომ კავკასიის მთებში მყოფმა პატარა, ქრისტიანულმა, მართლმადიდებლერმა ქვეყანამ თავისი თავიც უნდა გადაირჩინოს და დანარჩენი მთელი კაცობრიობაც უნდა იხსნასო. კავკასიაში საქართველოს გარდა სხვა ასეთი ქვეყანა არ არსებობსო.

მოვა დრო და თითქმის მთელი მსოფლიო აღსდგება თქვენს დასაღუპავად, მაგრამ ერთი მესამედი ამ შემოტევას გაუძლებს და სხვებსაც იხსნის სულის დაღუპვისაგან.

იმ დროს ჩვენც საქართველოში ჩამოვალთ, რადგან გადარჩენა ქართულ მიწაზე იქნებაო.

**— ანუ მივადექით საქართველოს მისიას, არა?**

— დიახ. ევროპის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ე.წ. ეგსტორფის რუკაზე მხოლოდ გეოგრაფიული რეალიები როდია დატანილი, არამედ მითები, ლეგენდები, წმინდა გარდამოცემანი. რუკაზე საქართველოცაა გამოხატული, როგორც „ანტიქრისტეს ჩამკეტი“, ისე, როგორც წმინდა წიგნშია: „ვისაც ყური აქვს — მისმინოს!“

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18


ოლეგ ბასილაშვილი

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# „ნუთუ ეს მე ვარ?! ღმერთო...“

ერთხელ პატარა ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. მათ შორის უფროსმა თავისი მეგობრის დანახვაზე წამოიძახა, ნახეთ, უშაკოვი მოდისო. მოთამაშეებს შორის ყველაზე პატარამ გაკვირვებულმა გააპროტესტა, უშაკოვს სიარული არ შეუძლია, უშაკოვი ლექსიკონიაო. პატარა ბიჭუნა, რომელმაც რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენლისა და რედაქტორის გვარი იცოდა, მომავალი სახალხო არტისტი ოლეგ ბასილაშვილი იყო.

დედა – ირინა ილინსკაია, რუსი ინტელიგენტების შთამომავალი, მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი ლინგვისტი იყო. მრავალი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით იქმნებოდა პუშკინის ლექსიკონი, რომლის შედგენაში ოლეგიც მონაწილეობდა, პატარ-პატარა ბარათებს ავსებდა – დავალებას აძლევდნენ და ისიც აკურატულად იწერდა მითითებულ ტექსტს. ასობით ასეთი ბარათი აქვს შევსებული. ოჯახის უფროსი ვალერიან ბასილაშვილი მათ სახლში ხშირად შეკრებილ რედკოლეგიის წევრებსა და საქმეზე გადაგებულ სპეციალისტებს „ფილოლუხებს“ უწოდებდა და ბრაზობდა – ცხოვრებას არ მაცლიანო.

ვალერიან ბასილაშვილი უცნაური ბიოგრაფიის კაცი ყოფილა. თავდაპირველად აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტში სწავლობდა, მერე ეთნოგრაფიულ ფაკულტეტზე აღმოჩნდა. როგორ და რატომ გახდა ეთნოგრაფი საბოლოოდ კავშირგაბმულობის სპეციალისტი, ოლეგ ბასილაშვილისთვის უცნობია. თუმცა ეს არჩევანი წარმატებული გამოდგა და წლების განმავლობაში მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

**„მამაჩემი წარმოშობით საქართველოდან არის – გორის რაიონის სოფელ კარბიდან. როცა საცხოვრებლად თბილისში გადავიდა, იქ ახალგაზრდული, თუ არ ვცდები, ბოისკაუტურის მსგავსი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. ვიდრე ბოლშევიკები თბილისში შევიდოდნენ, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოგვიანებით მოსკოვში ქართველმა მეგობრებმა უხმეს და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩააბეს, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამ საქმიანობისთვის თავი უნდა დაენებებინა. იქნებ ამიტომაც გადაურჩა მრისხანე წლებს?! თუმცა სიცოცხლის ბოლომდე მისი საწოლის ქვეშ იდო პატარა ჩემოდანი – აუცილებელი ნივთებით. დასაპატიმრებლად თუ მოაკითხავდნენ, ჩემოდანი მზად ჰქონდა, რომ ზედმეტი ფორიაქის გარეშე აეღო და წასულიყო“.**

კარგად ახსოვს 1941 წლის 22 ივნისი – მაშინ 6 წლისა თუ იქნებოდა. იმ დღეს დედამ ფილმის სანახავად წაიყვანა. კინოთეატრის კიბეებზე შეჯგუფული ხალხი დახვდა:

**„რატომღაც ყველას შავი ტანსაცმელი ეცვა. შუაში იდგა წითელბერეტიანი ქალი, რომელიც თეატრში ბილეთებს ამოწმებს, და აღელვებული ლაპარაკობდა. დედამ ყური მოჰკრა თუ არა მის ნათქვამს, ხელი ჩამჭიდა და აკანკალებულმა შინ წამიყვანა. გული დამწყდა, რომ ვერ ვნახეთ ფილმი, რომლის შემდეგ გამოფენაზეც უნდა წავსულიყავით. თურმე, ის ქალი რადიოთი გადმოცემულ მოლოტოვის განცხადებაზე ჰყვებოდა, რომ ომი დაიწყო“.**

ომის პერიოდში ყველას უჭირდა და გამონაკლისი არც ბასილაშვილების ოჯახი ყოფილა. ერთხელაც პატარა ოლეგს შიმშილით გამოწვეული ტუბერკულოზი დაუდგინდა. შვილის გადარჩენაზე ფიქრმა დედას უცებ გაუნათა გონება: – საქართველოს მიწა ნოყიერი და ბარაქიანია, დოლის დასარტყამი ჯოხი რომ ჩაარჭო, დოლი ამოვაო და...



ომში მისი ნახევარძმა, საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი გიორგი (ჟორა) და მამა, ვალერიან ბასილაშვილები მონაწილეობდნენ. ძმა პირველსავე დღეს წავიდა ომში, გმირულად იბრძოდა, რამდენჯერმე თავი დააღწია ალყას, მაგრამ საბოლოოდ კურსკის ბრძოლების დროს დაიჭრა და როცა ზურგში გადაჰყავდათ, მაშინ დაიღუპა. არტილერიის ბატარეის მეთაური კაპიტანი გიორგი ბასილაშვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ომში მოხალისედ წასულმა მამამ კი 1945 წლის ივლისში მოახერხა დაბრუნება მაიორის წოდებით და რაც უფრო ემატებოდა ასაკი, სულ უფრო და უფრო ხშირად იხსენებდა ომის პერიპეტიებს. მშობლები დიდხანს ეძებდნენ შვილს, მაგრამ უშედეგოდ. ოლეგ ბასილაშვილმა მოგვიანებით სატელევიზიო გადაცემის მეშვეობით მიაგნო ძმის კვალს და გარდაცვალებიდან 67 წლის შედეგ მოინახულა საძმო საფლავი.

დედის მხრიდან პაპას და ბებიას მშობლები ეკლესიის მსახურნი იყვნენ. საბჭოთა წლებში ოჯახის წევრები ერიდებოდნენ თავიანთი ეკლესიურობის გამჟღავნებას. ოლეგ ბასილაშვილს ახსოვს მათთან სტუმრად მისული დედის ნათესავები – პალტოს ქვეშ შეკეცილი ანაფორებით, კაშნესა და ქუდში დამალული წვერით.

თეატრითა და მსახიობის პროფესიით დაინტერესებას დედას უმადლის, რომელსაც ხშირად დაჰყავდა თეატრში, ხოლო სპექტაკლ „ლურჯი ფრინველის“ ნახვამ საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა. მომავალი მსახიობის მამამ არ იცოდა, რომ შვილი სცენაზე ოცნებობდა და მისი თანდასწრებით მსახიობის პროფესიას ლანძღავდა – ეს რა სამარცხვინო სამუშაოა. ტუჩებს შეიღებავენ და იპრანჭებიანო. ოლეგი კი მდუმარედ უსმენდა, უსმენდა და სცენაზე ოცნებობდა. როცა „მხატის“ სკოლა-სტუდიაში ჩააბარა, ვალერიან ბასილაშვილმა შვილი გააფრთხილა, უკვე დიდი ხარ და უფლება გაქვს, მოიქცე ისე, როგორც გსურს. მაგრამ გაითვალისწინე – არ დაგეხმარები. პურის ფულის შოვნა თვითონ მოგიწევსო.

**„ლენკომსა და შემდგომ ლენინგრადის დიდ დრამატულ თეატრებში გატარებული პირველი წლები ყველაზე რთული იყო. დედა და ბებია ცდილობდნენ დახმარებას – ხან ცოტა ფულს მიგზავნიდნენ, ხან სვიტრსა და წინდებს, ბებიაჩემის გამომცხვარ ღვეზელს... მამაჩემისგან კი არაფერი მიმიღია. ამიტომაც, როცა სევდა შემომაწვებოდა და გული მოსკოვისკენ გამიწევდა, თეატრის დატოვებაზე ფიქრს გავურბოდი. რომ მიმეტოვებინა, გამოვიდოდა, რომ მამაჩემი მართალი იყო, წლები უაზროდ დავკარგე, დედაჩემისა და ბებიაჩემის იმედები ვერ გავამართლე. მოგვიანებით, როცა ჩვენი თეატრი უკვე დიდების მწვერვალზე იყო და მამამ მოსკოვურ გასტროლებზე ჩვენი სპექტაკლები ნახა, მითხრა – სერიოზულ საქმეს აკეთებთ. ჩემი პრეტენზიები უკან მიმაქვს, მიდი, იმუშავეო.**

ამის შემდეგ მამა-შვილი ერთმანეთს დაუახლოვდა. მამა ლენინგრადში ჩადიოდა შვილის სპექტაკლებზე დასასწრებად და სიხარულით ეგებებოდა მოსკოვში დაბრუნებულ ვაჟს.

**„პირადად მიმზადებდა სადილს. გაგიჟებით უყვარდა ქართული კერძები – საცივი, ტოლმა... მაშინვე გამოაჩენდა საგანგებოდ ჩემთვის გადანახულ სასმელს. გული მწყდება, რომ თავის დროზე მისი საქმიანობით არ ვინტერესდებოდი. როდესაც მამამ თავის პოლიტექნიკუმში წამიყვანა და სიამაყით მაჩვენა მისი ძალისხმევით აშენებული აუდიტორიები, სახელოსნოები, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი... სად ხარ, ახლა, მამა? რამდენი რამ მაქვს სათქმელი და როგორ მინდა შენი რჩევა-დარიგების მოსმენა... პატიებასაც გთხოვდი...“**

ამჯერად არაფერს ვამბობთ როგორც თეატრში, ისე კინოში შესრულებულ წარმატებულ როლებზე, მაგრამ ოლეგ ბასილაშვილზე თხრობისას აუცილებლად უნდა ითქვას ლენინგრადის დიდ დრამატულ თეატრში გიორგი ტოვსტონოგოვთან ურთიერთობაზე და ოლეგ ბასილაშვილის, როგორც წარმატებული მსახიობის ჩამოყალიბებაში დიდი რეჟისორის როლზე.

სცენაზე პირველი ნაბიჯები და თავის დამკვიდრება გაუჭირდა. თვითონაც ეძებდა საკუთარ თავში არტისტს. ლენინგრადში დაოჯახებული ჩავიდა – მისი მეუღლე ტატიანა დორონინა მასზე ადრე მიიღეს დრამატულ თეატრში და მთავარი როლებითაც გაანებივრეს, ოლეგ ბასილაშვილი კი ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ეპიზოდებში თითო-ოროლა რეპლიკით. სამსახიობო წარმატება – ნული, ხელფასი – მიზერული... ერთადერთი ბინა მისცეს, მაგრამ მეუღლე სულ უფრო და უფრო გვიან ბრუნდებოდა შინ, ხანდახან არც ბრუნდებოდა. ერთ თეატრში მუშაობამ დაახლოების ნაცვლად კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს. რვაწლიანი თანაცხოვრება დასრულდა – საბოლოოდ დაშორდნენ, რადგან მათი შეხედულებები ცხოვრებაზე რადიკალურად შეიცვალა. მოგვიანებით ოლეგ ბასილაშვილი იტყვის, მადლობა ტატიანას, რომელმაც განქორწინების ინიციატივა გამოიჩინაო. მართალიც არის – ასე რომ არ მომხდარიყო, ვერ შეხვდებოდა თავის მეორე მეუღლეს გალინა მშანსკაიას, რომელთანაც უკვე 50 წელია ბედნიერად ცხოვრობს, ახლა უკვე ორ ქალიშვილსა და შვილიშვილებთან ერთად.



თეატრის სპექტაკლები არნახული წარმატებით სარგებლობდა, ახალი დიდი თეატრალური დასი თავს იმკვიდრებდა, ოლეგ ბასილაშვილი კი ამ პროცესის მიღმა იმყოფებოდა.

**„ტოვსტონოგოვი არტისტების კოლექციას ქმნიდა და დასაღვინებლად დროს აძლევდა. რასაკვირველია, ჰყავდა საყვარელი მსახიობები. როგორ უნდა დამემტკიცებინა მისთვის, რომ მეც შემიძლია რაღაც. არასრულფასოვნების კომპლექსმა შემიპყრო და რასაც ვთამაშობდი, ყველაფერს უფერულად.**

**ერთხელაც დერეფანში ერთმანეთს გადავეყარეთ. მისალმების შემდეგ სიჩუმე ჩამოწვა. ვფიქრობ, აი, ახლა მეტყვის, ხომ არ დადგა დრო, სამუშაო ადგილი შეიცვალოო... პაუზა გახანგრძლივდა და უცებ მეუბნება: – ოლეგ, ვგრძნობ, რომ თეატრიდან წასვლა გსურთ. ასეა, არა?! ვერაფერს ვპასუხობ, რაღაცის ამოლუღლუღებას ვცდილობ... ის კი მეუბნება – ძალიან გთხოვთ, ოლეგ, ეს არ გააკეთოთ! თქვენ მე ძალიან მჭირდებით!..**

**მიტრიალდა და წავიდა.**

**ამ წუთიდან მოყოლებული, ყველაფერი შეიცვალა. ცივ, სუსხიან, პირქუშ ლენინგრადში თითქოს მზემ გამოანათა და იქაურობა სითბოთი და სიხარულით აივსო! ცხოვრება ისევ მშვენიერი გახდა!“**

გიორგი ტოვსტონოგოვს მსახიობები გამოჰყავდა, მათ შესაძლებლობებს აფართოებდა, ტალანტის მოულოდნელ მხარეებს ავლენდა... თანამოაზრეებისგან ქმნიდა თეატრს. რეპეტიციებიცა და სპექტაკლებც დიდი მაესტროს გაკვეთილები იყო, რომლებითაც ტოვსტონოგოვი ეძებდა სიმართლეს – ერთადერთს, ამ ავტორისთვის დამახასიათებელს, განუმეორებელს და ცდილობდა ამ სიმართლის მაყურებლამდე მიტანას. ამ შემოქმედებითი პროცესის მუდმივი მონაწილე გახდა ოლეგ ბასილაშვილი, რომელიც დიდი დრამატული თეატრის მსახიობი 1959 წელს გახდა. იმ დროიდან მოყოლებული, ამ სცენაზე ოთხ ათეულზე მეტი როლი აქვს შესრულებული, მათგან უკანასკნელი ცხრა – ტოვსტონოგოვის გარეშე. როცა თეატრის დამაარსებელი და მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი გარდაიცვალა, პირველსავე სამხატვრო საბჭოს სხდომაზე, ოლეგ ბასილაშვილის ინიციატივით, გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრი გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობისა გახდა.

2012 წელს გამოვიდა ოლეგ ბასილაშვილის მემაუარების წიგნი სათაურით: „ნუთუ ეს მე ვარ?! ღმერთო...“, რომელშიც მოთხრობილია მისი ცხოვრების ისტორია, ოჯახის თავგადასავალი, დანაკარგებისა და დამსახურებების, დამარცხებებისა და გამარჯვებების ამბები. წერს კრიტიკულად, ხშირად – ირონიით, წერს თავის პროფესიაზე, რომლითაც ყოველდღე უნდა ამტკიცო, რომ დამსახურებულად მიგიღია ყველა წოდება თუ ჯილდო... რომ ღირსეული ხარ ღირსეულთა შორის.

გიორგი ტოვსტონოგოვმა 34 წლის ოლეგ ბასილაშვილს აჩუქა თავისი ფოტო წარწერით: „ძვირფას ოლეგს ჭეშმარიტი არტისტის ტალანტისადმი გულწრფელი და ღრმა სიმპათიის ნიშნად“. დიდი მაესტრო – მკაცრი და ხანდახან დაუნდობელიც კი, იოლად არ იმეტებდა საქებარ სიტყვებს. და თუ ვინმეს შეაქებდა, მხოლოდ გულწრფელად.

**ელზა ნაბახტეველი**

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი" №8-11

### მეფე ართური

მსოფლიო საიდუმლოებათაგანია მეფე ართური, რომლის პერსონაჟმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ კულტურაზე, იმდენად, რომ გაურკვეველია მითი და რეალობა. ჩნდება კითხვა: მეფე ართური მართლაც მეფე იყო თუ მხოლოდ მხედართმთავარი? თუ მხოლოდ მხედართმთავარი იყო, მაშინ ნაწილობრივ გასაგებია რატომ არ მოიხსენიება ისტორიულ ქრონიკებში.ეყველა შემთხვევაში, საუკუნეების სიშორე შეუძლებელს ხდის გაირჩეს რეალური ისტორიები და ლიტერატურული მითები. მის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით, VI საუკუნეში შექმნილი ვალიური და შოტლანდიური პოემები ჰყვებიან.

მეფე ართურის საიდუმლოებით მოცული ციკლი გაქრობის პირამდე მისული იყო, მხოლოდ XII–XIII საუკუნეებიდან გაცოცხლდა, მაშინ, როცა, ქრონიკების მიხედვით, რკინის ჯვრის ქვეშ, უძველეს საფლავში აღმოაჩინეს ახოვანი მამაკაცისა და ქალის ძვლების ნაშთები. ჩათვალეს, რომ ეს იყო ართურისა და გვინევრას ძვლები და 1248 წელს მარმარილოს პანთეონში გადაასვენეს, რათა გლასტონბერიში ჩასულ პილიგრიმებს მისი ნახვა შეძლებოდათ. ჰენრი VIII-მ, კათოლიკური ეკლესიის დაუძინებელმა მტერმა 1538 წელს ინგლისის ყველა სააბატოსა და მონასტრის გაუქმება ბრძანა. გლასტონბერი 5 საუკუნე ჭაობით იყო დაფარული, მხოლოდ მოგვიანებით ამოაშრეს. დასახლება დაახლოებით ძვ.წ. 150 წელს ფიქსირდება. არქეოლოგებიც ვერ ადასტურებენ და ვერც უარჰყოფენ ართურზე ლეგენდის არსებობის სისწორეს.

ფრაგმენტულად შემორჩენილ V-VIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში უამრავი მეფე და უფლისწულია მოხსენიებული ართურის სახელით, ამდენად, ამ მხრივაც დაუდგენელია ვინ არის ის პერსონაჟი რომელიც უელსის ეპიკურ პოემებში ფიგურირებს.

ეპოქაში, რომელშიც მეფე ართური მოიაზრება, დღევანდელ ბრიტანეთის კუნძულებზე სხვადასხვა კელტური ტომები სახლობდნენ: ბრიტები, შოტლანდიელები, პიქტები.

სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიამ როდესაც ლექცია წაიკითხა „იდრიარტის" ფესტივალზე „საქართველოს სულიერი მისია", ასეთი შეკითხვაც დაუსვეს: „რა კავშირი იყო ირლანდიელ იბერებსა და ქართველი იბერებს შორის?" ზვიადის პასუხი: — „ირლანდიელი იბერებისა და ქართველი იბერების კავშირი ულრმესია. სწორედ იმაზე არის საუბარი ჰუმბოლდტის შრომაში, რომ ირლანდიაში, ჩრდილოეთ ევროპაში იყო იბერების მიგრაცია. ჰუმბოლდტი აშკარად განასხვავებს მათ



მეფე ართური სერიალიდან



მერლინი სერიალიდან

სამხრეთ იბერებისგან, სადაც ისინი ავტოქტონები არიან, მაგრამ ჩრდილოეთში, ირლანდიაში, ბრიტანეთში და სხვაგან, მოხდა მათი მიგრაცია და დაარსდა კოლონიები. ირლანდიის უძველესი მოსახლეობა, პიქტებიც იბერების შთამომავლები იყვნენ."

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი კოლხები ფოლადის უბადლო მდნობელები იყვნენ და შესაბამისად, უმაღლესად იყო განვითარებული მეტალურგია. ბიბლიურ ტექსტებში, უძველეს მამათა ჩამონათვალში უდიდესი როლი აკისრია კაცობრიობის ერთ-ერთ გმირს, თუბალტ(თ)აენს. ვინ არიან თობალები, იგივე თუბალები? — უძველესი ქართული ტომი, რომლებიც ასევე დაკავშირებული არიან ფოლადის წარმოებასთან.

ლეგენდის მიხედვით, მეფე ართურის სულიერმა მოძღვარმა, მერლინმა ხალიბი მჭედლისგან მიიღო საოცარი თვისებების მქონე ხმალი, რომლის დაუფლებას მხოლოდ რჩეული რაინდი შეძლებდა და მისი მეშვეობით დაამარცხებდა დაუმარცხებელს. მეფე ართურის ხმალს „ესკალიბურად", ანუ „ხალიბურად" მოიხსენიებდნენ, ხალიბები კი უძველესი ქართველი ტომია, რომელთა დამუშავებული ფოლადი უმაღლესად ითვლებოდა იმდროინდელ მსოფლიოში. მრავალი საუკუნის განმავლობაში მოიხსენიებდნენ უცხო ქვეყნებში ქართველ მჭედლებს მათი ლეგენდარული წინაპრების სახელით, ხალიბებად.

მთლად ამხელა მანძილს ვერ გადის თითქოს მეცნიერული კვლევები, მაგრამ ბოლო პერიოდში დასავლეთში ბატონი პაპუაშვილი მუშაობს და უცხოელი მეცნიერების მსგავსად ისიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არგონავტების მთავარი მიზანი იყო ლითონის დამუშავების ცოდნა — იმდროინდელი მსოფლიოსთვის ეს იყო როგორც დღევანდელი ატომური ბომბი, ვინც მას ფლობდა, ის იყო ძლიერი.

საყდრისის გარშემო დღეს დავაა ატეხილი, სადაც ქართველი და გერმანელი მეცნიერების მტკიცებით მსოფლიოში უძველესი შახტებია აღმოჩენილი და



ქართული ასოები სერიალში „ართური"

გამოცხადებული იყო კიდეც მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად. კვლევებმა დაადასტურა, რომ აქ მოიპოვებდნენ ოქროს, ხდებოდა პირველადი გადამუშავება და აქედან გადიოდა ეგვიპტეში, მაგრამ მიზეზთა გამო ეს ყველაფერი უკვე ბულდოზერებსა და ტრაქტორებს გააქვთ...

მრავალი ფაქტია, რომ ძველი მსოფლიო ასე ჩაკეტილი არ იყო, პირიქით, „რაღაცნაირი" ჩქაროსნული მიმოსვლა ჰქონდათ თითქოს. რაჭაში, გობეჯიშვილის ბრილის გათხრების დროს ეგვიპტური სკარაბეები, 12-კილოიანი შუშის მძივები და სანელებლები რომ ნახეს, რა უნდოდა რაჭაში ეგვიპტურ ნივთებს? როგორც ჩანს, კავშირები იყო წარმოუდგენლად დიდი — რაჭაშიც საბადოებია და იმიტომ. სპილენძი, მოლიბდენი, ოქრო, ვერცხლი, რკინა — თითქმის ყველაფერია. რაჭველ მამაკაცებს „რკინის კაცები" ერქვათ, XIX საუკუნეშიც კი საგულდაგულოდ ინახავდნენ სოფლები მადნის გამოდნობის ტექნოლოგიის საიდუმლოს. მჭედლები რაჭიდან გადიოდნენ. რაჭველები ვითომ ნელი ხალხიო, მაგრამ მთელ მსოფლიოს არიან მოდებულები... რაჭა-ლეჩხუმი ძალიან უცნაური და საინტერესოა, მაგრამ შეუსწავლელი, შემთხვევით მონაპოვრებზეა დამოკიდებული, მაგალითად, დღნორისას განძი ცნობილია, იქვეა, დერჩის თავზე, უამრავი კოლხური თეთრია ნაპოვნი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ცენტრი იყო იქ ოდესღაც...

ჯადოქარ მერლინს ხალიბი მჭედლისგან ხმალი შემდეგი სიტყვებით გადაეცა: — ეს ხალიბური ხრმალია, რომელსა შინა... ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან, ოდეს ბრიტანიამ დაუტეოს წვალებანი თვისნი და ჰპოოს საუკუნო ნავთსაყურელი წმ. მართლმადიდებელ ეკლესიასა შინა!"

ერთ-ერთი ინგლისური გადმოცემის მიხედვით, ართური ჰიბერნიიდანაა, რაც — გასაგებია. რაც შეეხება სახელ „ართურს". არტუ კელტურად დათვს ნიშნავს. დათვის კულტი ჰქონდათ პელაზგებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ბალკანეთში, არკადიაში. „არკადი" ბერძნულად დათვს ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ პელაზგებმა ბრიტანეთში მიგრაციისას თან წაიყოლეს თავიანთი კულტი. უძველესი პელაზგურისა და დღევანდელი მეგრულის მსგავსება ნათელია, ამდენად, ართ-ური „დათვთან" ერთად მოიცავს: „ართ" — ერთი, პირველი და „ური" — ზოგადად, უმაღლესი რაობა (სწავლება).

არბუა დე ჟიუნბელვილის მტკიცებით, ფრანგთა უმეტესობა იბერების და ლიგურების შთამომავლები არიან, ხოლო ნამდვილი გალების (კელტების) კასტა დაახლოებით 80 000 სული იყო, დანარჩენი მოსახლეობა იბერები და ლიგურები იყვნენ — ფაქტობრივად, იგივეს ამტკიცებს რასაც მორტონი და სხვა მეცნიერები.

მითის ერთი-ერთი ვერსიით პოსეიდონის შვილი იყო ალბიონი. „ალბიონი" — ინგლისის სახელი, რომელსაც შოტლანდიელები დღესაც „ჰალბიონს" უწოდებენ. ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის აზრით, ჰაემეტური ჰ-ალბიონი იგივე ხანმეტური ხ-ალ(ი)ბიონია და უეჭველ კავშირში უნდა იყოს ხალიბებთან.



ექიმი, რომელსაც აღმოაჩნდა საიდუმლო ენაზე დაწერილი

**(გაგრძელება იქნება)**

# სუდოკუ სუდოკუ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 5 | 8 | 7 | | | |
| | | 5 | | | | 4 | 2 | 7 |
| | 7 | 1 | | 3 | | | 5 | |
| 9 | 8 | | | | 1 | | | 3 |
| 4 | | | 3 | | 2 | | | 8 |
| 1 | | | 6 | | | | 4 | 5 |
| | 6 | | | 2 | | 7 | 8 | |
| 3 | 4 | 8 | | | | 1 | | |
| | | | 8 | 4 | 9 | 5 | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 3 | 8 | | | 2 |
| | | 3 | | | 9 | | 5 | 4 |
| 9 | | 8 | | | 4 | | | 6 |
| | 3 | | | 2 | | | 7 | |
| | 1 | | 8 | 7 | 3 | | 4 | |
| | 9 | | | 5 | | | 8 | |
| 3 | | | 1 | | | 9 | | 5 |
| 5 | 8 | | 3 | | | 4 | | |
| 2 | | | 6 | 4 | | 3 | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 8 | 2 | | | 3 | | |
| | 2 | | 7 | 9 | | 8 | | |
| | 5 | | 1 | | | 4 | | |
| 8 | | | | 3 | | | 9 | 2 |
| 4 | | | 6 | | 7 | | | 3 |
| 3 | 6 | | | 5 | | | | 1 |
| | | 6 | | | 4 | | 5 | |
| | | 7 | | 1 | 2 | | 6 | |
| | | 9 | | | 8 | 1 | 3 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | 9 | 7 | | |
| 2 | | | | | 1 | 5 | | |
| 7 | | | | | 5 | 6 | | |
| | 3 | | | 2 | | | | |
| | 5 | | | 8 | | | 9 | |
| | | | | 3 | | | 4 | |
| | | 8 | 4 | | | | | 1 |
| | | 9 | 7 | | | | | 2 |
| | | 7 | 6 | | | | | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | | | 1 | 5 | |
| 3 | | 2 | | | | | | |
| | | | 6 | 4 | | | 8 | |
| 8 | 1 | 4 | | | | | | |
| | | | 5 | 9 | 3 | | | |
| | | | | | | 2 | 7 | 6 |
| | 5 | | | 7 | 1 | | | |
| | | | | | | 3 | | 9 |
| | 6 | 8 | | | 4 | | | |





# ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

0 901 500 540

თიბისი ბანკი

ა/ნ GE88TB1117236080100001



# ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი“ დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:

571 05-94-39; 593 64-63-03; 2 67-32-06



# davexmaroT jaba bojguas!



საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა
ბილაინის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ
შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ამ პერიოდში თქვენ მთლიანად დასვენებასა და გართობაზე გადაერთვებით, რაც გარკვეულწილად შეცდომა იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენი ინერტულობა და უპასუხისმგებლობა საქმიანი ურთიერთობებისა და გეგმების დამუხრუჭებას გამოიწვევს. ეს კი ცხადია, გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით.

**კურო** – შესაძლოა, თქვენი აქტიური ხასიათის საწინააღმდეგოდ, თავი მოწყენილად და დეპრესიულადაც კი იგრძნოთ. ეს თქვენს საქმიან ცხოვრებას უკუპროცესით წარმართავს და გამორიცხული არ არის, მომავალი პოტენციური პროექტებიც ჩააგდოთ. ამიტომ ტემპს მოუმატე.

**ტყუპები** – ერთდროულად მრავალ ფრონტზე მოგიწევთ ბრძოლა. ბევრი მოუგვარებელი პრობლემა თქვენს ჩარევას მოითხოვს და როგორ გაართმევთ ამ ყოველივეს.

**კირჩხიბი** – შესაძლოა, რაღაცეები მოულოდნელად შეცვალოთ, რაც მეტწილად პოზიტიურ შედეგს მოგცემთ, თუმცა ამ ცვლილებების გამო გართობასა და სიამოვნებაზე იტყვით უარს.

**ლომი** – ამ პერიოდში შეგექმნებათ არა ერთი შესაძლებლობა, მოაგვაროთ ყოფითი პრობლემები. ამისთვის ემოცია უკანა პლანზე უნდა გადასწიოთ.

**ქალწული** – მიმდინარე პერიოდში ფინანსური საკითხების მოგვარებით იქნებით დაკავებული. არ არის გამორიცხული, ახლობლებმა მატერიალური დახმარება გთხოვონ.

**სასწორი** – ამ პერიოდში მოვლენები ისე სწრაფად და ამასთან, მოულოდნელად განვითარდება, რომ შესაძლოა, ამ ყოველივეს ფეხი ვერ აუწყოთ და შეცდომებიც დაუშვათ. ასე რომ, მზად იყავით ნებისმიერი ექსტრემალური მოქმედებისთვის.

**მორიელი** – მოსალოდნელია ადმინისტრაციულ ან სახელმწიფო პირებთან ერთად გარკვეული პროექტების განხილვა და მათთან ერთად ამ პროექტების განხორციელებაზე ზრუნვაც მოგიწიოთ.

**მშვილდოსანი** – მოუხმეთ ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, რადგან თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენები ქაოტურ სახეს მიიღებს, ეს გაიძულებთ, რაღაც-რაღაცეები გადააფასოთ.

**თხის რქა** – მოგიწევთ ლიდერის როლის შეთავსება და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. ამას დაემატება თქვენი მხრიდან იმიჯის შეცვლაც. ეს ყოველივე საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს თქვენდამი დადებითად განაწყობს.

**მერწყული** – ენერგიულობა და შემოქმედებითი აღმაფრენა დაგეხმარებათ, წარმატებით დაასრულოთ ადრე წამოწყებული საქმეები და ახალი პროექტების დაგეგმვაზე იზრუნოთ.

**თევზები** – მოგიწევთ ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, თუმცა არ გირჩევთ, მკვეთრ მოქმედებებსა და კატეგორიულ ტონს, ეს კონფლიქტური სიტუაციების ალბათობას ერთი-ორად გაზრდის.

## ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

### სკანვორდი 1

1.ყაბარდო. 2. რიუნოსკე. 3. ჩეინი. 4. ხისტი. 5. ლეკი. 6. პრასი. 7. ნბა. 8. კინეტკა. 9. ტაო. 10. ნოე. 11. იოგა. 12. ამაო. 13. ბაული. 14. ნანკა. 15. სიტე. 16. კაკაო. 17. რომი. 18. ალტაი. 19. იდო. 20. გენია. 21. არა. 22. ბანდიტი. 23. ბარდა. 24. დიაგონალი. 25. სადია. 26. მარი. 27. ბონო. 28. ლორი. 29. იტონი. 30. ტოროლა. 31. რიტორიკა. 32. არგო. 33. რიორიტა. 34. ნედლი. 35. ლოტრეკი. 36. ნიკ. 37. მიკენე. 38. იორამი. 39. ჩადუნელი. 40. ატამი. 41. სეფა. 42. ტირი. 43. მი. 44. ნინო. 45. ოსი. 46. ნეი. 47. ერა. 48. ტატუ. 49. ონონი. 50. ანაკონდა. 51. იკარია. 52. ჭაჭა. 53. რონალდინიო. 54. მუნი. 55. აქ. 56. ატა. 57. აქსიომა. 58. ანიკა.

### სკანვორდი 2

1. სტერეომეტრია. 2. ტახტი. 3. რილკე. 4. გობსეკი. 5. ოვალი. 6. ევრო. 7. რიონი. 8. ახალგაზრდობა. 9. კოლიო. 10. ასი. 11. მაზი. 12. ლიბერია. 13. ვისოცკი. 14. შიმპანზე. 15. ბლაღოჩინი. 16. ზამბია. 17. ალტი. 18. აგა. 19. აშიკი. 20. მერკელი. 21. ლამბადა. 22 შარლიზ. 23. მოყმე. 24. გნუ. 25. ემოცია. 26. ამპულა. 27. მის. 28. აირონსი. 29. ჩე. 30. პია. 31. კარიესი. 32. გიაური. 33. კურიოზი. 34. კუნა. 35. კანაპე. 36. სუმატრა. 37. ინკი. 38. რვა. 39. რეიდერი. 40 ყმა. 41. დღე. 42. ბე. 43. სოლ. 44. ელვა. 45. ბოუი. 46. პონი. 47. მიაუ. 48. ყადი. 49. სკა. 50. პაი. 51. ჯა. 52. მედიე. 53. ია. 54. ძიება. 55. ფილე. 56. პარიკი.

ISSN 2233-3983


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63



ფრანგულ-ქართული საბავშვო ბაღი

# „პატარა უფლისწული“



ბაღი ფუნქციონირებს 2014 წლის 15 სექტემბრიდან. ბაღის სასიამოვნო გარემოში ბავშვები სწავლობენ ფრანგულს და აქვთ ხატვის, სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის და თეატრალური თამაშების გაკვეთილები.პარატებს გაკვეთილებს უტარებენ სენტ ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯის გამოცდილი მასწავლებლები.

„პატარა უფლისწული“ იღებს 3 დან 5 წლამდე ბავშვებს და მუშაობს 10 საათიდან 7 საათამდე.

დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:
595 727979 – ირინა ტერელაძე;
599 224328 – ქეთევან იოსელიანი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11